

# ԹԱՐՅԱ ՀԱՅԱՍՏԱՆ

ГОРОДЪ

И ЗЕМСТВО

ՅԱԽՈ ԵՐԵՎԱՆ ՅԱՅԻ

Цѣна номера 50 руб.

№ 1—2

ԹԱՊՈԽՈ  
ТИФЛИСЪ

15 դեկտեմբեր 1919 թ.

2000 წელის მთვერდა 1920 წლისთვის.

ორკვირეული ჟურნალი

# ე კ რ ტ ა

24 წ 200 გვ. 22-3.

## 24 წ 200 გვ. 22-3.

## ე რ ტ ა

(ყოფილი ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“).

ორგანო ერობათა და პალატა კავშირისა.

გამოდის ქართულ და რუსულ განციფრილებით.

რედაქტორები: ა. ს. ბრიტევისა და ლ. ი. ნათაძე.

ხელისმოწერის პირობანი:

განცხადებების ფასი:

ერთი წლით	500 მან.	პეტიტის სტრიქ. ტექ. წინ—3 მ.
ნახევარი წლით	275 „	უქან—2 მ.
სამი თვით	140 „	ვინც „ქალაქთა“ და ერობ. მმართველობებში აღავს ექვება, მათ გადაცალება ნომერი
„	30 „	სფებათ ნახევარი.

ურნალი მიზნათ ისახავს ოდგილობ. მართველ. თეორიულ და პრაქტიკ. საკითხების ყოველ მხრივს გარკვევა-გაშუქებას, მის იდეების განმტკიცებას და გაფართოებას! ურნალში მოთავსებულ წერილებში შემდეგი სკიოთები იყო გარკვეული: ქალაქის და ერობის ორგანიზაცია, ფინანსები, წარმოების მუნიციპალიზაცია, მუნიციპალური უფლება, მედიცინა, სანიტარია, სახალხო განათლება, გზები, შეფასების საქმე, სტატისტიკა და სხ. იბეჭდებოდა კორესპონდენციები ადგილებიდან, ქრონიკა, ბიბლიოთეკათა, სავალდებულო და დაგვნილებანი.

1919 წელში ურნალში მონაწილეობას იღებდნენ:

ინჟ. ა. ბაბოვი, ურნ. რედაქ. ა. ბრიტევისა, კატო-ბ-ე, შრომის ბირების გამ. ნ. გიკი, სტატისტ. ა. გონჩაროვი, ოზურგ. ქალ. თავი ვ. დლონონტი, ინჟ. მ. უადანოვი, დამუშავ. კრებ. წევრი ი. იჩემაშვილი; პრ.-დლოცენტი ლ. იშკოვი, რუს. ნაც. საბჭოს თავმჯდომარე ა. კალიუჯნი, სენატორი დ. კალანდარიშვილი, არხიტექტორი კ. კერერი, ექიმი პ. კიკალიშვილი, ლაბორანტი ნ. პოიავა, ურნალისტი დ. კორენევი, აგრონომი ი. ჭირდიანი, ინჟ. რ. კულანდა, თელავის ქალაქის თავი ა. ლანდია, ცერუშელი რ. ლევათი, ექ. ი. ლომაური, სტატისტიკოსი ი. ლიადოვი, ექიმი ა. მალალაშვილი, ნაც. ვექ. მ. მადლისონი, ეკონომისტი ტ. მარგველაშვილი, ექონ. გ. შამონოვი, ინჟ. ივ. მედმარიაშვილი, ინჟ. გ. მეფუერტი, გ. ნანეიშვილი, დამუ. კრებ. წევ. ლ. ნათაძე, დამუ. კრებ. წევ. თბ. ერობ. საბჭოს თავმჯდ. დ. ლიადოვილი, ქალ. კონტროლი ლ. პეტრაკოვსკი, ერობის მოღვაწე პსკოფიზიკი, ქუთ. ქალ. თავი ს. რობაქიძე, ექ. ნ. რუხაძე, ძველი ერობელი, უნირალ. მ. სმირნოვი, აგრონ. ვ. სოკოლოვი, ურნალ. გ. თუმანოვი, აგრონ. ტ. უვაროვი, ქალ. გამგ. ყოფ. წევრი ი. ჩერქეზიშვილი, ერობის მოღვაწე ს. კანტურიშვილი, ქალ. კავშ. თავმჯდ. დაც. კო. წევრი ნ. ელიაგა, ინჟ. ა. ესსენი, იურისტი ვ. იანგიძი.

რედაქტორი და კანტორი იმყოფება: თბილისი, პუშკინის ქუჩა,  
ს. 3 ქალაქთა კავშირის ბინა.

# ԱՐԵՎԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

મ ન ગ સ બ મ

## ԵՐԵՎԱՆԻ ԸՆ ԿԱԼԵԿՏՈՎԱ ՎԵՐԱՌԵՎՈՆՏԱ


ორგვილეული გამოცემა მუნიციპალურ კითხვების შესახებ.

5673

# ГОРОДЪ И ЗЕМСТВО

Органъ Союзовъ Городовъ и Земствъ Республики  
Грузіи.

Двухнедельное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



No 1-2

**თბილისი**  
Тифлисъ

**15** დეკემბერი  
Декабря

1919  
G.  
F.



# შ ი ნ ა რ ს ი:

## ს ი ნ ა რ ს ი:

გვერდი.

რედაქციისაგან . . . . .	3—6
ვიქ. ლილონტი—ჩვენი ერობის საფეხ. და მათი კომპეტენცია . .	6—12
ექ. ალ. მაღალაშვილი—ქალაქის და ერობის თვითმართველობათა მოვალეობა საქართ. კურორტ. აღმშენებლობის საქმეში . .	13—17
ვ. მამინოვი—გარდასახადი დაუმსახურ. გაზრდილ ლირებულ.	17—25
კანონმდებ. ბრძოლა ყვავილთან ევროპის სახელმწიფოებში . .	26—29
ქრონიკა.	

## რ უ ს ი ლ ა დ:

ა. ბრიტნევისა—რას და როგორ აკეთებს აღვილობ. მმართველ.	1—7
ა. გონჩაროვი—მთავრობის და ერობის ურთიერთობა . . . . .	7—14
კ. პანიევი—ჩვენ გვჭირია „ზემგორი“ . . . . .	14—24
მ. ლიადოვი—1919 წლის მოსავალი . . . . .	25—38
ბ. უვაროვი—საერობო აგრონომ. მუშაობის ძირითადი მიზნები .	38—47
დ. კორენევი—აღვილობ. თვითმართველობანი სამხრეთ რუსეთში .	48—54
ქრონიკა.	

## С о д е р ж а н і е:

### На грузинскомъ:

Страниц.

Отъ редакціи. . . . .	3—6
В. Глонти. Ступени нашего Земства и ихъ компетенцій. . . . .	6—12
Ал. Магалашвили. Обязанности Гор. и Зем. Самоуправлії въ дѣлѣ развитія курортовъ Грузіи. . . . .	13—17
В. Мамоновъ. Обложение незаслуженного прироста цѣнности Законодательная борьба съ ослои въ Европ. государ. . . . .	17—25
<b>Хроника.</b>	

### На русскомъ:

Страниц.

А. Бритнева. Что и какъ дѣлаетъ Мѣстное Управление. . . . .	1—7
А. Гончаровъ. Взаимоотношения Государства и Земства. . . . .	7—14
К. Паніевъ. Намъ нуженъ Земгорт. . . . .	14—24
М. Лядовъ. Урожай 1919 года. . . . .	25—38
Б. Уваровъ. Основные задачи земской агроном. раб. . . . .	38—47
Д. Кореневъ. Мѣстное самоупр. на Югѣ Россіи. . . . .	48—54

См. хронику на послѣдней страницѣ.

## რედაქციისაგან.

ჩვენი უურნალი ახალი სახელწოდებით გამოდის, მაგრამ არსებითად, თავის შინაარსით, მიმართულებით იგი გაგრძელებაა იმ უურნალისა, რომელსაც ეწოდებოდა „კავკასიის ქალაქი“. სახელის გარდა გამოიცვალა უურნალის ორგანიზაციაც: „კავკასიის ქალაქის“ გამომცემელი იყო მხოლოდ ქალაქთა კავშირი, „ერობა და ქალაქის“ გამოცემაში კი ქალაქთა კავშირს გვერდში ამოუღვა ერობათა ცენტრალური ბიურო. ამნაირი შეერთება ლოლიკურად აუცილებელი იყო: ეს სხვათა შორის იქიდანაც სხანდა, რომ „კავკასიის ქალაქი“ მხოლოდ ქალაქების თვითმართველობას არ ემსახურებოდა, იგი ერობის საკითხებსაც საპატიო ალაგს უთმობდა თავის ფურცლებზე. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: როგორც ქალაქის, ისე ერობის საკითხები ერთნაირად შეეხება იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც თვითმართველობა ეწოდება; ერობა და ქალაქი ერთ და იმავე ბუნებისანი არიან და მათი გათიშვა-განცალკევება შეუძლებელია. საერობო თვითმართველობა და საქალაქო თვითმართველობა ერთ და იმავე ხასიათის მოვლენაა. მათი მოქმედება ერთსა და იმავე საგანს შეეხება; მათი საზრუნვი ერთი და იგივე საჭიროებაა, მათი ფიქრი ერთნაირს საგანს დასტრიალებს. ორგანო, რომელიც არკვევს თვითმართველობის საკითხებს, იმავ დროს არკვევს საერობო თვითმართველობის საკითხებსაც, რადგან ის, რაც შეეხება ქალაქს, როგორც თვითმართველობითს ორგანოს, შეეხება აგრეთვე ერობასაც.

ქალაქის თვითმართველობამ უფრო ადრე გაიჩინა თავისი ბეჭდვითი ორგანო, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ავი იყო თუ კარგი, ქალაქის თვითმართველობა ჩვენში უკვე რევოლუციამდის არსებობდა, მას უკვე აქვს თავისი ისტორია, თავისი ტრადიციები; ჩვენმა დემოკრატიაშ ქალაქებში შზა-მზარეული აპარატი ჩაიგდო ხელში, მას დასჭირდა მხოლოდ მისი გამოყენება დემოკრატიის სასარგებლოთ. ერობა კი ჩვენში სულ ერთი წლისაა, იგი მხოლოდ ფეხს იდგამს, მხოლოდ სწავლობს მუშაობას. და რა გასაკვირია თუ ქალაქმა ხელმძღვანელობა გაუწია ახალგაზრდა ერობას როგორც ბევრს სხვა საქმეებში, ისე ბეჭვდით ორგანოს დაარსებაშიაც!

ქალაქთა ქავშირის და ერობათა ცენტრის შეერთება უურნალის გამოცემის საქმეში ხელსაყრელია, როგორც იდეურის, ისე პრაქტიკულის მხრით. იდეურათ სასარგებლოა იმავე მოსაზრების ძალით, რითაც სასარგებლოა ყოველი შეერთება ფიქრისა, ყოველი გაერთიანება აზრისა, ყოველი იდეური თანამშრომლობა. სხვა და სხვა თვითმართველ ერთეულს

სხვა და სხვა საჭიროება აქვს; ყოველს მათგანს აქვს რაიმე თვისებურობა, ბუნებრივ, ეთნოგრაფიულ, კულტურულ და სხვა პირობებისაგან წარმოშობილი; ერის თვითმართველ ერთეულში ერთს მხარეს აქვს მიქცეული უფრო მეტი ყურადღება, მეორეში—მეორეს; ერთში, ამიტომ, ერთი დარგია უკეთ დაყენებული, მეორეში—მეორე, ერთში ერთი რამ არის სხვებისთვის წასაბაძი და სამაგალითო, მეორეში—მეორე. თვითმართველი ერთეულები სწავლობენ ერთი-მეორის გამარჯვებაზე და მარცხზე, ამიტომ ისინი ერთმანეთის ცხოვრებას უნდა მუდამ თვალყურს ადევნებდენ, ერთმანეთს თავის დაკვირვებას და გამოცდილებას უზიარებდენ. ამისათვის კი საუკეთესო საშუალებაა ბეჭვდითი ორგანო: აქ უნდა ჰპოვოს თავისი ცენტრი თვითმართველობრივმა აზრმა; ეს უნდა იყოს ის ლაბორატორია, სადაც სხვა და სხვა თვითმართველობრივ დაწესებულებათა თავმოყრილი დაკვირვება, გამოცდილება, აზრი უნდა ერთად შედულდეს და ამ შედულებამ უნდა მოვცეს ახალი ნაყოფი, უნდა გვაჩვენოს ახალი ხაზი, ახალი გზა. ამ საქმეს ერთნაირად უნდა ემსახუროს როგორც ქალაქი, ისე სოფელი, როგორც საქალაქო, ისე საერობო თვითმართველობა.

პრაქტიკულის მოსაზრებით სრულიად დაუშვებელი იყო, რომ ერთბათა და ქალაქთა ცენტრებს ცალკ-ცალკე ბეჭვდითი ორგანოები ჰქონიდათ. არსებითად ორივე ორგანოში ერთი და იგივე საკითხები უნდა ყოფილიყო გაშუქებული. შინაარსის მხრივ მათ შორის არსებითი განსხვავება ვერ იქნებოდა. ორი ორგანოს გამოცემა გარდა იმისა, რომ გამოიწვევდა ორჯერ მეტს ხარჯს (ეს მოსაზრება ჩვენს დუხშირს დროში უკანასკნელ მნიშვნელობისა არ არის), ორივეს მხოლოდ ვნებას მოუტანდა, ორივეს იდეურათ დაასუსტებდა: თვითმართველობა ჩვენთვის ახალი ხილია და ჩვენ არ მოგვეპოვება ისე დიდი რიცხვი თეორეტიკოსების და პრაქტიკოსებისა თვითმართველობითს საკითხებში, რომ ორ სერიოზულ ბეჭვდით ორგანოსათვის კმაროდეს.

ჩვენი უურნალის მთელი იმედები დამყარებულია თვითმართველობათა მუშაკების თანაგრძნობაზე. მისთვის ერთნაირად საჭიროა ხმა როგორც ქალაქთა, ისე სამაზრო ერობათა, ისე თემთა მოღვაწეების, რადგან მისთვის ერთნაირად ძვირფასია ეს სამი შტო ერთის ხისა, რომელსაც „თვითმართველობა“ ეწოდება. ყველა ამ თვითმართველ ორგანოთა საჭიროებამ უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება ჩვენი უურნალის ფურცლებზე. ამ ხასიერის უურნალის არსებობა ყოვლად შეუძლებელია, თუ თუნდაც დაშორებულ პროცენტის. მოღვაწეთაც იგი თავის ორგანოთ არ მიიჩნიეს. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში. ექნება ნიადაგი, თუ მას და თვითმართველ ორგანოებს შორის მუდმივი ძაფები იქნება გაბმული, თუ იგი მუდამ ჩახედული იქნება თვითმართველ ორგანოების ცხოვრებაში, თუ მას ზედმიწევნით გათვალისწინებული ექნება მათი ჭირი და ვარამი, მათი გამარჯვება და მარცხი, მათი სიხარული და მწუხარება. რაც უფრო მჭიდრო იქნება ეს კავშირი მით უფრო

შინაარსიანი იქნება ჩვენი უურნალი, მით უფრო მეტს სარგებლობას. მოუტანს იგი როგორც საერთოდ თვითმართველობას, ისე თითოულს თვითმართველ ერთეულს. ისე რომ ჩვენი უურნალის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენს გონებრივ ენერგიას გამოიჩენენ ჩვენი თვითმართველობის მუშაკი, რამდენად შეიგნებენ ისინი სპეციალურ ბეჭდვით ორგანოს არსებობის აუცილებლობას ჩვენი ნორჩი თვითმართველობისათვის. ეს შეგნება კი დამოკიდებულია ჩვენი თვითმართველობის მოღვაწეთა მომზადებაზე და კულტურულ სიმაღლეზე.

რა ხასიერის დახმარება ესაჭიროება ჩვენს უურნალს. თვითმართველობათა მოღვაწეების მხრით? პრინციპიალურ წერილებს თვითმართველობის ბუნებაზე, თვითმართველობის და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, თვითმართველობათა სხვა და სხვა საფეხურებზე და მათ ურთიერთობაზე და სხვა და სხვა—ყველა ამ ხასიერის წერილებს საპატიო ალაგი ექნება დათმობილი ჩვენს უურნალში.

მაგრამ ორი წლის სახელმწიფოებრივმა მუშაობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ უფრო თეორიის ხალხი ვართ, ვიდრე პრაქტიკისა, პრინციპიალური, განყენებული მსჯელობა უფრო გვეხერხება, ვიდრე კონკრეტული პრაკტიკული, საქმეზე თეორიულ მსჯელობას უფრო ვართ მიჩვეულნი, ვიდრე საქმის გაკეთებას. ამიტომ ჩვენი უურნალი თეორიულ წერილებზე არა—ნაკლების ყურადღებით მოეპყრობა პრაქტიკულ სიკითხების გაშუქებას, კონკრეტულ ლონისძიებათა გამორკვევას. თვითმართველობის ყოველი დარგი ერთნაირ სტუმარმოყვარეობას ჰქონებს ჩვენის უურნალის ფურცლებზე. სკოლა და აღმინისტრაცია, ფონანსები და გზები, სურსათი და სანიტარია, მიწის საკიონი და ვეტერინარია, საზოგადოებრივი წარმოების მოწყობა და კერძო ინიციატივა—ყველა ამაზე და მრავალ სხვა საკითხზედაც უხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდებოდეს ჩვენი უურნალის შემწეობით.

და რომ ცხოვრების ძირამდის ჩაიხდოს, ცხოვრების ნამდვილ შაჯის ცემას მიუგდოს ყური, ჩვენი უურნალისათვის საჭიროა ცნობები ადგილებიდან. მართალია ჩვენი უურნალი ვერ არის ისე სქელ-ტანიანი, რომ მან ადგილი დაუთმოს ყოველს წვრილმანს თვითმართველ ერთეულების ცხოვრებიდან: ადგილებიდას გამოგზავნილ ცნობებში იგი გამოკკრეთს იმას, რასაც უფრო საერთო, საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უურნალი არა—ნაკლების ყურადღებით მოეკიდება ყოველს წვრილმანსაც და ეცდება ამ წვრილმანების ჩაკვირებით ჩედმიწევნით ჩასწვდეს ცხოვრების კონკრეტულ პირობებს და მათ შესწავლიდან გააკეთოს სათანადო დასკვნა თვითმართველობათა საჭიროებზე. ამიტომ ჩვენი თხოვნა თვითმართველობის მოღვაწეთა მიმართ ასეთი იქნება: გამოუგზავნონ ჩვენს უურნალს ყოველი ცნობა, რაც კი მათს თვითმართველს ერთეულს. შეეხება, გავვიზიარონ აზრი ყოველსავე საკითხზე, რომელიც-კი მათ აღეძრებათ მუშაობის დროს. დევ

ყველაფერი ნუ დაიბეჭდება უადგილობის გამო,—სამაგიეროდ ყველაფერი ყურადღებით წაიკითხება, ყველაფერი გამოყენებულ იქნება ჟურნალის მიერ.

თვითმართველობის ცხოვრებაში ხშირად ზოგიერთ წვრილმანებს უდიდესი წნიშვნელობა ეძლევათ. რომ მათ გაუწიოს სათანადო ანგარიში, ჩვენი ჟურნალი შემოილებს, ცალკე განწყობილებას: „ჟურნალის ფოსტას“; რომელშიაც ეცდება შეძლებისა და გვარათ პასუხი გასცეს თავის კორესპონდენტებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ აწუხებს და რომლებიც ადგილობრივ ვერ გაურკვევიათ. ამ განყოფულების საშუალებით ჟურნალი ეცდება დაუახლოვდეს ცენტრიდან დაშორებულ თვითმართველ ერთეულთა მუშაქებს და მათთან მუდმივი და მჭიდრო კავშირი იქონიოს.

ზედმეტათ მიგვაჩინია ჩვენი ჟურნალის მიმართულებაზე, სოციალ-პოლიტიკურ credo-ზე ლაპარაკი: საქმარისია მითითება იმ გარამოებეზე, 1) რომ იგი ეკუთვნის ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ ქალაქთა და დემოკრატიულ ერობათა ცენტრებს, რომ 2) იგი პირდაპირი გაგძელებაა ჟურნალ „კავკასიის ქალაქისა“.

### ჩვენი ერობის საფეხურები და მათი კომპეტენცია \*).

რევოლიუციის ორგანიზაცია ჩვენში მოწყო ზევიდან, ზევიდან მოხდა აგრეთვე ამ რევოლიუციის მონაპოვარ დემოკრატიულ დაწესებულებათა მოწყობა, დაარსდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი გუბერნიებში, მაზრებში და სოფლის საზოგადოებებში აღმასრულებელი კომიტეტები და გუბერნიის, მაზრის და სოფლის კომისარიატები: საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი) შესცვალა ამიერ-კავკასიის სეიმმა. შემდეგ ეს სეიმი ცხოვრების ობექტიური მსვლელობის ზეგავლენით დანაწილდა სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ. 1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მან გადაჭრილი ნაბიჯი გადადგა ერობის შემოღების საქმეში და შედარებით მოკლე დროში კიდევაც მოახერხა სამაზრო ერობების მოწყობა.—„ოზაკომის“ გადაწყვეტილებით და მისგან გამოცემულ საერობო დებულების ძალით განზრახული იყო სამი ტიპის ერობა: წვრილი ერთეული, სამაზრო და საგუბერნიო ერობები. თუ წვრილი ერთეულის ადგილზე ვიგულისხმებთ სავოლოსტო ერობას, მაშინ ეს საფეხურები იყო ჩატვეთის. ერობის განმეორება. უზარმაზარი რუსეთის სავოლოსტო და სამაზრო ერობებს ვერ გასწვდებოდა ერთი ცენტრალური მთავრობა სატახტო ქა-

\* ) სამაზრო და სათემო ერობათა ურთიერთობა ჩვენ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩინია, რომ საჭირო ვთვლით სხვა და სხვა აზრს მივტევთ ადგილი ჩვენი ურნალის ფურცლებზე. რედ.

ლაქიდან, ცხადია, საჭირო იყო საგუბერნიო ერობა, როგორც მაზრების ერობათა გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი ორგანო.

ჩვენს პატარა საქართველოს ტერიტორიის სიმცირის გამო სრულებიდან ესაჭიროებოდა ერობის მესამე საფეხური და ამიტომ რესპუბლიკის პარლამენტმა სრულებით სამართლიანად უარი სთქვა საგუბერნიო ერობაზე და მისი ვალდებულებანი გაუნაწილა ცენტრსა და სამაზრო ერობებს. დასტოვა ორი საფეხური: სამაზრო ერობა და წვრილი ერთეულები. მართალია, ერობის საფეხურების კონსტრუქციაში მოხდა ასეთი ცვლილება, მაგრამ ამას არ მიჰყოლია, როგორც ლოლიკური შედეგი, შესაფერი ცვლილება საარჩევნო სისტემაში და ამას დიდი დამაბრკოლებელი როლი მიუდღვის ჩვენი ერობის ორგანიზაციის საქმეში. თანახმად ამიერ-კავკასიის მიერ გამოცემულ საერობო დებულებისა, რომელიც დაედვა საფუძვლად ჩვენი სამაზრო და სათემო ერობათა არჩევნებს, სამაზრო ერობის კონსტიტუცია და მის ხმოსანთა არჩევნები ხდებოდა წვრილ ერთეულებისაგან დამოუკიდებლათ. ამ დებულების ძალით მხოლოდ საგუბერნიო ერობა ითვლებოდა გამაერთიანებელ ორგანოთ, რომელშიაც უნდა არჩეულიყო ხმოსნები სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის—შემადგენლობისაგან. მაშინ საგუბერნიო ერობაში საესებით იქნებოდა წარმოდგენილი გუბერნიის ყველა მაზრები.—დღევანდელ სამაზრო ერობაში კი ხმოსნები არჩეულია უმეტეს შემთხვევაში ძველი პოლიციური უბნების მიხედვით, და რადგანაც მაშის წვრილი ერთეულები სრულებით არ იყვნენ გამოყრილი, სამაზრო ერობა დაშორდა წარმოდგენელების მხრივ წვრილი საერობო ერთეულებს და ის დღეს ფაქტიურად არ წარმოადგენს მის ტერიტორიაზე მყოფ წვრილ ერთეულთა გამაერთიანებელ ორგანიზაციას. პირიქით არჩევნებში წვრილი ერთეულები კიდევაც გაურბოდენ სათემო საბჭოში ისეთ ხმოსნის არჩევას, რომელიც არჩეული იყო მაზრის ერობის ყრილობის ხმოსნად. ამიერიდან ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა მოისპოს, სამაზრო ერობის ყრილობა უნდა შესდგეს წვრილი ერთეულების ხმოსნებისაგან. მათი არჩევნები კი შეიძლება მოხდეს პირდაპირ ხალხისაგან და არა პირდაპირ თემთა საბჭოსაგან მცხოვრებთა რიცხვის პროპორციონალური წილხდომილობის თანახმად. მხოლოდ ასეთი პირობების დაცვით შესაძლებელია დამყარდეს სამაზრო ერობასა და წვრილ ერთეულთა შორის ის ორგანიული კავშირი, რომელიც აუცილებელია ორთავე ამ დაწესებულების ნაყოფიური მუშაობისათვის. ამ ცვლილებასთან შეფარდებით უნდა იქმნას გამიჯნული უფლება-მოსილება თემისა და სამაზრო ერობისა და გარკვეული მათი ურთიერთობა.

კომისარიატის დებულების. მე—2, 3, 110, 111, 112, 113 და 114 მუხლების ძალით სავოლოსტო (იგულისხმეთ დღევანდელი თემი) სამაზრო და საგუბერნიო ერობებს აქვს მინიჭებული ერთი და იგივე უფლება-მოსილება თავიანთ ტერიტორიის ფარგლებში მცირედი განსხვავებით. აღმი-

ნისტრაციის მოწყობის, თვით-დაბეგვრის, განათლების, სანიტარულ და სხვა საქმეებში თითეული ამ ერთეულთაგანი თანასწორ უფლებიანია თავის ტერიტორიაზე. აქ ომ გუბერნია გამოაკლდეს და მის აღგილზე ცენტრი ჩადგეს, მაშინაც ეს გარემოება ქმნის შემდეგ უხერხულობას. ტერიტორიალურად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს მსოლოდ წვრილი ერთეული, სამაზრო ერობა კი თუმცა მაზრის ფარგლებში. ტერიტორიალური ერთეულისა სხვა მაზრებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ თავის წვრილ ერთეულებთან დამოკიდებულებაში, ასე ვსოდეთ, ინტერიტორიალური ორგანიზაციაა და ამიტომ თავისი უფლება-მოსილების განხორციელების. ნიადაგზე მუდამ შეიძლება მოუხდეს შეტაკება აღგილობრივ თემის ინტერესებთან. ავილოთ კონკრეტული შემთხვევები, ვთქვათ აღგილობრივ თემს სურს გახსნას საკუთარი აფთიაქი, სამაზრო ერობასაც სურს ამისთანავე აფთიაქის გახსნა ამავე თემში. თემი შედის მაზრაში მთლიანად. მაზრას აქვს უფლება და მოვალეობაც გახსნას. ეს აფთიაქები მაზრაში და რადგანაც მაზრის ტერიტორია დაყოფილია თემებათ, მაშასადამე, იმ თემებშიც სადაც მიზანშეწონილად დაინახავს. ესვევ შეიძლება ითქვას ტყის ექსპლოატაციაზე, საცდელი მინდვრების გამართვაზე, სასურსათო საწყობის მოწყობაზე და სხვა ამ გვარ დაწესებულებაზე. როგორც მაზრა იცავს თავგამოდებით თავის ტერიტორიალურ ფარგლებში თავის უფლებებს ცენტრისაგან, სწორედ ასევე დაიცავს თემიც თავის ინტერესებს სამაზრო ერობებისაგან გამიჯვნით.

ისმება საკითხი: რამდენათ მიზან შეწონილია თემის სრული უფლება-მოსილებით აღჭურვა სამაზრო ერობის თანაბრად თუნდაც თავის ტერიტორიის ფარგლებში? ეს პრინციპიალური ხასიათის საკითხია და ამაზე საჭიროა მკითხველის ყურადღების შეჩერება.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში თითქმის მოწყობილია სამაზრო და წვრილი ერობები. თბილისის, ოზურგეთის, სენაკის და; ვგონებთ, ქუთაის სამაზრო ერობებმა კიდევაც მოახდინეს თემთა. წარმომადგენლების ყრილობა. ამ ყრილობებს ჩვენმა პრესამ ნაკლები ყურადღება მიაქცია, ამიტომ მასალებიც ცოტაა გამოქვეყნებული და სინამდვილესთან არ არის ფართო საზოგადოება არც მისი მოწინავე. ნაწილი გაცნობილი. ყველა ამ ყრილობაზე თემთა ერთნაირი უკმაყოფილება სამაზრო ერობისადმი წილი ზოლივით იყო გავლებული. გურიის თემთა ყრილობაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემობამ, რომ თემის გამეობის თავმჯდომარე ამავე დროს არის აღმინისტრატიული პირიც, რომელსაც უხდება წმინდა სამილიციო საქმეების გარჩევა და ხელმძღვანელობა. მახსოვს ნიგოითის თემის თავმჯდომარის საყვედლური: ბატონებო, მივდივარ დილით ადრე და საღამომდის იმის გარჩევას ვერ ავდივარ, ვინ ვის რა მოპარა, რა შეურაცყოფა მიაყენა, ვინ ვის ლობე გადაუჩინა, სად ქმარს გაეყარა ცოლი, სად აწყეინა მედიატორებ და სხვა ნამდვილ თვითმართველობის.

საქმეებისთვის კი დრო სრულებით არ შირჩება და არჩეული თვითმართველის მაგიერ ძეველი შამასახლისი ვხდები, მეტი არაფერიო. მეორემ გაკვირება გამოსთქვა სამაზრო ერობის განკარგულების გამო, რომლის ძალით თემთა გამგეობებს ევალებოდათ მაზრის მილიცის განკარგულებათა ასრულება: — „მაზრის მილიცის უფროსმა ჩვენ, ხალხის არჩეულებს, როგორ უნდა გვიბრაძნოს“, საყვედურით ამბობენ. ხელმძღვანელებმა განუმარტეს ყრილობას როგორც თემის გამგეობის ვალდებულება ადმინისტრატიულ სფეროში, ისიც, რომ თუ მაზრის ერობის გამგეობა და თავმჯდომარე ვალდებულია მინისტრის განკარგულებას ასრულებდეს, ისე მაზრის ადგილობივი ორგანიზაცია — თემიც — ვალდებული უნდა იყოს. აღასრულოს მაზრის მილიციის უფროსის, როგორც მაზრაში მინისტრის წარმომადგენელის, განკარგულება და ეს მოვალეობის ასრულებათ უნდა ჩაითვალოს და არა სათაკილოთ. თითქოს ყრილობა დაქმაყოფილდა ამ განმარტებით, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად ჩება. თემს როგორც ერთეულ ორგანიზაციას, დაახლოვებით ასეთივე წარმოდგენა აქვს თავის თავზე, როგორც სამაზრო ერობას, ამას კიდევაც უნდა გაუწიოს ანგარიში კანონმდებლობამ. თემს უნდა უფლება, შესძლებს თუ არა ამის აღასრულებას ის ამას არც კი კითხულობს.

ზოგიერთნი მიტომ იყვნენ სხვათა შორის წვრილი ერთეულების ძველი საზოგადოების ფარგლებში მოქცევის მომხრენი, რომ ეგონათ, თემში სულ დიდი ორი პირი იქნებოდა ჯამაგირიანი (თავმჯდომარე და მდივანი). სხვებს კი უჯამაგიროთ უნდა ემსახურა მათი აზრით. მაშინ იმასაც ამბობდენ: თემები ადგილობრივად უნდა დარჩენ გამტარებელზი იმ განკარგულება-დავალებისა, რომელიც მათ მიეცემა სამაზრო თუ სახელმწიფო ცენტრიდან. მაგრამ მე ეს არასოდეს არ მიმაჩნდა მიზან-შეწონილათ და მოკლეპრაქტიკაში კიდევაც გაამართლა ეს აზრი. სენაკის ჯრილობამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის აზრი ზოგ პირთა უჯამაგიროთ სამსახურის შესახებ თემში გაუქმებულ იქმნას.

წვრილი ერთეულის დანიშნულება და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა იყოს თვითმმართველი ერთეული შესაფერი კომპეტენციით თავის ტერიტორიაზე. მას უნდა ქონდეს სრული უფლება, თავად მოაწყოს და განაგოს ადგილობრივი საქმეები. თემთა განმაერთიანებელ ორგანოს მაზრას აქ უნდა ქონდეს ხელმძღვანელის და კონტროლის უფლება.

საზოგადოთ ჩვენი მართვისა და თვითმმართვის აპარატი უნდა მოეწყოს პარლამენტარულ და არა უნიტარულ პრინციპზე — ამ უკანასკვნელის-თვის ნიადაგი ჯერ ჩვენში არ არის მზად. პირველ რიგში უნდა დაისვას ნილიციის მოწყობის საქმე, რადგანაც მიმდინარე მომენტში მას დიდი მნიშვნელობა, აქვს და აღბათ კიდევ დიდ-ხანს ექნება ასეთი მნიშვნელობა.

მთელი რესპუბლიკის მილიცია უნდა წარმოადგენდეს ერთს მტკიცე ორგანიზაციას. ცენტრში მისი მეთაური იქნება შინაგან საქმეთა მინისტრი, მაზრებში მაზრის მილიციის უფროსი, თემში კი თემის მილიციის უფროსები. მინისტრს ნიშნავს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული პრემიერ მინისტრი, შემდეგ კი ის პასუხის მეტელია დამფუძნებელი კრების. წინაშე კანონიერ ფარგლებში; მაზრის მილიციის უფროსის ირჩევს სამაზრო ერობა. და ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც ექნება უფლება მისი ვალაყენებისა და სხ. თემის მილიციას და მის უფროსებს უნდა ნიშნავდეს მაზრის მილიციის უფროსი ადგილობრივ თემთან შეთანხმებით. მაზრის მილიციის უფროსი პასუხი სმეგბელია შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, თემის მილიციის უფროსი კი მაზრის მილიციის უფროსის და თემის წინაშე.—მილიცია ემორჩილება მხოლოდ მის უფროსებს. ჩერი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, რომ ეს ადმინისტრატიული აპარატი მოეწყოს რაც შეიძლება ცენტრალისტურათ მთელს რესპუბლიკაში საერთოდ და განსაკუთრებით მაზრებში, რათა იქმნას დაუული მოქმედების ერთიანობა. თემის დამოკიდებულება მილიციისაგან უნდა განისაზღვროს: კონტროლით, რჩევით და თვალყურით. ასეთი აპარატი იქნება უფრო მარტივი მოძრავი და მოქნილი და, როგორც ასეთი, ის გაცილებით უფრო დაიცავს რესპუბლიკის საერთო ინტერესებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, მილიცია რომ მარტო ადგილობრივ ერობების განკარგულებაში მოექცეს და მას არ ქონდეს მტკიცე იერარქიული დამოკიდებულება ცენტრთან.

გარეშე ამ ადმინისტრაციისა ყველა სხვა სფეროში თემებს უნდა მიენიჭოს რაც შეიძლება ფართო უფლება, მაგრამ არა განსაზღვრული. საბიუჯეტო სფეროში თემს უნდა შიეცეს თვით-დაბეგვრის უფლება, მხოლოდ სამაზრო ერობის ნებართვით, რომელიც უნდა იხილავდეს ამ საკითხს უმეტეს შემთხვევაში მიზან შეწონილობის მხრივ. ამავე წესით უნდა ხდებოდეს თემში სპეციალური დაბეგვრა. თემს უნდა ქონდეს უფლება ნატურალური თვით-დაბეგვრისა. თუ ეს უფლება არ იქმნა გატარებული, მაგალითად, გზის საქმეში ამ საქმის წესიერ ნიადაგზე დაყენება ყოვლად შეუძლებელი გახდება. თემი აგრეთვე ფართო უფლებით უნდა სარგებლობდეს ჯანმრთელობის, განათლების და აღმშენებლობის დარგებში. ამ მხრივ თემი მაზრის მინისტურა უნდა იყოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება მაზრების კერძოთ და რესპუბლიკის საერთოთ მოლონიერება, როცა შეიქმნება ადგილობრივათ მძლავრი ეკონომიკური თვითმართველი ერთეულები.

მაზრა უნდა დაქმაყოფილდეს სამაზრო მნიშვმელობის საქმეების წარმოებით ერობის მოქმედების ყველა დარგში. კონკრეტულათ ეს აზრი ასე შეიძლება გამოიხატოს: მაზრამ შეინახოს და აკეთოს სამაზრო მნიშვნელობის გზები, თემმა სათემო გზები, მაზრის ერობა შემოიღებს, მოუვლის და შეინახავს მთელი მაზრის ან რამდენიმე თემისათვის საჭირო დაწესებულებებს: სასწავლებლებს, საავადმყოფოებს, წიგნების და აფთიაქის საწყობებს,

სამუშაო იარაღების დასამზადებელ სახელოსნოებს, საცდელი მინდვრის ყოველ გვარ მოწყობილებას, გააშრობს ჭაობს, გაიყვანს არხს, მოუვლის აგარაკებს, სამკურნალო წყლებს, საექსპლოატაციოთ აიღებს ტყეებს და გააჩაღებს ხე-ტყის წარმოებას, ფართო ნიადაგზე დააყენებს მომარავების საქმეს, ერთი სიტყვით. მაზრის ერობაშ უნდა გაატაროს ყველა ის ზომები, რომლებიც ეხება და ესაჭიროება მთელს მაზრას ან რამდენიმე თემს, დანარჩენ საქმეებში კი მან უნდა უხელმძღვანელოს თემებს, გაუღვიძოს ინიციატივა და აქტუალობა, გააღვივოს თვით-მოქმედება თავის ფარგლის თემებისა, რომელთა პირველ საინსტაციო საფეხურს უნდა წარმოადგედეს ის.

რომ თემის ცხოველმყოფელი მოღვაწეობისათვის საჭირო კომპეტენციის განხორციელება შესძლოს თემა თუნდაც ზემოდ ნახსენებ ფარგლებში, ამისათვის საჭიროა მას ქონდეს შედარებით ფართო ტერიტორია არა ნაკლებ 6—7 ვერსტი რადიუსით და კომლთა რიცხვის სიმრავლე საშუალოდ 4.000. ყოფილ საზოგადოების ფარგლებში გამოჭრილი დღევანდელ თემთა დიდი უმეტესობა დაახლოვებითაც ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და ასეთი ერთეულები, ცხადია, ვერც შესძლებენ ასე ფართო კომპეტენციის ხეირიანათ გამოყენებას, მაგრამ მარტო ამ მოსაზრებით, რომ თემის უფლება-მოსილება შეიზღუდოს, ეს იქნება უგუნურობა. გაივლის დრო და თემები თავად დაინახავენ შეერთების აუცილებლობას. დღეს ეს მოვლენა სენაკში იწყება უფრო პატარა თემების გაერთიანებით, ხვალ ეჭვი არ არის უფრო ძლიერათ. წამოყობს თავს ეს საჭიროება სხვაგანაც და ახლო მომავალში ცხოვრება. თვით დააყენებს დღევანდელ წვრილ ერთეულებს გაერთიანების ნიადაგზე. თუ წვრილ ერთეულებს მივიჩნევთ მხოლოდ ცენტრის განკარგულებათა გამტარებელ ორგანოებათ, მაშინ უფრო მიზან-შეწონილი იქნება, წვრილ ერთეულებათ იქმნას ალიარებული დღევანდელი სოფლები თუ სამრევლოები, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო დარჩება რამდენიმე სოფლის ერთ რაიონში გაერთიანება, ეს კი ჩვენს პირობებში უნდა ჩაითვალოს მიზან-შეწონილათ.

რადგანაც სამაზრო ერობა მაზრის საზღვრებში არსებულ თემათ დამკიდებულებაში არის ინტერნაციონალური ორგანიზაცია, სხვათა შორის ამ მისი ბუნებრივი მდგომარეობის ძალითაც მას უნდა დაეკისროს ცენტრის მთელი იძულებითი უფლება მაზრის მართვის საქმეში და კონტროლი და ხელმძღვანელობა. მაზრის თემებისა თვითმართვის ნიადაგზე. რომ ეს მიზანი შესაფერათ იქმნას მიღწეული, აუცილებლად საჭიროა მაზრაში არსებული ქალაქის მილიცია ემორჩილებოდეს მაზრის მილიციის უფროსს. ამას მოითხოვს მაზრაში წესრიგის დაცვის ინტერესებიც. რაც შეეხება თვითმართვას, ამ ნიადაგზე, ვფიქრობთ, ქალაქთა შორის განსხვავება არ უნდა დარჩეს. რადგანაც ქალაქი გაჩნდა, მასზე საქალაქო დებულება უნდა ვრცელდებოდეს მთელი თავისი შინაარსით. გამოყოფა შეიძლება მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის, როგორც იმერ-ამერეთის. დედა-ქალაქების. ქა-

ლაქს აჩენს ეკონომიური ცხოვრება და სოციალური პირობები და არა სახელწოდება. ლანჩხუთი, სამტრედია, ხონი არ არიან დიდი ქალაქები, მაგრამ ისენი სოფლებთან შეტარებით კი წარმოადგენენ უკეთეს ეკონომიურ ცენტრს და თუ ჩვენში კი იქნება ადგილი შედარებით ასე ფართო-უფლებიან თემს ეგოდენ მცირე ტერიტორიით და მცხოვრებთა რიცვით, რატომ არ უნდა იქმნეს დასაშვები პატარა ქალაქები? ქალაქებს მაინც აქვთ თავისი ღირსება და კულტურის ნიშანდობლივი ხასიათი და ჩვენ სრულებით არ უნდა ვიყოთ დაინტერესებული უკვე გაჩენილი ქალაქების მოსპობაში. ახალ ქალაქების გაჩენაში კი შეგვიძლიან მეტი სიფრთხილე. გამოვიჩინოთ, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი დებულებანი:

1. ჩვენ ერობას უნდა ქონდეს ორი საფეხური: წვრილი ერთეული და სამაზრო ერობა, მესამე საფეხურად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა.

2. სამაზრო ერობა უნდა იქმნეს შემდგარი მაზრის თემთა და ქალაქთა წარმოადგენილ ხმოსნებისაგან პირდაპირი ან არა პირდაპირი არჩევნებით. მხოლოდ მაშინ მოისპობა ინტერესთა დაპირდაპირება, გაუგებრობა და განმტკიცდება ღირსეული დამოკირდებულება თემებსა და მაზრას შორის, როცა მათ შორის ამ სახით გაიძმება ორგანიული კავშირი.

3. რესპუბლიკის მილიცია უნდა მოეწყოს როგორც ერთი მთლიანი აპარატი, შინაგან საქმეთა მინისტრის მეთაურობით და ერობის საფეხურთა დამოკირდებულება მილიციასთან უნდა გამოიხატოს თანამშრომლობაში, ხელმძღვანელობაში და კონტროლში. მაზრის და თემთა მილიცია უნდა წარმოადგენდეს ერთს მთელს აღმინისტრატიულ აპარატს მაზრის მილიციის უფროსების პასუხის მგებლობით.

4. მაზრის, ყველა ქალაქების, თბილისისა და ქუთაისის გამოკლებით, მილიცია უნდა დაუმორჩილდეს მაზრის მილიციის უფროსს.

5. თემი როგორც რესპუბლიკის ძირითადი თვითმმართველი. ერთეული უნდა იყოს აღჭურვილი ფართო უფლება-მოსილებით თვითმმართვის საქმეში, განსაკუთრებით ეკონომიურ-კულტურულ დარგებში. მას უნდა ქონდეს აგრეთვე იძულებითი უფლება ზოგ დარგებში, განსაკუთრებით ნატურალური ბეგრის შემოლებაში.

6. სამაზრო ერობა უნდა ასრულებდეს მაზრაში ცენტრალურ მთავრობის წარმომდგენლობას მართვის საქმეში, და ამ სფეროში კონტროლს უწევდეს და ამოქმედებდეს თემებს, აგრეთვე უნდა აერთებდეს და ხელმძღვანელობას უწევდეს მათ თვითმმართვის ნიაღაგზე.

7. ჩვენი ერობის ორივე საფეხურზე უნდა იყოს დაწესებული ცენტრალური მთავრობის კონტროლი ნაწილობრივათ და კუთვნილებისამებრ აღმინისტრატიულ და ფინანსიურ მხარეებში როგორც კანონიერობის ისე მიზან-შეწონილობის მხრივ.

ქალაქის და ერობის თვითმართველობათა მოვალეობა საქართველოს  
კურორტების აღმშენებლობის საქმეში.

## I.

თამამათ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იმდენი კურორტები, რამდენიც  
ჩვენ პატარა საქართველოშია, ბევრ დიდ სახელმწიფოშიც არ მოიპოვება.

ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების საკურორტო  
კომისიის გამოკვლევით საქართველოში ითვლება 188 კურორტი.

ამათგან ბევრი უკვე ცნობილი კურორტია და ბევრი ხალხიც დაია-  
რება იქ, როგორც საქართველოდან, ისე სხვა მეზობელ სახელმწიფოები-  
დან. უმეტესობის არსებობა კი ჯერ მხოლოდ ახლო მდებარე დაბა-სოფ-  
ლებმა და შემთხვევით მგზავრებმა იციან.

ამ უკანასკნელთაგან ბევრი ისეთი ლიტერატურისაა თვისი ბუნებრივი თვი-  
სებით, რომ ცნობილ საუკეთესო ევროპიულ კურორტებს არ ჩამოუვარდება.  
მაგრამ სამწუხაროთ უგზობის და მოუწყობლობის გამო იქ ჯერ-ჯერობით  
ცოტა ხალხი დაიარება და მითი გამოკვლევაც ჯერ არ დამთავრებულა.

ჩვენი საერობო და სამუნიციპალო თვითმართველობათა მოვალეობაა  
შეუდგეს სახელმწიფოსთვის ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმის მოწყობას.

ჩვენ ვიცით, რომ იმ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ  
მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით ეხლა, კერძო ინიციატივი-  
სათვის მოღვაწეობის ასპარეზი შეზღუდულია და ამიტომ წარმოების გა-  
ფართოვებაც მას არ შეუძლიან. საზოგადოებრივი და კოლექტიური წარმო-  
ება კი თან და თან დიდ აღილს იჭერს ჩვენ ქვეყანაში და მომავალი  
პერსპექტივებიც ამგვარ წარმოებას უფრო დიდი უნდა ჰქონდეს. რასაკ-  
ვირველია, კერძო წარმოებაც ფეხდაფეხ უნდა გაჰყვეს საზოგადოებრივ  
წარმოებას.

აი, ამ მოსაზრებით ჩვენი ქვეყნის აუარებელი კურორტების, მათი  
მინერალული წყლების, ტალახების და მკურნავი ჰავის მრწყობა თავს უნდა  
იდვან ჩვენმა სამუნიციპალო, საერობო დაწესებულებებმა და თვით სა-  
ხემწიფომ.

## II.

დაახლოვებით გავითვალისწინოთ თუ რა უნდა გააკეთონ ჩვენმა საზო-  
გადოებრივმა დაწესებულებებმა ამ დიდ საქმის ევროპიულად მოსაწყობათ-

როგორც ყოველი დიდი საქმე კეთდება, თანდათანობით და წინდა-  
წინვე შედგენილი გეგმით, ასევე უნდა გაკეთდეს ეს საქმეც. გეგმა ჩვენი კუ-  
რორტების აღმშენებლობისა უნდა იყოს შედგენილი ორნაირი: ახლო

მომავლისა და მერმისისა. რაც გაკეთდება დღეს, უნდა იყოს პირველი სა-ფეხური ამ საქმის მერმისისა.

ამ მხრივ ჩვენ თვითმართველობათ დიდი საქმიანობა სჭირიათ. ბევრი მათგანი ძალა უნდებურათ ვალდებული გახდება მოაწყოს თავისი ადგი-ლობრივი კურორტები, მხოლოდ ცენტრალური დაწესებულებანი ერობისა და ქალაქებისა ვალდებული გახდებიან ეს საქმე უფრო ვრცელი მასშტა-ბით მოაწესრიგონ.

მოვიყვანოთ მაგალითები: ქ. თბილისის თვითმართველობა უნდა შე-უდგეს თბილისის გოგირდის წყლების მოწყობას, ბორჯომის თვითმართვე-ლობა ბორჯომის წყლებისას, სიღნაღისა—ახტალის ტალახებისას, ქუთაი-სისა—წყალტუბოსი და სხ. და სხ.

მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულებათ ეს კერძო საქმიანობა ადგი-ადგილობრივ თვითმართველობათა უნდა შეაკავშიროს და საერთო ხელ-მძღვანელობა უნდა გაუწიოს. ამის გარდა ცენტრალურმავე დაწესებულე-ბებმა უნდა მოაწყონ ფინანსიური მხარე ამ დიდი საქმისა.

მხოლოდ, ვინაიდგან საკურორტო საქმეს აქვს სახემწიფოებრივი მნი-შენელობა და ამ საქმის ჯეროვან საფუძველზე დაყენებას ექნება დიდი გავლენა საქართველოს ქვეშევრდომთა ფიზიკურ და ეკონომიკურ მდგომა-რეობაზე, ამიტომ სახემწიფომ უნდა მიაქციოს ამ საქმეს ღირსეული ყუ-რადღება და უმთავრეს ყოვლისა უნდა იქონიოს საზოგადო კონტროლი.

ესლა გავითვალისწინოთ, თუ სახელდობრივ რა უნდა გაკეთდეს და-ახლოვებით ამ საზოგადო დაწესებულებათა მიერ ჩვენი კურორტების ალ-შენებლობისათვის.

1. როგორც ზემოთა ვთქვით საქართველოში ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების საკურორტო კომისიის გამოანგარიშე-ბით საქართველოს ტერიტორიაში ითვლება 188 სხვა და სხვა გვარი სა-კურორტო ადგილი. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად: თბილისი, ბორ-ჯომი, ახტალა; წყალტუბო, აბასთუმანი, ბახმარო, ბაკური.ნი, სოხუმი, გა-გრა, პატარა ცემი—უკვე ცნობილი არიან დიდი საზოგადოებისათვის, მაგრამ სხვა საკურორტო ადგილების არსებობა სრულებითაც არ იცის დიდმა საზოგადოებამ. ამიტომ ყველა ცოტათი თუ ბევრათ საკურორტო გამოსადევი ადგილი უნდა იყოს აღწერილი და ცნობაში მოყვანილი. ამის გარდა ყველა საკურორტო ადგილის შესახებ უნდა მოხდეს მეტეოროლო-გიური გამოკვლევა, უნდა იყოს ნაჩენები ამ მხრივ ყველა ცნობები: მზიანი და წვიმიანი დარის რაოდენობა წლის განმავლობაში, ქარის მიმართულება და სიძლიერე, წლიური საშუალო ტემპერატურა და მისი ცვლა ზამთარ-ზაფხულ, დღე-ღამეში და სხ. სამწუხაროთ, აშგვარი ცნობები ზოგიერთ უკვე ცნობილი კურორტების შესახებაც არა გვაქვს. ეს ცნობები კი ისეთ საჭიროებას წარმოადგენენ, რომ თუ ამგვარი ცნობები არა გვაქვს, რომე-ლიმე ადგილის შესახებ, იმ ადგილის კურორტათ გამოცხადება კანონის ძალით. არ შეიძლება.

2. უკვე უკვე ცნობილ კურორტებში უნდა იქმნეს შემოღებული სავალდებულო დადგენილებანი, რომ კურორტის სანიტარულ—ჰიგიენური მდგომარეობა გაუმჯობესდეს: ვიდრე ამგვარ კანონს მიიღებდეს ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულება, დამფუძნებელი კრება, ჩვენ უთუოთ უნდა ვიხელმძღვანელოთ რუსეთის დუმას მიერ 1914 წელს მიღებულ „კურორტების დაცვის კანონით“. თუ ამ კანონს ჩვენი თვითმართველობანი დროზე არ განახორციელებენ, ჩვენი კურორტები არამც თუ არაფერ სარგებლობას არ მოუტანს ავადმყოფებს, პირიქით ისინი გახდებიან ბუდეთ სხვა და სხვა ავადმყოფობისა. თუ ზედ დაუმატებთ უსწორ-მასწორო შენობების აშენებას, გზების გაყვანას და სხ., მაშინ შეგვიძლიან ჭოქვათ, რომ ჩვენი კურორტები სრულიად დაჰკარგავენ იმ ღირსებას რაც აქამდის ჰქონდათ მათ.

3. ჩვენი სამშობლოს კურორტების შესახებ, ჯერ-ჯერობით იმათზე, რომლებიც უკვე ცნობილნი არიან, უნდა შევადგინოთ წიგნაკები-პროექტები, რომელშიც უნდა იყოს ნაჩვენები: გზები, ჰავა, მინერალური ტალანის ან წყლის ქიმიური და თერაპევტიული თვისება, კურორტის გახსნის და დახურვის დრო, სასტუმროები, სანოვაგის ღირებულება და სხ. და სხ. ეს პროექტები უთუოდ დასურათებული უნდა იყვნენ, ამგვარი წიგნაკები უნდა გამოიცეს ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ და ევროპიულ ენებზე და რაც შეიძლება ბევრი, უნდა გავრცელდეს როგორც ჩვენში ისე სხვა სახელმწიფოებში.

4. უოველ კურორტზე ადგილობრივ თვითმართველობის ექიმებს უნდა დაევალოს, რომ მოახდინონ კურორტზე მოსულთა რეგისტრაცია და დაკვირვება იქ მისულ ავადმყოფებზე. ეს დაკვირვებანი უნდა იყოს შეძლებისდაგვარათ მეცნიერულათ მოწყობილნი და უნდა ბოსხენდნენ სხვა და სხვა საექიმო სამეცნიერო საზოგადოებებს, ბოლოს სისტემატიურათ დამუშავებული ეს მასალები უნდა გამოქვეყნდეს პერიოდიულ ორგანოებში.

5. იმ კურორტებში, საღაც სანოვაგის შოვნა ძნელია და ამ მხრივ ავადმყოფნი განიცდიან დიდ გაჭირებას, თვითმართველობებში უნდა მოაწყონ სურსათის შოვნა კოოპერატიულათ მაგალითად: ახტალაში, ბახმაროში და სხ.

6. დიდ კურორტების მოსაწყობათ, (თბილისი, ბორჯომი, ახტალა) საქართველოში უნდა იქმნეს მოზიდული ევროპიული კაპიტალი და ტეხნიკა ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს იმოდენა კაპიტალი და ტეხნიკური ცოდნა, რომ ეს კურორტები მოვაწყოთ ევროპიული მხოლოდ კაპიტალიც და ტეხნიკაც ისე უნდა იყოს დაშვებული, რომ ჩვენი სიმდიდრის ბატონ-პატრონათ ბოლოს ისევ ჩვენ დავრჩეთ. ევროპიული კაპიტალის მოზიდვა, სხვათა შორის, იმიტომაც იქნება საჭირო, რომ ევროპიულები ეცდებიან ჩვენი კურორტების შესახებ გაავრცელონ რეკლამა და რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიზიდონ:

7. უნდა დაარსდეს საკურორტო საზოგადოება, რომლის ფუნქციები დაასლოვები ისეთი უნდა იყოს, როგორიც ჰქონდა კავკასიის საკურორტო საზოგადოებას. ამ საზოგადოებაში უნდა ირჩეოდეს ყოველგვარი საკითხები: ბალნეოლოგიური, ტეხნიკური, ფინანსიური და სხ. როგორც მეცნიერულის, ისე პრაქტიკულის მხრივ. საჭირო იქნება, რომ ამ საზოგ. ჰქონდეს საკუთარი ბეჭვდითი ორგანო, სადაც უნდა იბეჭდებოდეს ყველა მოხსენება ნი ამ საზოგადოების და ყოველგვარი ცნობები ჩვენი კურორტების შესახებ.

8. იმ კურორტებში; სადაც ჭაობის ციებ-ცხვლება მძვინვარებს, უნდა იყოს მიღებული ზომები ჭაობების დასაშრობათ, შენობების მოსაწყობათ იმგვარად, რომ კოლოებს არ შეეძლოთ ბინებში შესვლა, საკურორტო მოსულ ავადმყოფთა მიერ ქინაქინის ხმარება და სხ. ამგვარი ზომები მაგალითად საჭირო იქნება უკვე ცნობილი კურორტებში: ახტალაში, წყალტუბოში, ბორჯომში.

9. იმ კურორტებში, რომელთაც აქვთ თვისი ჰავით, ან წყლებით და ან ტალახებით უკვე დიდი მნიშვნელობა, უნდა აშენდეს ყველა სპეციალური ბალნეოლოგიური შენობები: აბანოები მოწყობილი აბაზანებით, ღუშებით, და ოფლსადენებით; ოტელები და კურზალები; უნდა გაშენდნენ სასეირნო ბაღები და სხ. წყლის და ტალახის ტრანსპორტისთვის უნდა მოეწყოს ყველა საჭირო დაწესებულებანი.

10. სახელმწიფოს მოვალეობას უნდა შეადგენდეს კურორტებზე მიმოსვლელ გზების გააუმჯობესება. ჩვენ ვიცით, რომ თუ კურორტში მისასვლელი გზები ცუდია, ხალხი ნაკლებათ დაიარება. და თუ ავილებთ იმგვარ ავადმყოფებს, რომელთაც უნახავთ ევროპიული კურორტები ისინი სრულიად არ წავლენ საწამლებლად იქ, სადაც მიმოსვლა უხერხულია.

11. სახელმწიფოს მოვალეობას უნდა შეადგენდეს კურორტებზე, ფოსტა-ტელეგრაფის სადგურების გახსნა.

12. ყველა ცოტათ თუ ბევრათ ცნობილ კურორტზე უნდა გაიხსნას აფთიაქები, რომ ავადმყოფებს შეეძლოთ წამლების აღვილათ შოვნა და არ უხდებოდეთ მათ წამლებისათვის შორს სიარული.

13. მინერალური წყლების და ტალახის ტრანსპორტი ისე უნდა მოეწყოს, რომ გამოტანილი წყალი და ტალახი იაფად ლირდეს. როდესაც რომელიმე მინერალური წყალი ძვირია, იმას ხმარობს მარტო შეძლებული ხალხი და მაშასადამე იგი არ ვრცელდება მასსაში. რაოდენობა მის წარმოებისა კლებულობს და ამიტომ დაბოლოს შემოსავალიც ნაკლები აქვს ამ წყლის პატრონს.

14. ერთ დიდ უპირატესობას ჩვენი სამშობლოს კურორტებისას შეადგენს ის გარემოებაც, რომ აქ შედარებით მცირე ტერიტორიაზე და მოკლე მანძილზე იმყოფებიან, ერთის მხრით, საზაფხულო მთის კლიმატიური სადგურები და, მეორეს მხრით, საზამთრო - ზღვის ჰავის სადგურები; მაგა-

ლითად ბაკურიანი, აბასთუმანი და ბახმარო -- ერთის მხრით და სოხუმი და გაგრა — მეორეს მხრით. მაშასადამე იმ ავადმყოფებს, რომელთათვისაც საჭიროა ამგვარი ჰავა, შეუძლიანთ აქ დაჰყონ თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ამიტომ ჩვენ კურორტებზე უნდა არსებობდეს ერთგვარი კავშირი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ადვილათ გადაყვან-გადმოყვანა ავადმყოფებისა ერთი კურორტიდგან მეორეზე.

თუ ყველა ზემოთ ნაჩვენებ ზომებს ჩვენი თვითმართველობანი დაახლოვებით მაინც განახორციელებენ, ჩვენი კურორტები სულ ცოტა ხანში გადაიქცევა მეზობელ სახელმწიფოს მცხოვრებთა მუდმივ კურორტათ და შემდეგში, შეიძლება შორეულ სახელმწიფოებიდანაც დაიწყონ აქ სიარული, როგორც საწამლებლათ ისე დასასვენებლათ და ჩვენი საუცხოვო და ამაყი ბუნების სანახავათაც.

ამ მხრივ ჩვენი სამშობლო შეიძლება შევადაროთ პატარა შვეიცარიას. ჩვენ ვიცით, რომ შვეიცარია უმთავრესად ტურისტებით არსებობს. ყოველ წელს იქ ათი და ასი ათასობით მიდიან ტურისტები. მილიონებით სტოვებენ იქ სიმდიდრეს და შვეიცარიის ოესპუბლიკას ამდიდრებენ. ჩვენი ტურთა სამშობლო სილამაზით და თვის ბუნების სხვა-და-სხვაობით არ ჩამოუვარდება შვეიცარიას. აქ ხშირათ სულ ათი-ოცი ვერსის. მანძილზე შეხვდებით მშვენიერ მწვანე ველ ბალებით და ვენახებით შემკულ; დაბურულ, გაუვალ ტყეს ხევებით და უფსკრულში მიმავალ კლდეებით, რომელთა ძირში მისჩევთ მთის გიუმაურ მდინარე. ხშირათ ეს მდინარე ამ კლდეების სიმაღლიდგან აქაფებული ექანება ძირს, როგორც ჩანჩქარი. როცა გასცდებით ამ ტყეს და ახვალთ ზემოთ, შეხვდებით მაღალ მთებს მწვანე ხავერდის ფერი ბალაზით დაფარულს, მხოლოდ მთების ქედები კი შემოსილნი არიან თეთრი სტეტაკი თოვლით და ყინულით.

ასეთი ლამაზი და სხვა-და-სხვანაირია ბუნება ჩვენი სამშობლოსი. მაგრამ სამწუხაროთ კაცის ხელს აქ არაფერი არ გაუკეთებია, რომ შესაძლო გამხდარიყო. აქ ყველასათვის მოსელა და ამ ბუნებით წამლობა, და დატკბობა. შვეიცარია კი ამ მხრივ აჭრელებულია სხვა-და-სხვა გვარი გზებით, რომლებზედაც აუარებელი ხალხი დაიარება შვეიცარიის ბუნების სანახავათ და მის მიღამოებში სულიერ და ხორციელ დასასვენებლათ.

ექიმი ალ. მაღალაშვილი.

გარდასახადი დაუშასხურებლად გაშრდილ ლირებულებაზე.

ჩვენმა დრომ იცის სამნაირი რეალური გარდასახადი: 1) გარდასახადი შეფასების კვალობაზე; 2) სპეციალური დაბეგვრა უძრავ ქონებისა და 3) დაუმსახურებლად გაზრდილ ლირებულების დაბეგვრა.

თანამედროვე გარდასახადი, დაწესებული უძრავ ქონების შეფასების კვალობაზე, აღმოცენდა უძრავ ქონების შემოსავლის დაბეგვრიდან. ასეთი გარდაქმნაც იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ქალაქის წრეში მოთავსებული მიწის ნაჭრები არ იყო გაშენებული, მაშასადამე, ან სულ არ იყვნენ შემოსავლიანი, ან სულ მცირე შემოსავალს იძლეოდნენ და ამის გამო ქალაქისათვის ან არაფერი გარდასახადი შემოქმნდათ, ან ეს გარდასახადი სულ მცირე იყო, მაგრამ იმავ დროს ამ მიწების პატრონები სარგებლობდნენ ყველა იმ ხელსაყრელ მხარეებით, რაიც ქალაქის თვითმართველობის მოქმედებას მოსდევს უძრავ ქონებისათვის, აგრეთვე იმით, რომ მათი დაკუთრების შემოსავლიანობა სრულებითაც არ უდრიდა მის ღირებულებას. თვით ქალაქის თვითმართველობის არსებობა, მისი მოღვაწეობის შესაძლებლობა მოითხოვდა, რომ ამ სახის გარდასახადი ყოფილიყო დაწესებული.

მეორე სახის გარდასახადი სხვა მოსაზრებით იყო გამოწვეული. ქალაქის თვითმართველობა ბევრს ისეთ დაწესებულებებს და წარმოებებს აწყობს, რომლებსაც ყველა მცხოვრებთათვის მოაქვთ სარგებლობა, მაგრამ ყველაზე მოგებულნი მის საქმიანობით უძრავ ქონების პატრონები რჩებიან; ყველაზე ძლიერ ისინი სარგებლობენ თვითმართველობის საქმიანობის ნაყოფით. გაპყავთ ახალი ქუჩა, ქვათენილით იფარება მეორე, გაპყავთ ტრამვაი, კანალიზაცია, წყალსადენი—ყველა ეს მცხოვრებთათვისაც ხელსაყრელია, მაგრამ მიწის და სახლის პატრონები აქედან ყველაზე მეტს მოგებას პოულობენ. ამიტომ თვითმართველობის ამნაირ საქმეში, სამართლიანობის ძალით, მათ სხვაზე მომეტებული ნივთიერი მონაწილეობა უნდა მიიღონ. სწორეთ ამ საფუძველზე დამყარებული მათი სპეციალური დაბეგვრა. მუნიციპალიტეტებს უფლება მიენიჭათ შემოილონ განსაკუთრებული გადასახადი მიწის და სახლისპატრონებზე, რომლებიც მეტს იგებენ თვითმართველობის მოღვაწეობისაგან.

ამ გადასახადების საფუძველი—სოციალური სამართლიანობაა. ადგილობრივი თვითმართველობა უნდა არსებობდეს, მოქალაქეთა განსაზღვრულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. თუ ეს მართალია, მაშ თვითმართველობისთვის უნდა გამოინახოს საჭირო საარსებო წყარო. უმთავრეს წყაროთ უფრო შეძლებული მცხოვრები უნდა იყვნენ ცნობილნი, რადგან აბა ღარიბს რას წაართმევ და საშუალო შეძლების მცხოვრებთ კი მხოლოდ იმას თუ გამოართმევ, რაც მის აუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილებას გადარჩება.

ამ მიზნით იყო შემოღებული ქონების დაბეგვრა. მის შემოსავლის კვალობაზე; ამ წესის ძალით ის უძრავი ქონება, რომელიც მუდმივ შემოსავალს არ იძლეოდა, არც იბეგრებოდა. ამ კატეგორიაში უფრო გაუშენებელი მიწები იყო მოქცეული. მუდმივს შემოსავალს ისინი, მართალია, არ იძლეოდნენ, მაგრამ დროთა მიმდინარეობის წყალობით თავის ღირებულებას კი ზრდიდნენ.

იმავ დროს აღმოჩნდა, რომ გაშენებულ მიწების საკუთარი ლირებულება და მათი შემოსავლიანობა არ არიან ერთმანეთთან ისე დაქავშირებული, როგორც მიხეზი და შედეგი. მათ შორის ხშირად პირდაპირი პროპორციონალობა კი არა, უკულმა პროპორციონალობა იჩენს თავს. გამოკვლევამ გამოაშეარვა, რომ „შენობის შემოსავლიანობა მით უფრო არ უდრის მის ლირებულებას, რამდენათაც ეს ლირებულება უფრო მაღალია და რამდენათაც უფრო მდიდარია მცხოვრებთა ის კლასი, რომლისათვისაც არის შენობა გაშენებული“ \*). შედარებითი შემოსავლიანობა მუშათა უბნის სახლებისა ბევრათ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე შემოსავლიანობა მდიდრების სასახლეებისა. ამით აიხსნება შუშათა უბნის სახლების ექსპლუატაციის ოვისებურობა. მაგრამ თუნდა ისეთი შენობებიც რომ შევაღარით, რომლების ექსპლუატაცია ერთნაირ პირობებში ხდება, ხშირათ აღმოჩნდება ხოლმე, რომ მიუხედავათ შემოსავლიანობის ერთნაირობისა, მათი ლირებულება მაინც ერთნაირი არ არის. იმავე გლებოვს მოჰყავს მაგალითები ქალაქ ზოლინგენის ცხოვრებიდან, სადაც ერთნაირ შემოსავალს იძლეოდნენ სახლები, რომელთა ლირებულება იყო 14.000, 19.200, 23.900 მარკა. აქედან გამოდის, რომ უფრო სამართლიანი იქნება ლირებულების კვალობაზე დაბეგვრა, და ეს კიდევ შემოიღეს. მაგრამ ამაზე უწინ ის გამოირკვა, რომ ოვითმართველობათა საქმიანობას ზოგიერთ მოქალაქეებისთვის და მოქალაქეთა ჯგუფებისთვის, როგორც კერძო საქუთრების წარმომადგენელთათვის, გაორკეცებული სარგებლობა მოაქვს. ეს გაორკეცებული სარგებლობა, სოციალურ სამართლიანობის ძალით, უნდა ანაზღაურებული იყოს განსაკუთრებულ დაბეგვრით. აქედან წარმოსდგა მეორე სახის რეალური დაბეგვრა — სპეციალური დაბეგვრა უძრავ ქონებისა.

თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობის შესწავლა გვაჩვენებს, რომ ორივე ზემოთ-მოყვანილი ხარჯი ჯერ კიდევ შორს არის სოციალურ სამართლიანობის განხორციელებისაგან: მათ მივყევართ სოციალურ სამართლიანობისკენ, მაგრამ მისი დამყარება ამ ხარჯებს არ შეუძლიანთ. ა. დომაშექს („ვალაუ ი. ი. ხივაში ისტვა“) მიერ მოყვანალი მაგალითი ამას კარგათ გვაჩვენებენ. ეს მაგალითი იმდენათ მრავალ-მეტყველია, რომ მისი მრყვანა ლირს. მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედის ბოლოში გლეხმა კილიანმა ქ. შენებერგში, ბერლინის ახლოს, იყიდა მიწის. ნაჭერი 2.700 ტალერათ. 50 წელს ფლობდა იგი ამ ნაჭერს. ამ ხანში მიწა გაანოუიერეს, წყალი გაიყვანეს, შემოიღეს მასზე რაციონალური მეურნეობა, ბევრი საკუთარი და დაქირავებული შრომა დახარჯეს. მე-70 წლებში ეს ნაჭერი 6.000.000 მარკათ გაჰყიდეს ე. ი. მისი ლირებულება 5.991.900 მარკით გაზრდილი\*\*). რა თქმა უნდა, ამნაირი ლირებულება ვერ შეიქმნე-

\* ) გლებოვი: „Облюжечеіа հեասլույշենիаро սրироста լինностей“.

\*\*) საუკუნის დასაწყისის ტალები უდრის ებლანდელს 3 მარკას.

ბოდა გლეხის, მის ოჯახის და მის მუშების შრომით. დომაშვე ამის შესახებ ამბობს: „იმ გარემოებას, რომ 8.100 მარკა (2.700 ტალერი) გადიქცა 6 მილიონად, ხელი შეუწყეს ყველა სახელმწიფო მოღვაწეებმა, იმ პირებმა, რომლებიც იმ 50 ბეჭნიერ წლებში გერმანიას სათავეში უდგნენ: სარდლებმა, რომლებმაც ომები მოიგეს, ჯარისკაცებმა, რომლებმაც თავი დასდეს, აღმომჩენებმა, რომლებმაც წარმოების ახალი გზები გვიჩვენეს ფაბრიკანტებმა, ვაჭრებმა, მუშებმა, მხატვრებმა, მასწავლებლებმა,—ყველა, მათ, ვინც თავის გონებრივ და ფიზიკურ შრომით ხელი შეუწყეს გერმანიის იმპერიის ზრდას და ძლიერებას და მასთან ერთად მის დედა-ქალაქის აყვავებას.\*).

დომაშვეს მიერ მოყვანილი მაგალითებისთანა ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ. ისინი იმის მრალადებელნი არიან, რომ ქალაქის მიწის ნაჭერის ლირებულება ნაყოფია: 1) ამ ნაჭერთან დაკავშირებულ პირთა პატარა ჯუფის შრომისა (თუ ეს შრომა გაწეულია) და 2) ამა თუ იმ სამეურნეო წესებისა, —რომელშიაც იმყოფებოდა ეს მიწა ისტორიულ პირობათა მთელი რიგის წყალობით. სხვანაირათ რომ ვსოდეთ: ქალაქის ფარგალში მდებარე მიწის ნაჭერის ლირებულება შეიცავს 1) შრომით შეძენილ მიმატებას და 2) უშრომლად შეძენილ მიმატებას, რომელიც შეიქმნა ეკონომიურ წეს-წყობილების განსაზღვრულ პირობების გავლენით.

ეს გარემოება შეამჩნიეს ინგლისში საადგილ-მამულო რეფორმის მომხრებმა და ქალაქის მიწის რენტის ზრდას უწოდეს „unearned increment“ „დაუმსახურებელი გადიდება“, ჩეცნში კი ამას ვუწოდებთ „დაუმსახურებლათ გაზრდილ ლირებულებას“. ეს ზრდა წარმოადგენს შემოსავლის იმ წყაროს, რომელსაც ადლეთ ვაგნერმა „კონიუნქტურული“ უწოდა, ეს სიტყვა „კონიუნქტურული“ მას ასე ესმის: იგი ნიშნავს მოქმედებას ტეხნიკურ, ეკონომიურ, სოციალურ, უფლებრივ პირობათა, რომელთა გავლენითაც ისაზღვრება (ან სავსებით, ან უმთავრესად) კერძო საკუთრებაზე და შრომის განაწილებაზე დაფუძნებულ სახოგადოებაში საჭირო საგნების მოთხოვნა, მოწოდება და, მაშასადამე ფასიც მესაკუთრის უფლებისგან და მის ღვაწლისგან დამოუკიდებლათ\*\*).

ამგვარად მიწის შემოსავლიანობა ორგვარია: პირველი ნაყოფია მაზე გაწეულ შრომისა; მეორე—ნაყოფია ისტორიის მსვლელობით გამოწვეულ გარეშე პირობათა სუმმისა, რომელშიც იმყოფება ეს მიწა. პირველი სახის შემოსავალი პერიოდულათ იჩენს თავს და მისი ცნობაში მოყვანა ადვილია და მისი სავარაუდო გამოთვლა ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია. შემოსავლიანობის დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტზე ადვილი გამოსარკვევია და აქედან ადვილათვე შეიძლება ის დასკვნაც გავაკეთოთ, თუ რამდენათ დამოკიდებულია იგი გაწეულ შრომაზე.

\* ) А. Домашке. იქვე.

\*\*) Твердохлѣбовъ—Нагогъ на незаслуженныи приростъ чѣнности.

მეორე ხასიათის შემოსავალი მხოლოდ ზოგიერთ მომენტებში იჩენს თავს თვით-ლირებულების ზრდის სახით. მისი ცნობაში მოყვანა მხოლოდ ზოგადათ შეიძლება და მისი სავარაუდო გამოახვარიშება მომავლისათვის სრულიად შეუძლებელია. მხოლოდ გარეშე ფაკტორების გავლენაზე მითითებით ვკმაყოფილდებით, მათი რეზულტატის აღმოჩენა კი მხოლოდ ლოლიკურის დასკვნის საშუალებით შეიძლება,— მრავალი ერთნაირ სამეურნეო ერთეულთა შედარების საშუალებით. ამგვარათ აღმოვაჩენთ ერთნაირს ნორმას, რომლითაც განისაზღვრება საშუალო შემოსავლიანობა, ამა თუ იმ გარეშე პირებობის ზე-გავლენით შექმნილი. რაც ამ საშუალო ნორმას აღემატება, ის უნდა ჩაითვალოს შემოსავლის განსაკუთრებულ ზრდათ, მის „დაუმსახურებელ“ გადიდებათ. მისი გამოაშკარება ჩვეულებრივ ხდება საკუთრების გადაცემის დროს.

ყველა ჩვენ მიერ აღნიშნულ პირობებს განსაკუთრებულ შემოსავლიანობისა, რომელსაც „ლირებულების დაუმსახურებელი ზრდა“ ეწოდება, დაბეგვრის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. დაბეგვრა სოციალურ სამართლიანობის ნიადაგზე უნდა შენდებოდეს და სწორეთ იმნაირ შემოსავალზე უნდა წესდებოდეს, რომელიც არ შეაღვენს აუცილებელს საჭიროებას იმ პირისათვის, ვინც ამ შემოსავალს ღებულობს. შემთხვევითი ელემენტი ამ „კონიუნქტურულ“ შემოსავალში აშკარად იჩენს თავს: ეს შემოსავალი არ შეაღვენს საფუძველს საარსებო საჭიროებისათვის, იგი ამ საარსებო საჭიროების ზედ-ნადებია. ამიტომ ამნაირ შემოსავლის დაბეგვრით სოციალურ სამართლიანობის პრინციპს ესმება ხაზი.

ამის წინააღმდეგ შეიძლება წამოყენებულ იქნას ან ზოგადი, ან კერძო მოსახრება. ზოგადი მოსახრება იმ დედა-აზრზეა დაფუძნებული, რომელიც არღვევს არა მარტო ამ ხასიერის გარდასახადს, არამედ საზოგადოთ ყოველს გარდასახადს. ამბობენ, მაგ., რომ უშრომლად გაზრდილ ლირებულების დაბეგვრა ისევ ის კონფისკაცია კერძო საკუთრების ერთნაშილი-საო და ამ გარდასახადის მოწინააღმდეგენი მართალნიც არიან: ყოველი გარდასახადი არის კონფისკაცია. საკითხი სწორეთ იმაშია, თუ რამდენათ სამართლიანია ეს კონფისკაცია და რამდენათ საგრძნობელია იმისთვის, ვისაც იგი ედება. თუ იგი იმისთანა შემოსავალს ედება, რაც მის პატრონისათვის საარსებო საჭიროებას შეაღვენს, იგი უფრო უარყოფითია, ვიდრე სასარგებლო. მაგრამ თუ იგი ვაცელდება იმისთანა შემოსავალზე, რაც ამ პირველ საჭიროებას აღემატება, იგი სამართლიანია, რადგან მისი გაწერა არ არის მტკიცნეული, გარდამზღველი იხდის მას და მისი აკრეფაც უფრო აღვილათ ხორციელდება. დაუმსახურებლათ მოზრდილ ლირებულების დაბეგვრა, თუ მის წარმოშობას გავიხსენებთ, უარსაყოფი არ ყოფილა, რადგანაც მისი მოქმედება ვრცელდება იმ შემოსავალზე, რაც ნორმას აღემატება; ამიტომაც არის, რომ მის შემოღებას წინააღმდეგობა არ ხვდება.

მეორე ზოგადი მოსაზრება ამ გარდასახადის წინააღმდეგ: გარდასა-

ხადს უკუმსვლელობითი მოქმედება არ უნდა ჰქონდეს, ე. ი. გარდასახადი ისეთი შემოსავალზე უნდა წესდებოდეს, რომელიც შემოვა მის დაწესების შემდეგ, მაგრამ ეს ზოგადი წესი თუ მივიღეთ, მაშინ ვერც ერთს გარდასახადს ვერ შემოვიღებთ.

ფორმულას: „კანონს უკუ-ქცევითი მოქმედება არ უნდა ჰქონდეს“ ის აზრი აქვს, რომ რომელიმე მოვლენა, შემთხვევა, ბოროტმოქმედება, რომელიც კანონის გამოცემამდის მოხდა, მის მოქმედებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკუ-ქცევითი მოქმედება კანონისა საქმის ჩამდენისათვის ხელსაყრელია \*); ყველა ეს მოხდა კანონის გამოცემის შემდეგ, კანონი მაზე ვრცელდება. მაგრამ თუ რომელიმე ფაქტის ელემენტები მზადდება, მაგრამ ჯერ თავს არ იჩენს, მათზე კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ავილოთ თუნდაც იდეური მოტივები სხვა სიტყვებით: თუ ხელთ არა გვაქვს ისეთი ფაქტი, რომელშიაც აშკარათ იჩენს თავს ერთ ერთი ან საბოლოო მომენტი დაგროვების პროცესისა, ამ შემთხვევაში კანონი ვერ იმოქმედებს ვერც უკუქცევით ვერც შემდგომ, რადგან კანონი მხოლოდ იქ მოქმედებს, საცა თავს იჩენს რომელიმე მოვლენის ელემენტების თავმოყრა.

გადასახადი, როგორც კანონი, მხოლოდ ქონების ერთი პატრონისაგან მეორის ხელში გადაცემის დროს მოქმედებს, რადგან სწორეთ ამ დროს აშკარავდება ლირებულების ზრდა. მაგრამ ქონების დაგროვების პროცესზე იგი არ მოქმედებს. ე. ი. ეს კანონი მხოლოდ იქ მოქმედებს, სადაც ხდება რეალიზაცია დაგროვებისა, და არა თვით დაგროვების დროს. ამ პროცესში სხვა და სხვა მომენტებია — ხან ზრდა, ხან ელება, მაგრამ კანონს ეს არ აინტერესება, რადგან ამ პროცესისათვის თვალის დევნება კანონის საქმე არ არის. იგი მხოლოდ იქითკენ გაეშურება სადაც დაგროვების რეალიზაციას დაინახავს.

კერძო ხასიათის მოსაზრებანი ამ გარდასახადის წინააღმდეგ შემდევია.

პირველი: კანონი საამშენებლო მოლვაწეობას აფერხებს და აშით მას გავლენა აქვს მიწის ფასებზედ და ბინის ფასებზე. — ეს მართლა შესაძლებელია, მხოლოდ ყოველთვის არ ხდება. ეს მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც რაოდენობა გარდასახადისა ერთნაირია იმ პატრონებისათვისაც. რომლებიც ამშენებლობას ეწევიან, და იმისთვისაც, ვინც მას არ ეწევა, თუ ეს კანონი უფრო რბილია იმისათვის, ვინც ამშენებლობას ეწევა, ამ გარდასახადის უარყოფითი მხარე იშლება. საუკეთესო საშუალება, მაშასადამე, გარდასახადის რაოდენობის გრადაციის შემოლება ყოფილა: ეს მით უმეტეს არის საჭირო, თანამედროვე პირობებში არ შეიძლება იმის გამორკვევა, თუ სად არის დამსახურებული ზრდა ლირებულების და სად დაუმსახურებელი:

\*] სისხლის სამართლის კანონებშიც ასეთი წესია.

მეორე მოსაზრება, ამ გარდასახადის წინააღმდეგ: გარდასახადი ფაქტიურათ ბინის ფასებზე გადავა და გაადიდებს მას. ეს მოსაზრება არ არის სამართლიანი. ბინის ფასების ფიქსაცია პერიოდულათ ხდება. ახალ გარდასახადის შემოტკიცებისათანავე რომ გაიზარდოს ბინის ფასი, ეს მაშინვე გამოაშეარავდება, და თუ ეს ზრდა დაუშვებელია, მის წინააღმდეგ ადვილია ზომების შილება. ამ გარდასახადის გადატანა ბინის ქირაზე იმდენათვეა შესაძლებელი, რამდენათაც შესაძლებელია საზოგადოთ ყოველ გარდასახადას ბინის ქირაზე გადატანა სახლის პატრონების მიერ, და თუ ჩვენ საზოგადოთ შესაძლებლათ მიგვაჩნია სახლის პატრონების უფლების შეზღუდვა, ეს შეზღუდვა ამ გარდასახადის დაწესების დროსაც შესაძლებელია.

საინტერესოა ვებერის\*) მიერ წამოყენებული მოსაზრება ამის წინააღმდეგ. მას ფასების მერყეობის მაგალიოები მოჰყავს: ჯერ ფასი ეცემა სასყიდე და ფასზე დაბლა, მეტე ისევ მაღლა იწევს; ამ დროს ზოგი მიწის ნაჭრები ხელიდან ხელში გადადიან აწევის და დაწევის მომენტში, ზოგი კი — მხოლოდ აწევის მომენტში. ამ შემთხვევებში ხელიდან ხელში ხშირად გადასულ მიწებს უფრო მძიმე გადასახადი ედება, ზოგიერთი გადამხდელები კი შეღავათიან პირობებში ხვდებიან, მაგ.: ორი ნაჭერი თითო 1.000 კვადრ. მეტრიანი ნაყიდია და მიცემულია 100 მარკა თითო მეტრში; პირველი ნაჭერი ხელიდან ხელში გადადის 1884, 1992 და 1900 წელში; მეტრი მიწა თითოულ ამ შემთხვევაში ჯდება 160, 104 და 167 მარკა. მეორე ნაჭერი ხელიდან ხელში გადადის იმავ ფასებში, მაგრამ მხოლოდ 1900 წელში. გამოდის, რომ პირველი ნაჭერი იბეგრება (თუ 30% გადასახადს მივიღებთ და თუ ღირებულება შრომის მეოხებით აა გაიზარდა): 1884 წელში 18.000 მარკით, 1892 წელში სულ აა იბეგრება, 1900 წელშიც 18.000 მარკით, სულ კი 36.000 მარკით. მეორე ნაჭერი კი მარტო 1900 წელში 20.100 მარკით იბეგრება. გამოდის, რომ დაბეგრა ორივე ნაჭერისთვის ერთნაირ პირობებში აა ხდება და ამას კი თავისი შედეგები უნდა ჰქონდეს.

მთელი ეს შსჯელობა სრულიად უსაფუძვლოა: გარდასახადი მიწის ნაჭერს კი აა ედება, არამედ მიწის პატრონს. მიწის პატრონები დაუმსახურებდათ გაზრდილ ღირებულებას ღებულობდენ და სწორეთ ეს ღირებულება იბეგრებოდა პროპორციულათ. დაბეგრის სუბიექტი (ისე ვისაც გარდასახადი ხდება) — მიწის პატრონი; მისი ობიექტი (ის, რაზედაც ხდება) — დაუმსახურებლად გადიდებული ღირებულება.

მაგრამ მოყვანილ მაგალითს კიდევ ერთი შენიშვნა გაუკეთდეს პირველ ნაჭერ მიწის მეორე მფლობელმა მიწა გაპყიდა 104 მარკათ მეტრი, მან ზარალი ნახა. — კითხვა იბადება: იქნება ეს ზარალი უნდა აუნაზღაურდეს? — ამაზე კითხვითვე უნდა გაეცეს პასუხი: რათ უნდა აუნაზღაურდეს? განა როდესაც სახლის პატრონი ბინას ეერ აქირავებს და ამით ზარალობს,

\*) ა. გლებოვს აქვს მოყვანილი.

ასეთი კითხვა იბადება? გარდასახადის ზრუნვის საგანი გამყიდველის და მყიდველის მდგომარეობა კი არ არის; მისი მიზანი ამნაირია: სოციალურ სამართლიანობისათვის, ზოგიერთ საყოველთაო მოთხოვნილებათ გასაძლოლათ გამოერთვას ქონების ნაწილი იმ პირთ, რომდებიც განსაკუთრებულათ კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან.

დამსახურებლად გაზრდილ ლირებულების დაბეგვრა პირველათ მოხდა გერმანიაში მაინის-ფრანკ-ფურტში 1903 თუ 1904 წელს. ათი წლის განმავლობაში იგი გავრცელდა ბევრს ქალაქებში. საზოგადოთ ყველა ქალაქებში მას ერთი და იგივე სახე ჰქონდა და დაახლოებით შემდეგში მდგომარეობდა. ამ გარდასახადის შემოღება შეიძლებოდა იმ კომუნებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი იყო არა ნაკლებ 3.000, ვადასახადი საკუთრებას ედება მხოლოდ ხელიდან ხელში გადასვლის დროს\*). ლირებულების რაოდენობის ზრდას ასე ანგარიშობდენ: უკანასკნელ ფასიდან გამოაკლებდენ იმ ფასს, რომელშიც ეს საკუთრება ამას წინათ გაყიდულა; ამასთან სათვალავში აგდებდენ იმას, რაც საკუთრებაზე ხარჯი გაწეულა. თუ ამნაირ ვამოანგარიშებით ლირებულების ზრდა წინანდელ ლირებულების და გაწეულ ხარჯების 10% (ზოგან 20-30%) არ აღემატებოდა, საკუთრება სულ თვისუფლდებოდა გარდასახადისგან. თუ ზრდა 10-60%-ს უდრიდა, იგი იბეგრებოდა 20 პროცენტით. ამაზე მაღალი ზრდა იბეგრებოდა 30 პროცენტით. სხვა წესები ასეთი იყო: 1) გარდასახაცი მთლიანათ ხდებოდა გაუშენებელ მიწის პატრონებს; 2) გაშენებულ მიწის პატრონებს ხდებოდათ გარდასახადის ნახევარი; 3) ვინც საკუთრებას ფლობდა არა ნაკლებ 10-15 წლისა, მას ხდებოდა მხოლოდ 2/3 დაწესებულ გარდასახალისა; 4) ვინც ამაზე მეტის ხნის განმავლობაში ფლობდა, მხოლოდ 1/2 ხდებოდა.

ამ გარდასახადის დამახასიათებელი შხარეები ამნაირია: პირველი, — იგი გამდიდრების იმ შემთხვევას სწვდება, რომელიც შემთხვევით აშკარავდება და პირველ საჭიროების დაკმაყოფილების საფუძველს არ შეადგენს; მეორე, იგი აიძულებს მესაკუთრებს, რომ ვანაცხოველოს ამშენებ ლობითი მოქმედება; მესამე, იგი ხანგრძლივ მფლობელობას უწევს მფარველობას; მეოთხე; ეს გარდასახადი აღვილი ასკრეფია, საკმაოა, თუკი მთავრობის აგენტმა რეგისტრაცია უყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულობას..

პირველ მხარის სასურველობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეორეც ხელ-საყრელია საზოგადოებისთვის. მესამეზე ეს არ ითქმის. საკუთრების ხშირი გადასვლა ხელიდან ხელში მართალია მავნებელია: ამ პირობებში მფლობელი ვერაფერ საქმეს ვერ გასწევს თავის საკუთრებაზე, ვერაფერს ვერ ააშენებს. მაგრამ კიდევ უფრო მავნებელია მეტათ ხანგრძლივი ფლობა საკუთრებისა, რადგან ეს ხელოვნურათ ზრდის მის ფასს, ისე რომ მავნებელია როგორც მეტათ ხანგრძლივ, ისე მეტათ ხანგრძლივი ფლობა. საუკეთესო ის

\* ) ზოგ სახელმწიფოში საკუთრების მემკვიდრეობით გადასვლა არ იბეგრებოდა.

იქნება, თუ დაახლოვებით გამოითვლება, რამდენი ხანია მფლობელისათვის საქმარისი, რომ მან გამოიჩინოს საამშენებლო უნარი \*) ამისდა მიხედვით უნდა გაღაწყდეს გარდასახადის რაოდენობა. ამ საშუალებით შეიძლება თავიდან-ასაცილებისა საზოგადოებისათვის აშკარად საზიანო უპირატესობისა, რომელიც შექმნეს თავისთვის გერმანიაში საკუთრების ხანგძლივ მფლობელებმა:

გერმანიაში შემოღებულ გარდასახადის მხარეებში ყურადღება-მისაქცევია ტარიფის გრადაცია ლირებულების ზრდის კვალობაზე. ეს გრადაცია დამაკმაყოფილებელი არ არის: მაღალი დაუმსახურებელი ზრდა საქმაოთ არ არის დაბეგვრილი. ამ გარდასახადს კიდევ ერთი ნაკლი აქვს: დაუმსახურებლათ გაზრდილი ლირებულების დაბეგვრა ის საქმეში არ არის შეტანილი დაწვრილებითი განსხვავება იმ შემთვევებსა როდესაც საკუთრება უსასყიდლოთ გადადის ხელიდან ხელში, და იმ შემთხვევებს შუა. როდესაც იგი სასყიდლოთ გადადის—(ჩუქება, მემკვიდრეობითი გადაცემა, მოგება და სხ.). უსასყიდლო გადასვლისას ლირებულების ზრდა უფრო ხშირად „ცის მანანასავით“ ევლინება მიმღებს, ამიტომ იგი უნდა ხედმეტათ დაიბეგროს. ამისთანა შემთხვევაში გადახდა ადვილია, რაღაც ჯხალი მესაკუთრე ისე რიგათ არ გასწევს წინააღმდეგობას. უსასყიდლოთ გადაცემაც უნდა ორ ნაწილათ გაიყოს. მემკვიდრეობითი გადაცემა ხშირად უბრალო ფორმალური აქტია: ნამდვილათ კი მემკვიდრე საკუთრების მიღების მომეტამდისაც ფლობდა მას, ზრუნავდა მაზე. ნაჩუქარი საკუთრებას კი უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს, უფრო დაუმსახურებელ სიმღიდრის ბეჭედი ასვია. კიდევ უფრო დაუმსახურებელი სიმღიდრე—მოგება; იგი ხომ ნადვილი „ცის მანანაა“, სრულიად შემთხვევით და სრულიად დაუმსახურებლად მიღებული.

კიდევ ერთი შენიშვნა. რუსულ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით იმ აზრს, რომ ამ გარდასახადიდან შემოსული ხარჯი მხოლოდ მცხოვრებთა ბინის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. ამ თანხის დანიშნულების ასეთი განსაზღვრა რუსეთის მუნიციპალურ პრაქტიკაში ადვილი ასახსნელია: თვითმართველობის სათავეში იქ იდგნენ ცენზიანი, შეძლებული ელემენტები. მათი კლასიური ლტოლვილება ცხადი იყო. ამ ლტოლვილებას გასაბათილებლად და ამავ დროს მშრომელ ხალხის ინტერესების დასაცემად საჭირო იყო თანხები ჩავენებულიყო რაც შეიძლება უფრო მაგარ ჩარჩოებში: საჭირო იყო წინდაწინვე განსაზღრულიყო, რას უნდა მოხმარდეს დაბეგვრის გზით მიღებული შემოსავალი.

დღეს პირობები შეიცვალა. თვითმართველობას სათავეში უდგია სულ სხვა ელემენტები და ამიტომ საეჭვოა, რომ დაბეგვრის გზით მიღებულ შემოსავლის ამნაირ განსაზღვრა საჭირო იყო.

### ვ. მამონოვი.

\*) ზოგიერთთა ვარაუდით ზოგიერთ რაიონებში ეს ხანი 10—15 წელს ჟდრის:

კანონმდებლობითი ბრძოლა ყვავილთან ევროპის სახელმწიფოებში.

(განმარტებითი ბარათი კანონ-პროექტისა საქართველოს რესპუბლიკაში ყვავილის სავალდებულო აცრის შემოღების შესახებ\*).

საშინელი შეაცრი ავადმყოფობა ყვავილი. ყვავილით მძიმე ავადმყოფი ავადმყოფობის უკანასკნელ ხანაში ადამიანის მგზავების ჰყარგავს, დაჩირქებულ — აყროლებულ მძოვრს წარმოადგენს. ავადმყოფის ახლო მყოფს ვერ გადაუწყვეტია რა უფრო უშჯობესია ავადმყოფისათვის სიკვდილი თუ სიცოცხლე, ვინაიდან ყვავილის შემდეგ სიკვდილს გადარჩენილი საზიზლრად დასახიჩრებული, ხშირად ორივე თვალით დაბრმავებული უბრუნდება სიცოცხლეს.

კაცობრიობის წარსულში ბევრი ზოგადი, თავზარდამცემი უბედურობაა აღნიშნული.

ისტორიის ძველ საუკუნოებში, საშუალო საუკუნოებში და ჩვენთან მახლობელ 16, 17 და 18 საუკუნოებშიაც ყვავილი. ამომწყვეტი გამანადგურებელი მოარულის სახით დათარეშობდა მთელს დედამიწის ზურგზე და განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, წლოვანობისა და მდგომარეობისა — ყველას მუსრს ავლებდა. ყვავილით ყველა ხდებოდა ავად. ანდაზაც კი არის ძველად ნათქვამი ყვავილზე: „სიყვარულს და ყვავილს იშვიათად თუ ვინმე გადურჩებაო“ დიდალი, ენით გამოუთქმელი მსხვერპლი შეუწირავს ყვავილს.

გარკვევით მარტო ევროპაში ყვავილის აცრის შემოღებამდე, მცხოვრებთა ერთი მეთორმეტედიდან — ერთი მეათედამდე ამ სენისაგან ილუსტროდა და ბავშვებიდან კი უფრო მეტი — სამი მეხუთედი იხოცებოდა. საერთოდ ბრძანათა რაოდენობის ორი მესამედი ყვავილისაგან იყო დაბრმავებული. „ყვავილი არსად არავის არ ზოგავს. ყველა თრთის სიტყვა „ყვავილის“ გაგონებაზე, ასეთი დამღვეველია ყვავილი“ — ღ. სწერდა 1651 წ. ერთი მწერალი. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ინგლისში მცხოვრებთა ყველა წრებში იყო მიღებული ყვავილი და მეფის ოჯახიც კი დააზარალა. ეპიდემია ისეთი საშინელი და სასტიკი იყო, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის შემადგენლობა ყვავილის შიშით მთლად გაიქც-გამოიქცა და დაიფანტა.

რუსეთში ყვავილი პირველად 1630 წ. არის აღნიშნული.

ამ წელს ციმბირში, სოლოვცევის გამოკვლევით, ყვავილის ისეთი დიდი ეპიდემია ყოვილა, რომ თავზარდაცემული ხალხი მიცვალებულებს დაუმარხავად სტოვებდა. ენისეის გუბ. ყვავილს მთელი რაიონები გაუნადგურებია და 1691 წ. იუმაკების და იუკაგირების ტომები ამოუწყვეტია.

\* ) იხ. გვ. „ 43 „.

ვერიოვკინის გამოანგარიშებით რუსეთში 1804 წლიდან 1810 წ-დე ყვავილმა 827.080 ადამიანი იმსხვერპლა. თუ ყვავილის სიკვდილიანობის პროცენტათ ათს მივიღებთ, მაშინ აღნიშნულ ექვსი წლის განმავლობაში რუსეთში ორმოც მილიონ მცხოვრებზე ყვავილით ავად ყოფილა რვა მილიონზე მეტი ადამიანი. სულ ახლო წარსულშიაც 1875 წ. მხოლოდ ერთ ვიატკის გუბ. 12.760 ადამიანი მომკვდარა, ყაზანის გუბერნიაში კი 22 წ. განმავლობაში (1866—88) 63.467 ადამიანი გარდაცვლილა. ასეთივე საშინელი მდგომარეობა იყო ყვავილით გამოწვეული სიკვდილიანობაში მთელს რუსეთში და კერძოთ საქართველოშიაც, მაგ. 1907 წ. მთელს რუსეთში აღნუსხულია ყვავილით ავადმყოფი სულ 108.780 ადამიანი, რომელთაგან მარტო ევროპის რუსეთში მომკვდარა 36.000 ადამიანი. მეცრამეტე საუკუნის დამლევს 17-წლის განმავლობაში მთელს რუსეთში ყვავილის დიდი ეპიდემიები იყო მოდებული, რასაც ნათელჲყოფს შემდეგი ცხრილი:

1.891 წელს ავად გახდა 132.045 ადამიანი.

1.892	"	"	140.846	"
1.893	"	"	113.057	"
1.898	"	"	148.027	"
1.899	"	"	140.330	"

1.909 წ. რუსეთში ყვავილით ავად იყო 40.000 ადამიანი, გერმანიაში კი, სადაც ყვავილის აცრა ყველასათვის კანონის ძალით სავალდებულოა, იმავე წელს ყვავილით ავად იყო მხოლოდ 30 ადამიანი, რომელთაგან ნახევარი გერმანიაში ჩასული რუსები იყვნენ.

1907 წ. საქართველოში ყვავილის დიდი მოარული მძვინვარებდა. თბილისის გუბერნიაში ქ. თბილისი და დუშეთის მაზრა საშინლად დაზარალდნენ; მარტო თბილისში აღნიშნული იყო ყვავილის 827 შემთხვევა, რომელთაგან 209-ს სიკვდილი მოჰყვა. დუშეთის მაზრაში 26 სოფელში ყვავილის 845 შემთხვევა იყო აღნუსხული, რომელთაგან 108 სიკვდილით გათავდა.

თბილისის გუბერნიასთან შედარებით იმავე წელს ქუთაისის გუბერნია უფრო შესამჩნევათ დაზარალდა. ერთს და იმავე დროს ყვავილის მოარული მძვინვარებდა. შიგ ქუთაისში, ქუთაისის მაზრის 41 სოფელში, შორაპანის მაზრის ც1 სოფელში, ზუგდიდის მაზრის ც6 სოფელში და სენაკის მაზრის 23 სოფელში. ქუთაისის გუბ. დანარჩენი მაზრებიც საგრძნობლად დაზარალდენ. მოარულმა 1908 წელსაც გასტანა და ორი წლის განმავლობაში (1907—08) მთელს გუბერნიაში ყვავილით—8161 ადამიანი გამხდარა ავად, რომელთაგან 809 გარდაცვლილა, და ბოლო ხანამდე როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ყვავილი მუდამ იყო სპორადიული და ხანგამოშვებით ფართო მოარულის სახეს იღებდა. ერთი სიტყვით, წარსულში მთელი კაცობრიობისათვის და ბოლო ხანებში მხოლოდ ზოგიერთ ჩამორჩენილ უკულტურო სახელმწიფოებისათვის ღვთის რისხვათ, საბედისწერო

სენათ იყო მიჩნეული, მაგრამ 1749 წ. გამოჩენილი ინგლისელი ადამიანის ედუარდ ჯენერის გამოგონებამ—ყვავილის აცრამ—ყვავილი, მისი ვითარება მასზე წარმოდგენა, მით გამოწვეული დავადება სიკვდილიანობა სულ წინააღმდეგზე შესცვალა და კაცობრიობა დიდი გენიოსის მიერ აცრის გამოგონებით—გაბედნიერდა 1749 წლით (ჯენერის მიერ აცრის გამოგონების წელია), ყვავილის ისტორიის პირველი „შავი“ ხანა თავდება და იწყება მეორე ხანა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი წლებით თავდება. ყვავილის ისტორიის მეორე ხანა მთელ ნახევარ (1749 წლიდან—1800 წლამდე) საუკუნეს უდრის. ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობა ძალიან მძიმე ნაბიჯით ყვავილის აცრას ეცნობოდა და აცრა თანდათან. ხალხში ვრცელდებოდა. ამ დიდებულ გამოგონებას ისეთივე ბეჭი, როგორც სხვა გამოგონებას. ადამიანის უკულტურობა და გაუნათლებლობა დიდს დაბრკოლებას უწევდა ყვავილის აცრის გავრცელებას. ბევრგან ყვავილის აცრის წინააღმდეგ ხალხის აჯანყებაც კი ხდებოდა, როგორც მაგალითად ოუსეთში. სამლელოებამ აქაც ისახელა თავი თავისი კონსერვატორობით და ვინაიდან ყვავილი, მისი აზრით ღვთის მიერ წარმართი, ცოდვილი ხალხის დასასჯელათ იყო ალიარებული, დიდს წინააღმდეგობას უწევდა ყვავილის აცრის შემოლებას სიტყვითაც და საქმითაც, მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა „გენიოსური გამოგონების სინათლემ“ ყველგან სძლია ბნელების და გაიმარჯვა.

და აი 1800 წლიდან იწყება მესამე ბრწყინვალე ხანა ყვავილის ისტორიისა. გერმანიამ (ბერლინმა) დანიამ, ნორვეგიამ, შვეციამ, ინგლისმა, იაპონიამ, უნგრეთმა და სხვა სახელმწიფოებმა რიგ-რიგად ყვავილის კანონმდებლობით სავალდებულო აცრა შემოიღეს და ამნაირი ღონისძიებით თავის ხალხში ყვავილი სრულიად მოსპეს. 1800 წ. ბერლინმა პირველმა შემოიღო ყვავილის სავალდებულო აცრა და რა რიგად შესცვალა ყვავილით სიკვდილიანობა: ბერლინში ყოველ წელს თვთოული 100 მიცვალებულიდან ყვავილისაგან კვდებოდა:

1758—1762 . .	8,23	1840—1844 . .	0,74
1785—1789 . .	9,34	1840—1844 . .	0,49
1805—1809 . .	6,36		

პრუსიაში 1875 წლამდე, სანამ წებაყოფლობით ყვავილის აცრა სწარმოებდა, ყვავილით ყოველ 100.000 მცხოვრებზე წელიწადში კვდებოდა:

1825—1829 . .	18,7	1870—1874 . .	113,7
1850—1854 . .	26,1		

1875 წ., პრუსიაში შემოლებულ იქნა კანინით ყვავილის სავალდებულო აცრა და ყვავილ-სიკვდილიანობა ასე შეიცვალა: ყოველ 100.000 მცხოვრებზე წელიწადში ყვავილით კვდებოდა:

1875—1879 . .	1,8	1895—1899 . .	0,05
1880—1884 . .	2,6	1905—1908 . .	0,07

საინტერესოა შევაღაროთ ყვავილისაგან სიკვდილიანობა გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებში: ყოველ 100.000 მცხოვრებზე წელიწადში ყვავილით კვდებოდა.

ჩილი . . . . .	18,2	ბელგია . . . . .	6,4
ინდოეთი . . . . .	44,1	იტალია . . . . .	5,9
რუსეთი . . . . .	25,1	ამერიკა . . . . .	2,4
ისპანია . . . . .	22,3	უნგრეთი . . . . .	1,7
ეგვიპტე . . . . .	10,9	ინგლისი . . . . .	1,2
საფრანგეთი . . . . .	10,5	ავსტრია . . . . .	0,14
გერმანია . . . . .			
ნიდერლანდები . . . . .			
იაპონია . . . . .			
რუმინია . . . . .			0,0
შვეცია . . . . .			
დანია . . . . .			
ნორვეგია . . . . .			

აი ასეთი თვალსაჩინო შედეგი მოუტანა ყვავილით. სავალდებულო აცრამ იმ ერებს, რომლებმაც უკვე ყვავილის სავალდებულო აცრა შემოიღეს.

ჩვენში აქამდის ყვავილის აცრა მცხოვრებთა ნებაყოფლობაში იყო დამყარებული და ეს იყო მიზეზი, რომ ყვავილი დღესაც ძალიან საგრძნობლად არის ჩვენში გავრცელებული. ჩვენდა სამწუხაროთ, ის სენი, რომლის წინააღმდეგ სწორუპოვარი საშუალება არსებობს, დღევანდლამდე თავიდან ვერ მოგვიშორებია. დროა ამას სერიოზული ყურადღება მივაჭიოთთუ გვინდა ჩვენი ერის კეთილდღეობა და გაჯანმრთელება. საქართველო-რესპუბლიკის ყველა ერობის ექიმთა ყრილობის დავალებით, რომელიც 12—19 ამ წლის ივნისში შესდგა, ჩვენ ვადგენთ მთავრობაში ყვავილის სავალდებულო აცრის კანონ-პროექტს. იმედია ერობები; ქალაქები, მთელის ენერგიით და შესაფერის მუყაითობით მალე განახორციელებენ კანონს ცხოვრებაში და მით ააცდენენ თავიდან ჩვენ ერს მის დაუძინებელ მტერს— ყვავილს.

# ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტი.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტი.

მთავარ კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს 8—22 ნოემბერს ჰქონდა 8 სხდომა, რომელიც განხილულ იქმნა 49 საკითხი.

თანახმად საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგის მოხსენებისა, დადგენილ იქმნა მიეცეს განყოფილებას 100 ათასი მანეთი სკიპიდარის შესაძენად.

11 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქმნა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ქალაქთა კავშირთან კომისიონური ხელშეკრულების პორექტი ჭიათურის, ხეოის, ლანჩხუთის, ჭიბათის და ჯამუთის ტყეების ეკსპლუატაციის შესახებ, დადგენილ იქმნა: მიენდოს მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ზ. ელიავას, რათა მოახდინოს აღნიშნული ხელშეკრულება, როგორც ეს პროექტშია აღნიშნული.

დამტკიცებულ იქმნა მთავარ კომიტეტის საკომიტეტიო ბიუროს დადგენილება შესახებ ქალ. კავშირის მეფებრივიეთა და მექარხნეთა საზოგადოებისან გამოსვლისა. თანახმად სატეხნიკო განყოფილების მოხსენებისა დადგენილ იქმნა: დამზადებულ იქმნეს რვეულები ორ ხარისხისა, რომელიც ფასი დაედოს 1 მან. 80 კაპ. და 2 მან. მომრიგებელ კამერის შესანახად, დადგენილ იქმნა უკვე თვიურად გადადებულ 1.000 მან. მოემატოს ყოველ თვიურად კიდევ 250 მან.

— საკონტროლო განყოფილება ამ უამად კონტროლს აწარმოებს ქალაქთა კავშირის წარმოებებში. განყოფილებამ კონტროლი უკვე გაუკეთა ტყავის ქარხანას, სამექანიკო სახელოსნოს და სადურგლო-სახარატო სახელოსნოს.

— ტყავის ქარხანამ თავისი ოპერაციები ფართოდ განავითარა. მის მიერ გაკეთებული ტყავები კარგი ხარისხის გამოდის. ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ქარხანამ გააკეთა რამოდენიმე ტყავი და გადასცა საწყობში: ხრომი—6 ტყავი, ცხვრის—72, „შავი თხა“—23, პოლუვალა 70 და იუფტი—144 ტყავი. რაც შეეხება ქარხნის სახელოსნოებს, ამ ხანად მუშაობს საქალამანო, სამეუნაგრო, (რემნების, ჩემოდინების და სხვა) და საკალაპოტო სახელოსნოები.

სატეხნიკო განყოფილების მოხსენების გამო, აღმასრულებელმა ბიურომ გადასწყვიტა ქალ. ხონში პილტო-ელოქტრონულ სადგურის მოწყობა, რომელსაც 180 ცხენის ძალა ექმნება. აქედან 100 ცხენის ძალა, მიეცემა ქალაქს გასანათებლად (ეს ძალა ეყოფა 4.500 ლამფას) და 80 ცხენის ძალა კი გამოყენებულ იქნება სამრეწველო მიზნისათვის. ამ საქმის მოსაწყობ

თანხის.  $\frac{1}{3}$  იძლევა ქალ. კავშირი,  $\frac{1}{3}$  ქალ. ხონი და  $\frac{1}{3}$ -კი უნდა იქნეს განაწილებული ადგილობრივ კაპიტალისტთა შორის.

სატეხნიკო განყოფილების მიერ შემუშავებულია დუშეთის ქალაქის ელექტრონის სადგურის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. ელ. სადგურს ექნება 55 ცხენის ძალა. მასთან მოწყობილი იქნება წისქვილი, რომელიც დღე და ღამეში დაფქვავს 400—600 ფუთ ხორბალს. სადგურის დასაღველად მუშაობა დაიწყება ამ მოკლე ხანში.

სატეხნიკო განყოფილების მიერ შედგენილია პროექტი ქალ. თელავში არსებულ ელექტრონულ სადგურის და წისქვილის გაფართოებისა; ეს უკანასკნელი გადადის ქალ. თეითმართველობის ხელში. ამ მიზნისათვის ტეხნიკურ განყოფილების მიერ ქალ. თელავში იგზავნება იმუქნერი მოსკალევსკი, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა საქმეს.

ახლო მომავალში სატეხნიკო განყოფილების მიერ მოწყობილ იქმნება ავტომობილით მიმოსვლა თბილისა და დუშეთს შორის.

ქალაქებში ეკონომიკური ბინების მოწყობისათვის სატეხნიკო განყოფილების მიერ დამუშავებულია დაწვრილებითი პროგრამა. ამ საკითხის გამო ქალაქის გამგეობაში მომსდარ თათბირზე ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილების წარმომადგენელებმა გააკეთეს საინფორმაციო მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც უკვე გაკეთებულია და მოითხოვდენ, რათა ამ საქმის ორგანიზაცია მოხდეს მუნიციპალურ საფუძველზე.

სოხუმის ქალ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქ. რეს. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა გაუხსნას მას 500.000 მან. კრედიტი საქონლის შესაძენად, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს ქალ. სოხუმის მცხოვრებთათვის; ქალაქის გამგეობა აღნიშნავს, რომ ქ. სოხუმს არავითარი ვალი არა აქვს ქალ. კავშირისა. ქალ. კავ. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარებ ბ. ნ. ზ. ელიავაშ ნება დართო გახსნილ ექმნეს ქალ. კავშირის საქონელზე 100.000 მანეთის კრედიტი.

— ფართორის ქარხანა. ქალაქთა კავშირი აპირებს თბილისში მოაწყოს ფართორის ქარხანა. ამ დღეებში ქალაქთა კავშირის შენობაში სპეციალისტთა თათბირი შესდგა ამ საგანზე. თათბირმა შეიმუშავა წინასწარ მუშაობის გეგმა.

ცოცის ხაწინააღმდეგო შრატის შესაძენათ. პარიზში პასტერის ინსტიტუტში სამუშაოთ გაგზავნილ ექიმ ელიავას ქალაქთა კავშირმა დაავალა შეიძინოს იქ საქართველოს ქალაქების სიჭიროებისათვის ცოცის ხაწინააღმდეგოთ ასაცრელი შრატი.

## შალაშთა თვითმართველობაში.

### თბილისის ქალ. გამგეობაში.

მუშა-მოხელეთა მდგომარეობის გამორკვევა. ქალაქის გამგეობასთან ასებულ სტატიისტიკურ ბიურომ განიხრახა თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის შესწავლა. მას უნდა გამოერკვია და შეესწავლა საგნის აუცილებელი მხარეები, რომელთაც მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა. მაგ. თუ როგორ ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურენი, მათი ეკონომიური—სოციალური, ოჯახური მდგომარეობა, რა ცოდნა და მომზადება აქვთ მოსამსახურეთ და სხვა. განხრახვის განხორციელებას დასჭირდებოდა 6.000 მანეთი. ბიურომ იშუამდგომლა ქალაქის გამგეობის წინაშე აღმოეჩინოს დახმარება სსენებულ მიზნის განსახორციელებლად. ქალაქის გამგეობამ საჭიროდ დაინახა საკითხის დროებით გადადება და დაავალა ბიუროს, მოახდინოს თბილისის მცხოვრებთა აღწერა.

— პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ჯამაგირების გაჯიდება. საბჭომ დაადგინა პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს გარდა სატარიფო პალატის მიერ დანიშნულ  $40\%/_0$ -იან საყოველთაო მომატებისა კიდევ გაუდიდოს ჯამაგირი. ასეთი პირი სულ 45-ია. ეს გამოიწვევს ხარჯების გადიდებას 21.691 მანეთით თვიურათ.

— ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდობაზე დაადგინა: ქალაქის საწყობების დამტკირთავ-გადამტკირთავ მუშებს 1-ლ დეკემბრიდან გაუდიდეს ხელფასი ფუთზე 50 კაპეიკით.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ქალაქის მოსამსახურენი, რომლებიც გადიან აერდმყოფობის გამო სამსახურიდან, შემოწმებულ იქმნენ ექიმთა კომისიის მიერ გამოსარკვევათ იმისა, თუ რამდენი პროცენტი დაკარგეს მათ შრომის უნარისა.

— დახმარება სახალხო უნივერსიტეტს, საბჭო აღგენს მიმდინარე წლის დამლევამდე სახალხო უნივერსიტეტის შესანახად გადაიდოს 50 ათასი მან. და მომავალ წლისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ცალკე იქნიოს მსჯელობა.

— წარმოდგენების განთავისუფლება საქალაქო გარდასახადისგან, საბჭო აღგენს განთავისუფლებულ იქნეს საქალაქო გარდასახადისგან მუშათა კლუბებში გამართულ ის წარმოდგენები, რომლებიც განთავისუფლებულია სახელმწიფო გარდასახადისგან.

— ქალაქის გამგეობაშ. გადასწუვიტა შეიძინოს ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებიდან 7 ათასი არშინი მაუდი მილიციის ტან-საცმელისათვის, რისთვისაც გადასადო  $700.000$  მანეთი.

— სურსათის ანგარიში. თბილ. ქალაქ. სასურსათო განყოფ. მოწმე-

ლება ოქტომბრის განმავლობაში:

ოქტომბერში სასურსათო განყოფილებას ქონდა სულ საქონელი 13.286. 200 მან., აქედან 1-ელ ოქტომბერში იყო საწყობებში 5.512.691 მან. საქონელი და ოქტომბერშივე შემოვიდა 7.773.509 მან. საქონელი. 1 ნოემბერს დარჩენილი საქონელი იყო 8.496.176 მ. ოქტომბერში განყოფილებამ სულ დარიგა სურსათი 5.558.673 მან. ფაქტიურად 6 მილიონამდე ადის, მხოლოდ ჯერ ზოგი ანგარიშები არ არის შედგენილი. ოქტომბრის განმავლობაში დარიგდა სურსათი: 25.100 ფ. პური, 950 ფ. კართოფილი, 850 ფ. მარცვლი, 2.500 ფ. მარილი, 600 ფ. შაქარი, 8.627 ფ. ნავთი, 2.354 ფ. ნახშირი, 3.500 ფ. თივა, 300 ფ. საპონი და სხვ.

სურსათი ნაწილდებოდა უმეტეს ნაწილად ღარიბ მცხოვრებთა. შორის და განსაკუთრებით ქ. თბ. მუშათა და მოსამსახურეთა შორის. სურსათი განაწილებულია ოქტომბრის განმავლობაში შემდეგნაირად: ქალაქის დაწესებულებებს და ქალაქის გამგეობის-მუშა-მოსამსახურებს: პური—6.000 ფ. (23,9% /), ნავთი 742 ფუთი (8,6% /), სულ სურსათი—1.820.000 მ. (32,74% /), სახელმწიფო, სახოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურებს პური—12.000 ფ. (47,8% /), ნავთი—2.241 ფ. (26% /), სულ სურსათი—1.816.000 მ. (32,66% /), სულ ქ. თბილ. მოსამსახურებსა და მუშებს; პური—71.7%, ნავთი—34,6%, სულ სურსათი—65,4%, დანარჩენ მცხოვრებთ სარაიონო და სახლის კომიტეტის საშუალებით დაურიგდა: პური—7.100 ფ. (28,3% /), ნავთი—3.644 ფ. (65,4% /), სულ სურსათი—1.924.000 მან. (34,6% /). ეს ნუსხა გვიჩვენებს, რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია მოსამსახირებსა და მუშებზე; ამ კატეგორიას მიეცა მთელი სურსათის 2/3. განყოფილების მუშაობაზე წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე სურსათის რაოდენობის გადმოზიდვა. აგვისტოში გადმოზიდულია 37.025 ფ. 15 $\frac{1}{4}$  გ., სექტემბერში—31.466 ფ. 9 $\frac{1}{2}$  გ., ოქტომბერში—97.668 ფ. 39 $\frac{3}{4}$  გირვ., სულ 3 თვეში 166.160 ფ. 34 $\frac{1}{2}$  გირვ., იმ დროს, როდესაც წასულ 7 თვეში გადმოზიდული ყოფილა 161.533 ფ. 8 $\frac{3}{4}$  გირ.

### ქუთაისის ქალ. გამგეობაში.

სანიტარული გარდასახადის გადიდება. ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის მორიგ სხვდომაზე დაადგინა—საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი სანიტარული გარდასახადი 1.150.000 მანეთი გადიდებულ იქნეს 8.280.000 მანეთამდე. ეს გარდასახადი უმთავრესად მოქალაქეების შეძლებულ ნაწილზეა გაწერალი. ამ გარდასახადის მოქალაქეებიდან აკრებას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში შეუდგება.

— საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილება. ქუთაისის ქალაქის საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ თავის მორიგ სხდო-

მაზე დაადგინა — ბაჟების გარდახდევინება ქალაქის ხიდებზე 1920 წლის პირ-ველ იანვრიდან მოიხსნას. დადგენილება ესე დასადასტურებლად ქალაქის საბჭოს მოხსენდება.

— სკოლების შესანახი კრედიტი. მთავრობამ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას ყველა სკოლების შესანახად ქუთაისის ხაზინაში სათანადო კრედიტი გაუხსნა.

— ახალი გზა. ქუთაისის ქალ. გამგეობის წევრებმა და ქალ. მოურავის ამხანაგმა დაათვალიერეს ის ადგილები, საღაც გაყვანილი უნდა. იქნეს რკინის გზის სადგურის და ბალახვანის ქუჩის შემაერთებელი გზა. ამ გზის გაყვანის გეგმა მოწონებული იქმნა. ამ მოკლე ხანში გამგეობა დაიწყებს მუშაობას ახალი გზის (სადგურიდან-ბალახვანის ქუჩამდე) გასაყვანად.

— არქიელის გორაზე გზების შეკეთება. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უკვე შეიძლება არქიელის გორაზე გზების შესაკეთებლად გეგმა. ახლო მომავალში ქალაქის გამგეობა დაიწყებს გორაზე გზების შეკეთებას. აღნიშნულ გორის მცხოვრებმა ქალაქის გამგეობას აღუთქვეს აქტიური მონაწილეობის მიღება გზების შეკეთების დროს.

### ჭიათურის ქალაქის გამგეობაში.

— ახალი ქუჩების გაუვანა-შეკეთება. ქალ. გამგეობის გადაწყვეტილება ორი ახალი ქუჩის გაყვანის შესახებ ჭიათურაში ერთ ვაგზლის უკან და მეორე ლეჟავების უბანში საბჭო მოიწონა და დაადგინა წინადება მიეცუს ქუჩის პირზე მცხოვრებთ მიწის მეპატრონეთ შესწიონ თავის ღობეები და გააფართოვონ ქუჩები 5 საუენამდე. გაეხსნას ქალაქის გამგეობას კრედიტი ქუჩების გასაკეთებლათ 79.000 მანეთი, თანახმად წამოყენებულ ხარჯთ-აღრიცხვისა და გაეხსნას ქალაქის გამგეობას 20,000 მან. კრედიტი ძველი ქუჩების შესაკეთებლად.

— შემოტანილ და ვატანილ ყოველგვარ საქონელზე (გარდა შავი ქვისა) საფუთო გარდასახადის დაწესება. ქალაქის საბჭომ დააწესა, თანახმად დეკრეტისა (21 ივნისი 1919 წ.), საფუთო გარდასახადი რკინის გზით შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე (გარდა შავი ქვისა) და ეს გარდასახადი, თანახმად ამავე დეკრეტის მე-4 მუხლისა, განსაზღვრა ძირითადი სატარიფო გარდასახადის გაოცეცებით. ქალ. საბჭომ ეს საფუთო გარდასახადი დააწესა ღროვის განუსაზღვრელად.

— დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ყვირილის მარჯვენა ნაპირის გასამაგრებელი კედლისა. ამ საკითხის შესახებ დაწერილებითი მოხსენება გააკეთა ქალაქის მოურავმა, რომელმაც განმარტა მიზეზები გეგმის ძირითად

შეცვლისა: რკინის გზის სამმართველოს ნება არ დაურთავს ქალაქის გამ-  
გეობისათვის დამბის გაკეთებისა, თანახმად გამგეობის და ტეხნიკურ კომი-  
სის მიერ შემუშავებულ გევმისა. გეგმის შეცვლა, თანახმად რკინის გზის  
სამმართველოს მითითებისა, იწვევს დამატებით ხარჯს 130.000 მან. საფი-  
ნანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს და საჭიროდ სცნო გადიდებულ  
იქმნეს ამისათვის დამატებითი ხარჯი 130.000 მან. საბჭომ დაადგინა: მიე-  
ცეს დამატებითი კრედიტი ქალაქის გამგეობას კედლის დასამთავრებლად  
130.000 მან,

### ოზურგეთის ქალაქის გამგეობაში

ქალაქის საბჭომ თავის 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილა სანი-  
ტარული გადასახ. შესახებ შემოსული საჩივრები. საჩივრები საბჭომ სცნო არა  
კანონიერად და უყურადღებოდ დასტოვა.

— ამავე სხდომაზე გადაწყვეტილ იქმნა გამგეობამ აუცილებლად  
შეიძინოს ქალთა გიმნაზიის საჭიროებისათვის, უკვე ამორჩეული ორ სარ-  
თულიანი ქვის შენობა. ამ მამულის შესაძენათ საბჭომ საჭიროდ დაინახა,  
ეთხოვოს მთავრობას, რათა მიეცეს ქალაქს დახმარების სახით 100.000 მ.,  
ან და მოკლე ვადიანი უპროცენტო სესხი 200.000 მანეთი.

— ამავე სხდომაზე საბჭომ მოისმინა ვაჟთა გიმნაზიის მიმართვა გი-  
მნაზიის ულარიბექს მოსწავლეების გასანთავისუფლებლათ თანხის გადადე-  
ბის შესახებ, მცირე კამათის. შემდეგ დაადგინა: ვაჟთა და ქალთა გიმნა-  
ზიებში და აგრეთვე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში ქალაქის ხარ-  
ჯით განთავისუფლდენ ყოველ წლობით სწავლის ფულისაგან სამ-სამი ნი-  
ჭიერი და ლარიბი ქალაქის მცხოვრები მოწაფე, მათი გამორკვევა დაევა-  
ლა გამგეობას.

### ბათუმის ქალაქის საბჭოს და გამგეობის დათხოვნა

ბათუმში სამხედრო გუბერნატორმა გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური  
განცხადება: „ქ. ბათუმის სარგებლობისა და კეთილ-დღეობისათვის აუცილე-  
ბელ საჭიროებათ ცენტრ ბათუმის საქალაქო საბჭოს ეხლანდელ შემაღებელო-  
ბის დათხოვნას. ამა ნოემბრის 20-დან საბჭო კარგავს თავის რწმუნებულე-  
ბას და კანონით მისდამი მინიჭებულ უფლებას. ბათუმის ქალაქის გამგეობა,  
როგორც არჩეული დათხოვნილ საბჭოს მიერ და აგრეთვე საბჭოს კომისიები  
აღნიშნულ რიცხვიდან უქმდებიან.

ამასთანავე მე განკარგულება მოვახდინე, რათა ახალი საბჭო,  
რომელიც საარჩევნო წესით უნდა შესდგეს, არჩეულ უნდა იქნეს მას შემ-

დეგ, როცა მოხდება რეგისტრაცია იმ პირთა, ვისაც აქვთ უფლება იყვნენ არჩეულნი და ამრჩეველნი. საბჭოს რწმუნება უფლების შესახებ შემდეგ გამოცხადდება.

მე დავადგინე შესდგეს განსაკუთრებითი თათბირი ზოგიერთ ჩემ აფიცირებისაგან და ქ. ბათუმის ცნობილ მოქალაქეთაგან. ამ თათბირმა უნდა წარმომიდგინოს დასამტკიცებულათ სქემა ახალი საბჭოს საარჩევნო წესებისა. ხსენებულმა თათბირმა უნდა მოათავოს თავის სამუშაო და ამრჩეველთა რეგისტრაცია იმისდა მიხედვით, რომ ამრჩეველთ შეეძლოთ საარჩევნო ყუთთან წარდგომა 1920 წლის თებერვალში, და არა უგვიანეს. ამა თვისა. ამავე დროს ქალაქ ბათუმის საქმეების სათანადო წარმოებისათვის მე ვნიშნავ ქალაქის ახალ გამგეობას, რომელიც უნდა შესდგეს შემდეგ მოქალაქეთაგან: თავად ჯავახიშვილისაგან, ბ-6 ლორთქიფანიძისაგან და ბ-ნ ტოროსოვისაგან.

ამასთანავე მე ღიანიშნე ერთ-ერთი ჩემოთ მოხსენებულ გამგეობის თავმჯდომარეთ. ეს აფიცერი პასუხისმგებელი იქნება ჩემს წინაშე გამგეობის მუშაობაში. მე უფლება მივეცი ამ აფიცერს გაადიდოს გამგეობის წევრთა რიცხვი თავის შეხედულებისამებრ; თუ რომ ის ამას საჭიროდ სცნობს. მე დავადგინე, რომ დროებითი გამგეობის დასახმარებლათ შესდგეს ჩემ მიერ დანიშნულ ოფიცერთა მონაწილეობით შემდეგი კომისიები: სარევიზიო, საფინანსო საექიმო - სასანიტარო, სასკოლო, იურიდიული, სატეხნიკო, სიძვირესთან მებრძოლი და პირველი საჭიროების საგნებზე მაქსიმალურ ფასის დამწესებელი აგრეთვე სხვა ზოგიერთი კომისიები. ამასთან ერთად მე დავადგინე, რომ ჩემ მიერ დაწესებულმა თათბირმა, გარდა იმ სამუშაოსი, რომელიც მან უნდა აწარმოოს საქალაქო არჩევნების შესახებ, შემდეგაც უნდა განაგრძოს მუშაობა ქ. ბათომის მმართველობის გასაუმჯობესებლად ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფინანსო საკითხის წესიერად დაყენებას და სათანადო განსაზღვრას ქ. ბათომის და მისი ოლქის სამოქალაქო გამგეობის ფუნქციებისას.

მე აგრეთვე უფლება მივეცი ზემოხსენებულ თათბირს გაადიდოს. თავის წევრთა რიცხვი საჭიროების დაგვარად და სხვა და სხვა სექტურების დასაწესებლად. თათბირმა თავის წევრებად უნდა მოიწვიოს ისეთი მოქალაქე, ან მოქალაქენი, რომელნიც სასარგებლონი იქნებიან თავისი მუშაობით.“.

ამნაირად ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორმა კუკ-კოლისმა დაითხოვა ბათუმის ქალაქის საბჭო. ახალი საბჭოს არჩევნები უნდა მოხდეს არა უგვიანეს თებერვლისა. მისივე ბრძანებით შესდგა ქალაქის დროებითი გამგეობა, ქალაქის გამგეობას დაეხმარებიან ახლად შემდგარი შემდეგი კომისიები: სარევიზიო, ფინანსიური, საექიმო - სასანიტარო, სასკოლო, იურიდიული, სატეხნიკო და სიძვირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია.

## შ რ მ გ ი ს ბ ი რ ე ბ ა.

თბილისის ქალ. შრომის ბირჟა. ოქტომბრის განმავალობაში, შრომის ბირჟაში ჩაეწერა 279 უმუშევარი.—193 მამაკაცი და 76 დედაკაცი. ამ ლროის განმავლობაში უმუშევრებმა მიმართეს შრომის ბირჟას ცნობის მისალებად 2.360-ჯელ; სამუშაოზე გაიგზავნა 106 უმუშევარი ანუ 38%.

პროფესიის მიხედვით სამუშაოზე გაიგზავნა დახელოვნებული მუშა—14, ანუ 23,3% ამ კატეგორიის მუშებისა, ხელზე მოსამსახურენი—32 უმუშევარი ანუ 50%, კანტორის და კანცელარიის მოსამსახურენი—7 კაცი ანუ 20%, შავი მუშა—46 უმუშევარი ანუ 70% და სხვა.

— 1 ნოემბ. ჩაეწერა 78 უმუშევარი, აუ მამაკაცი და 21 ქალი შემდეგი კატეგორიების: ხელოსანი 17, მოვაჭრეები 3, ტრანსპორტის საქმის მცოდნე 1, ხელზე მოსამსახურები 14, თავისუფალი პროფესიის 6, კანტორის და კანცელარიის მოსამსახურე 13, შავი მუშები 22. გაიგზავნა სამუშაოზე 4 პირი, 3 ძიძა და 1 ხელზე მოსამსახურე. ბირჟასთან 5 თვეა არსებობს წიგნის საკაზმავი სახელოსნო, ორმელიც ზომიერ ფასებში ასრულებს სამუშაოს, 24 ნოემბრიდან გაიხსნება მექანიკური სახელოსნო.

— 19 ნოემბერს შრომის ბირჟის პარიტეტულმა კომიტეტმა დაადგინა: არ იქნეს გადატანილი შრომის ბირჟის უმუშევართა უფასო საჩაიე ქალაქის სასაღილოში. იმავე სხდომაზე დაევალა შრომის ბირჟის გამგეს გამომუშავება შრომის ბირჟის ახალი წესდებისა. თბ. ქალ. შრომის ბირჟის ინიციატივით 20 დეკემბრისათვის აპირებენ მოიწვიონ საქართველოს შრომის ბირჟათა თათბირი. განხილულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) შრომის ხელშეკრულება და მრავის ბირჟა, 2) შრომის ბირჟის და პროფესიონალურ კავშირთა ერთმანეთ-შორის დამოკიდებულება, 3) შრომის ბირჟის დამოკიდებულება ქალაქის თვითმართველობასთან, 4) „შრომის სახლები“ (Рабочий дом) და შრომის ბირჟები, 5) წესდება შრომის ბირჟისა, 6) დაარსება საოლქო შრომის ბირჟისა.

— ბორჯომის ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვეტილ იქმნა: დაარსდეს ქალაქ ბორჯომში შრომის ბირჟა. დადგენილება სისრულეში იქმნა მოყვანილი და ამორჩეულ იქმნა შრომის ბირჟის თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. ამ უკანა შრომის ბირჟაში მუშაობა სწარმოებს.

— ბათუმის შრომის ბირჟა. ბათუმის ქალაქის შრომის ბირჟაში 30 ნოემბრამდის ჩაწერილა სულ 2.892 უმუშევარი, ამათვან სამუშაოზე გაგზავნილ იქმნა 871 უმუშევარი.

## მ თ ა ვ რ მ ბ ა შ ი.

19 გიორგობის თვეს შესდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში მინისტრის განკარგულებით დანიშნული თათბირი შესახებ იმისა,

თუ რა ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში ჭირნახულის მოუსვლელობის გამო დაზარალებულ სოფლებს აღმრეჩინოს დახმარება. თათბირზე მოწვეულ იყვნენ მონაწილეობის მისალებად ერობათა კავშირის და ზოგიერთ ერობათა წარმომადგენელნი. თათბირის მიერ დადგენილ იქმნა: მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოარყვიოს მომარაგების სამინისტროსთან ერთად, რა დახმარება შეუძლია გაუწიოს ერობას; და რაოდენობა ამ დახმარებისა. ვინაიდან რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის და დუშეთის მაზრის მდგომარეობა განსაკუთრებულია და შიმშილობა იქ უკვე დაწყებულა და რადგანაც მოსალოდნელია. გზების დაკეტვა (მაგალითად რაჭაში, ლეჩხუმში), ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება რიგს გარეშე გამოსთხოვოს კრედიტები მთავრობას. ამ ერობათა აუცილებელი საჭიროების დასაქმაყოფილებლად სურსათის მხრივ.

— ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადის გაგრძელების შესახებ. ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომარეობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადა გადიდებულ იქმნეს 1922 წ. 1 სანცრამდე.

ერობათა კავშირის მთავარი კამიტეტი თავის თხოვნას ასაბუთებს შემდეგი გარამოებით: ჯერ ორი წელიწადიც არ არის მას აქეთ განვლილი, რაც საქართველოს რესპუბლიკაში ერობების არჩევნები დაიწყო. ეს არჩევნები მთელ რესპუბლიკაში დღესაც არ არის მოთავებული. ზოგიერთ კუთხეებს, მათი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო არჩევნები არ მოუხდენიათ. (ტკიბულის რაიონი) ზოგიერთი ერობები შხვლოდ ეხლა ეწყობა (ახალციხის მაზრა) ზოგი მომავალში უნდა მოეწყოს (ახალქალაქი და სხვა). ჩვენს ერობებს მეტად მძიმე, არა ხელსაყრელ პირობებში მოუხდათ საცდელი მუშაობის დაწყება. საქმეს ართულებს ეს გარემოება, რომ ამ პასუხსავებ მუშაობისათვის არ იყო დაგროვილი არც მასალები, არც გამოცდილება. ამიტომ პირველი ნაბიჯი ჩვენი ერობებისა იყო საცდელი, ნაბიჯი. თვით მუშაობის პროცესში იქნებოდა ერთნაირი ხაზი, რომლითაც უნდა იხელდოლანელობა ერობებმა მომავალში. ასეთი მუშაობა არა თუ არ დამთავრებულა პირიქით, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ეძლევა მას მშენებრივ ხასიათი. ამის მიერ განადგურებული მეურნეობის მოწესრიგებას ერობები ეხლახან შეუდგნენ და ასეთი მუშაობის დროებით შეწყვეტა ყოველმხრივ საზარალო იქნება რესპუბლიკისათვის.

ახალ არჩევნების ჩატარებას არც დღევანდელი. პირობები უწყობენ ხელს. საქართველოს მტრების ხშირი გამოსვლები შეუძლებელ ხდიან მშენებრი, საერთ არჩევნების მოხდენას. არჩევნები დროებით ჩამოაშორებს ბევრ მუშაქს რესპუბლიკის საქმეს და ეს უკანასკნელი კი ხელს შეუშლის იმ აღმაშენებლობითი მუშაობას, რასაც ესენი ეწევიან. გარდა ამისა ახალი არჩევნები გამოიწვევენ დიდ ხარჯს.

ერობათა დროებითი დებულების ძალით თავი 2 ს 11 ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადა თავდება 1 იანვარს 1920 წ. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა საერობო ხმოსანთა რწმუნების ვადა, რომელიც 1920 წლის 1 იანვარს გადის, გაგრძელებულ იქმნას 2 წლით.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა ადგილობრივ თვითმართველობებს ცირკულიარული ქალალდი, რათა ამ უკანასკნელებმა დაუყონებლივ გამოუგზავნონ აღნიშნულ კანცელარიას მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების მთელი საქმეები.

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოლების დებულების ძალით; ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა დამტკიცებას შეადგენს სენატის კომპეტეციას. სენატის შემოლებამდე კი ეს ფუნქცია, მთავრობის დადგენილებით დავალებული ჰქონდა იუსტიციის მინისტრს.

აცნობებს რა ამას შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარია ადგილობრივ თვითმართველობებს აღნიშნავს, რომ ვინც საარჩევნო საქმეს დაგვიანებით გამოვზავნის, და ამის გამო სენატის მიერ მომრიგებელი მოსამართლენი დამტკიცებულნი არ იქნებიან თანამდებობაზე 1920. წ. 1 იანვრამდე—მათთვის იანვრის კრედიტები დახურულ იქმნება.

— დეკრეტი ოზურგეთის სამაზრო ერობისათვის 3.000.000 მან. სესხის მიცემისა. 1). გალებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი (3 000.000) მანეთი ოზურგეთის სამაზრო ერობისათვის სესხად მისაცემად გურიანთის აგარაკის ტყის დასამუშავებლად და ავისათვის საჭირო ქარხნების მოსაწყობად. 2). პირველ მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აენახოაუროს ხაზინას ოზურგეთის სამაზრო ერობის მიერ დაწყებული 1921 წლის იანვრის 1-დან ხუთის წლის განმავლობაში ყოველწლიურად ექვსასი ათასი (600.000) მანეთის ვალის და ექვსი (6) პროცენტის სარგებლის გადახდით, რაც ყოველწლიურად შეტანილ უნდა იქნეს ხსენებული ერობის ხარჯო-აღრიცხვაში. 3). ეს სესხი უზრუნველყოფილია ოზურგეთის სამაზრო ერობის იმ წარმოებით ქარხნებით, მანქანებით, ინვენტარით და მასალით, რომელსაც ერთბა შეიძენს და დაამუშავებს პირველ მუხლში აღნიშნული მიწნის განსახორციელებლად.

### ერობათა თვითმართველობაზე.

#### ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტი.

ერობათა კავშირის შუამდგომლობა. საქართველოს ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სე-

მინისტროს წინაშე, რათა საიჯარო მამულების, სათევზაო ადგილების და ტყეების შემოსავლის  $7\frac{1}{2}$  ერობებს მიეცეს. ერობათა კავშირი თავის შუა-მდგომლობას ამყარებს ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს მიერ სამი იუნისის დადგენილებაზე, რომელიც აქამდე ძალაშია დატოვებული.

— სამალაზიო ფულების შესახებ. ერობათა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ერობათა სასურსათო თანხის შესაქმნელათ მათ გადაეცეს ეგრე წოდებული „მალაზის ფული“. რომელიც ამ უამათ დაახლოვებით  $1\frac{1}{2}$  მილიონ მანეთს შეადგენს. ეს „მალაზიების ფული“ შეგროვილია ამნაირად: მთელ ამიერ-კავკასიაში სოფლად ყოველი ოჯახი 40 კაპ. იხდიდა სასურსათო თანხის შესაქმნელად.

— სახალხო უნივერსიტეტმა ერობათა კავშირს მიმართა წერილობითი თხოვნით, რათა ამ უკანასკნელმა აღმოუჩინოს მას: შატერიალური დახმარება. ერობათა კავშირმა განიხილა ეს განცხადება და დაადგინა: პრინციპიალურად კომიტეტი გამოსოქვამს იმ აზრს, რომ მისი დახმარება საჭიროა, მაგრამ ამ უამაღ უფლობის გამო, კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება და პირველ შემთხვევასთანვე როცა მისი ფინანსიური მხარე გაუმჯობესდება. შეძლების და გვარად ეცდება დააკმაყოფილოს.

— ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულებები უკვე გადაეცა მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად.

— მთავარ კომიტეტთან არსებულ სტატისტიკურ განყოფილებაში მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. მსმენელთა რიცხვი ასამდე აღწევს.

— ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა კომიტეტთან მოეწყოს საექიმო-სანიტარული განყოფილება.

— ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა, წრევანდელ მოუსავლობის გამო, მოსალოდნელ სიმშილობის თავიდან ასაცილებლად სთხოვს ერობათა კავშირს მთავარ კომიტეტს, რათა უკანასკნელმა იშუაშდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ცენტრალური სასურსათო საბჭო მოელი თავისი ქონებით გადაეცეს ერობას, ვინაიდან უკანასკნელი უფრო კარგად გამოიყენებს ამ საბჭოს. ასეთივე განცხადებები მოსდის კავშირის უკელა სამაზრო ერობებიდან.

### სასურსათო საკითხის გარშემო:

დადგენილებანი გამოტანილი ერობათა სასურსათო გარეში მომუშავეთა, გამგეობის წევრებისა, მთავრობის დაწესებულების და კომიტეტივთა კავშირის წარმომადგენლების თანდასწრებით 15 და 16 ნოემბერს, 1919 წ.

1. მოხსენებები ადგილებიდან. მოისმინა რა მოხსენებები ადგილები-

დან, თათბირი აღიარებს: 1) რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრებში მოსალოდნელია სიმშილობა მოუსავალობის წიაღაგზე და იმ შერით მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულია. 2) სურსათის საკითხი არსებულ პირობებში არ წარმოადგენს მხოლოდ ქალაქების საკითხს, ის არის იმავე ღრუს სოფლების საკითხიც; ამის და მიხედვით უნდა იქნას აშენებული სახელმწიფოს სასურსათო პოლიტიკა.

2. **სახელმწიფოს სასურსათო პოლიტიკაზე.** (საერთო დებულებები):  
1) საერთო სასურსათო პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს მთავრობა, და ეს პოლიტიკა უნდა იქნეს გადაჭრილი, არა-მერყევი და მიზან შეწონილი რესპუბლიკის საარსებო ინტერესების მიხედვით. 2) მთავრობას ევალება, როგორც გაზიდვა ეგრეთ წოდებულ სავალიუტო საქონლების უცხოეთში, ისე შამოზიდვა იქიდან გაზიდულ საქონლის ღირებულების ეკვივალენტის სურსათისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების. 3) თათბირი არ სკნობს მიზანშეწონილად უცხოეთში გასაზიდათ სავალიუტო საქონლის დამზადების და განალდების კერძო აგენტებისთვის დაკისრებას; ეს უნდა გადაეცეს ერობებს. ქალაქის თვითმართველობებს და კომპერატივებს და მათვე უნდა დაევალოს შემოსულ საქონლის როგორც ერთმანეთ შორის ისე მცხოვრებთა შორის განაწილება.

3. **საზღვრების დაცვა და საბაჟოები.** 1) მიექცეს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება სანაპიროების, დაცვას, და კონტრობანდის წინააღმდეგ ბრძოლას. იქ სადაც მთავრობა ვერ სწვდება ამას, საკუთარი ძალებით გამოყენებულ იქნას მაზრის ერობანი, იმ პირობებით მხოლოდ, რომ წინასწარ ზომების მიღებით არ იქნას დაშვებული საქმის შემშლელი გაუგებრიობა აღვილობრივ ორ მთავრობიანობის ნიაღაგზე. 2) მიექცეს აგრეთვე მთავრობის განსაკუთრებითი ყურადღება რეინის გზას და იმ ბოროტ მოქმედებას, რომელსაც იქ აღვილები აქვს და შესაძლებლობის ფარგლებში. აქაც დაწესებულ იქნას ჯეროვანი კანტროლი.

4. **უახლოესი ამოცანები მთავრობის თვითმართველობების და კოოპერატივების სურსათის მომარაგების საქმეში.** ვინაიდან მდგომარეობა დაუყოვნებას არ ითმებს მთავრობამ უნდა მიიღოს შემდეგი სასწრაფო ზომები: 1) დაუყონებლივ შეუდგეს სურსათის მომარაგებას რესპუბლიკის საზღვრებში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. 2) გაეხსნას ერობებს და კომპერატივებს ფართო კრედიტი ამ სურსათის შესაძნათ და დაევალოს მათ დაუყონებლივ სურსათის შესყიდვა და დაგროვება სახელმწიფო დანიშნულებისათვის. 3) მიიღოს ყოველგვარი ზომები უცხოეთიდან სურსათის შემოსაზიდავათ. 4) დაევალოს ეროვავშირის მთავარ კომიტეტს დაჩქარებით გამოარკვიოს მთავრობასთან ერთად ნამდვილი საჭიროება ხორბლის დამშეულ რაიონებში და ამისდა მიხედვით გამოსხვევოს სესხი ყველა ერობებისათვის. 5) დალა, რომელიც გროვდებოდა ერობების მიერ საფონდო მიწებიდან, უნდა დარჩეს სავსებით იმ მაზრებში, კადაც შიმშილობა ან დამ-

შევა მოსალოდნელია: 6) მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები სათესლე ხორბლეულობის დროზე მომარაგებაზე, მიწოდებაზე და გამოყენებულ იქნას ამ მიზნისთვის, როგორც შინაური ისე უცხოეთის ბაზარი განსაკუთრებით ახლო მდებარე მხარეები -- უბანი და აზერბეიჯანი.

5. სახელმწიფოს ერობათა და კოოპერატივების შორიგი გეგმა სასურსათო პოლიტიკის დარგში: 1) დამზადება სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა, რომლებიც გასაზიდავის უცხოეთში აგრეთვე დამზადება სურსათისა რესპუბლიკის მცხოვრებთათვის უნდა დაევალოს ერობების და კოოპერატივების ცენტრალურ ორგანოებს სახელმწიფო მართველობის ორგანოს ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებებით: 2) საკითხი თავისუფალი ვაჭრობის რესპუბლიკის ფარგლებში შეზღუდვისა არის დამოკიდებული. ობიექტიურ პირობებსა და აღკვეთა შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ შემთხვევებისდა მიხედვით; უკანასკნელი უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფო მართველობის ცენტრალურ და არა მთავრობის რომელიმე ადგილობრივ ორგანოსაგან; ამ კითხვის გადაჭრა, უნდა ხდებოდეს ადგილობრივი თვითმართველობათა წინასწარ აზრის მოსმენის შემდეგ. 3) გატანა საზღვარ-გარეთ სურსათის, სავალიუტო (თამბაქო, მატყლი, პარკი და სხ.) ისე არა სავალიუტო (თხილი, დაფნა და სხ.) საქონლის გარდა ისეთისა, რომელიც მალე ფუჭდება გაჩერებისაგან, სრულიად უნდა აღეკრძალოს კერძო პირებს და უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სახელმწიფოს ან მისი დავალებით თვითმართველობათა (ერობები და ქალაქები) და კოოპერატივთა კავშირების მიერ. 4) სახელმწიფომ უნდა მოაწყოს ან საკუთარი აპარატი (სავაჭრომ ისსიების საწით) უცხოეთში ან დააკისროს ეს თვითმართველობებს და კოოპერატივთა კავშირებს, რათა რეალიზაცია, საერთაშორისო ბაზარზე გაყიდულ საქონლისა, მოხდეს მხოლოდ ან სახელმწიფოს ორგანოების და თვითვართველობების. ან კოოპერატივთა მიერ. 5) მიღებული წესი ნატურალური გაცვლა-გამოცვლისა, სოფლიად უარსაყოფია, როგორც მოძველებული მეთოდი, რომელიც საბოლოოდ ნიღბას უკარგავს სახელმწიფოს ფულის ნიშნებს რესპუბლიკის მცხოვრებლებში და ფინანსიური გაკოტრებისაკენ მიგვაქნებს საშინელი სისწრაფით.

6. სასურსათო ფონდის შექმნა. თათბირი მიუკიიღებელ საჭიროებათ აღიარებს სასურსათო ფონდის შექმნას, მოსალოდნელ მოუსავლობით გამოწვეულ კრიზისების თავიდან ასაშორებლად. შესაფერ დებულებათა შემუშავება და სათანადო წესით მთავრობის წინაშე მისი განმტკიცებაზე ზრუნვა ევალება ეროვნულის მთავარ კომიტეტს. დაევალოს კომიტეტს შევლი მთავრობის მიერ შეგროვილ სასურსათო კაპიტალის მდგომარეობა გამოარყიოს.

7. სასურსათო საბჭოს მომავალი ორგანიზაცია. თათბირი სდგას რა ერობათა 1 და 2 ყრილობაზედ გამოტანილ დადგენილების საფუძველზე, აღიარებს ერობათა სასურსათო დარგში მუშაობის ნაყოფიერების ერთ-

აუცილებელ პირობათ ამ ორგანიზაციის მთელი ქონებით ეროვნული სარულადო გამგებლობაში საკუთრებათ გადაცემას.

სასურსათო საბჭო მისი ეტლანდელი ფორმიდ უქმდება და ის უნდა გადაიკუს მომარიგების და დამზადების ან სასურსათო განყოფილებათ ეროვნულისა, რომელიც თავის მოღვაწეობას ამ დარგში დაუქვემდებარებს მომარიგების სამინისტროს საერთო პლიტკას.

საქართველოს რესპუბლიკაში ყვავილის ხავალდებულო აცრის შემოდების შესახებ. ერობის მოწინავე სახელმწიფო ებნა ძეგლოვრებნი გააჯან- მრთელეს დიდი ხნის, მრავალ მხრივი და დაუღალავი მუშაობით. ხალხი სცხო- ვრების ეკონომიურად თანდათან გაუმჯობესება, მისი კულტურულადა მაღ- ლება და ცხოვრების პირობების სანიტარულ კანონმდებლობის საშუალებით გარდაქმნა-აი, ის ნაცალი გზა, ომელითაც ევროპაში იარა და საექიმო-სა- სანიტარო დარგში ბევრი რამ შექმნა და გააკეთა.

თუ ჩვენი სამშობლოს აღმშენებლობით ხანაში ცხოვრების სხვა დარგებში თვალსაჩინო კულტურული მუშაობაა გაჩალებული, სამწუხაროდ საექიმო-სააანიტარო დარგის მიმდინარე მუშაობა მიუდგომელ მეთვალყურეს ვერ დააკმაყოფილებს. საექიმო-სასანიტარო დარგში რაიმე მუდმივი, ორგანიული თითქმის არა კეთიდება რა. რაც შეეხება სანიტარულ კანონმდებლობას, ეს მხარე ხომ წინეთაც ხელშეუხლებელი სფერო იყო და დღესაც არავის არ აინტერესებს.

ერობათა კავშირის კომიტეტმა გაითვალისწინა ეს გარემოება და გა-  
დასწყვიტა სანიტარულ კანონმდებლობის შექმნას ჯეროვანი ყურადღება.  
მიეკცეს, როგორც ეს საზღვარ-გარეთაბ. ყოველივე საექიმო - სასანიტარო  
საკითხი სანიტარულ კანონში ჩამოაყალიბოს და მით უკიდურესად ანტი-  
სანიტარული ცხოვტება ეს ბუდე, საუკეთესო ნიადაგი-ჩვენი ერის დას-  
ნეულებისა და დაავადებისა — გარდაქმნას და წინააღმდეგზე შესცვალოს. ამ  
გზით სიარულის პირველი ცდა გახლავთ აყვავილის წინააღმდეგ სავალდე-  
ბულო აკრის შესახებ კანონ - პროექტის დამტკრებელ კრებისთვის წარდგენა.

ქვემო მოყვანილი კანონ-ზრდებული შემუშავებული ერობის ექიმთა ყრილობის დავალებით და დადასტურებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სასანიტარო განყოფილებასთან დროებით მომუშავე ექიმთა კომისიის მიერ.

ପାବନା-କଣ୍ଠରେଣୁ

ბავშვისათვის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში (დღიდან დაბა-  
დებისა); აცრა ექიმის მოწმობით უნდა იყოს დადასტურებული.

3. ყვავილის პირველი განმეორებით ასაცდენი აცრა სავალდებულო  
ყველი ბავშვისათვის სიცოცხლის მეორე წლის განმავლობაში (წლიდან  
დაბადებისა); აცრა ექიმის მოწმობით უნდა იყვეს დადასტურებული.

4. ყვავილის მეორე განმეორებით ასაცდენი აცრა სავალდებულო  
ყველა მოქალაქესათვის სიცოცხლის მე-19 წლის განმავლობაში, (წლიდან  
დაბადებისა); აცრა ექიმის მოწმობით უნდა იყოს დადასტურებული.

**შენიშვნა:**— 3 და 4 მუხლში აღნიშნული ყვავილის ასაცდენი  
აცრა საჭიროებას აღარ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ მო-  
ზარდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ექიმის მოწმობის ჩვე-  
ნებით ყვავილი მოუხდია.

5. ყვავილის აცრა ექიმის აზრით, თუ ვისთვისმე რაიმე ივალმყოფობა  
საჭიროებას წარმოადგენს მას ექიმის მოწმობით აცრის ვადა გადაედება;  
როგორც პირველი ასე განმეორებითო აცრა სავალდებულო შესრულდეს.  
პირველი წელსვე მას შემდეგ, როცა ყვავილის აცრა მისთვის მავნებელი  
აღარ იქნება.

6. თითოულ შემთხვევაში, თუ ექიმის აზრით, ყვავილის აცრამ  
უშედეგოთ ჩაიარა აცრა უნდა განმეორდეს არა უგვიანეს შემდეგი წლის  
დამლევამდე წლიდან უკინასკნელი აცრისა, და თუ მეორედაც ყვავილი არ  
გამოაჩნდა, აცრა მესამე წლის განმავლობაში კიდევ განმეორებულ უნდა  
იქნას.

7. თუ უმიზეზოთ პირველი და განმეორებითო აცრა არ შესრულე-  
ბულა, ადგილობრივი ამცრელი ექიმი სხ. §.9 აცრის სავალდებულო ვადას  
ნიშნავს.

8. თითოული აცრილი ბავშვის მშობელი, აპეკუნი, მოვალეა აცრის  
შემდეგ არა დღრე მეექვე და არა უგვიანეს მერვე დღისა ბავშვი ამცრელ  
ექიმთან შესამოწმებლად მიიყვანოს.

**შენიშვნა:**— 19 წლის აცრილი მოზარდე მოვალეა თვითონ შე-  
ასრულოს წინა მუხლში აღნიშნული ვალდებულება.

9. საქართველოს რესპუბლიკის თითოული ქალაქი-ვიდრე თბილისისა  
და სამაზრო ერობის თითოული უბანი, ყვავილის აცრის ჯეროვანად მო-  
საწყობად, ყვავილის ასაცრელ განცალქავებულ რძიონებათ უნდა ითვლე-  
ბოდნენ და ყვავილის ამცრელ თითო ექიმს ექვემდებარეობდნენ.

**შენიშვნა პირველი:** ქალაქი თბილისი უნდა გაიყოს იმდენ ასა-  
ცრელ რაიონად რამდენი მასში ათი ათასი მცხოვრებია.

**შენიშვნა მეორე:** მაზრის თითოულ ასაცრელ რაიონის ამცრელ  
ექიმად საერობო უბნის ექიმი უნდა ითვლებოდეს.

10. ამა თუ იმ ასაცრელ რაიონის ამცრელი ექიმი ყოველ წელს გა-  
ზაფხულ-შემოდგომაზე ყველას უსასყიდლოდ უცრის დანიშნულ დღეებში

წინასწარ გამოცხადებულ ადგილებში. პურილთა გაშინჯვა აგრეთვე და-  
ნიშნულ ადგილებში უნდა სწარმოებდეს.

11. თითოულ ასაკურელ რაიონში თებერვლის დამლევისთვის ადგი-  
ლობრივი მოხელე ასაკურელ ბავშვების სიებს ამზადებს.

12. ამკურელი ექიმები სიებში აღნიშნავენ: ვის გამოაჩნდა აკრა, ვის  
სრულებით არ აეცრა, ვისი აკრის ვადა გადაიდო.

13. ყვავილის აკრა ევალება ექიმებს და საექიმო პერსონალს ექიმის  
პასუხის მეტბლობის ქვეშ.

14. ყოველივე დადებითი აკრის შემთხვევას ამკურელი მოწმობის მი-  
ცემით ადასტურებს, სადაც უჩვენებს აკრილის ვინაობას დაბადების თა-  
რილით; მკაფიოთ აღნიშნავს, რომ ყვავილის აკრა ამა თუ იმ დროს კიდევ  
განმეორებულ უნდა იქმნას, თუ ის საჭირო იქმნება.

15. ამკურელი ექიმის მოწმობაში, რომლითაც ესა თუ ის ავადმყოფი  
ბავშვი დროებით განთავისუფლებულია აკრისაგან, უნდა ნაჩვენები იყოს  
განთავისუფლების მიზეზები და მკაფიოთ უნდა იყოს აღნიშნული ვადა გან-  
თავისუფლებისა.

**შენიშვნა პირველი:** მოწმობის ფორმა ზოგადი უნდა იყოს  
მთელი რესპუბლიკისათვის და იბეჭდებოდეს მთავრობის ცენტრა-  
ლურ საექიმო - სასანიტარო ორგანოს მიერ, რაც უფასოთ უნდა  
ეძლეოდეთ როგორც თანამდებობის ექიმთ ისე კერძო მომუშავეთ,  
თუ უკანასკნელი ყვავილს სცრიან.

**შენიშვნა მეორე:** აკრის მოწმობას არავითარი გარდასახადი არ  
უნდა ედოს როგორც სახელმწიფო სალერბო, ისე ექიმის სასარგებლოდ.

16. ყოველივე სასწავლებლის გამგე მოვალეა ბავშვს სასწავლებელში  
შესვლის წინ ექიმის მიერ მიცემული ყვავილის აკრის მოწმობა მოსობოვოს.

17. მშობლები, სასწავლებლის გამგენი მოვალენი არიან ბავშვების  
აკრის მოწმობები წარუდგინონ მთავრობის საექიმო-სასანიტარო დაწესე-  
ბულების კონტროლიორს, როცა საჭიროა დადასტურება, მიმისა, თუ ვი-  
აქვს ყვავილი უკვე აცრილი ან ვისა აქვს აკრის ვადა გადატებული.

18. მშობლები, აპეკუნები, სასწავლებლის გამგენი, თუ ვინიც მართავ-  
ბავშვების ყვავილის აკრის მოწმობას არ წარუდგენენ სათანადო პირს და-  
ჯარიმებულ უნდა იქმნენ თითო სულში 25 მან. გადახდევინებით.

19. მშობელი, აპეკუნი ვისიც შვილები და ობლები, თავის ტრიოზე  
უმიზეზოთ არ გამოცხადდენ ექიმის მიერ დანიშნულ ადგილს ყვავილის  
ასაკურელად ან აკრის შემდეგ გასაშინჯათ, უნდა დაჯარიმებულ იქმნენ  
თითო სულში 50 მან. ან დაპატიმრებული იქმნენ ერთი კვირით.

20. ყვავილის ამკურელი ექიმი, რომელიც თავის მოვალეობას ზერე-  
ლად და დაუდევრად ისრულებს, დაჯარიმებულ უნდა იქმნას 500 მან. ან  
დაპატიმრებული საში თვით.

21. აკრისათვის უნდა ხმარობდეს მხოლოდ ცხოველის დეტრიტი.

ეგრეთ წოდებული გლიცერინში შენახული და საყინულის ტემპერატურით შენახული არა ნაკლებ 2 თვისა, როგორც შემზადების პროცესს აგრეთვე თვით დეტრიტსაც მთავრობის კომპეტენტური კომისის კონტროლს უნდა უწევდეს.

22. ქალაქთა და ერობათა კავშირებს ევალებათ ასაცრელი ინსტიტუტი მოაწყონ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისთვის ლიმფის საკირო რაოდენობას დამზადებს და საზოგადო ყვავილის ამცრელ ექიმს უსასყიდლოთ მიაწოდებს.

**შენიშვნა პირველი:** ინსტიტუტი აწარმოებს ანგარიშის ჩვენებით თუ ვის რამდენი მიეცა ლიმფა ამა თუ იმ დროის-განმავლობაში.

**შენიშვნა მეორე:** საზოგადოთ ყვავილის ამცრელი ექიმები მოვალენი არიან უფასოთ დაუთმონ ლიმფა იმ ექიმს ვინც თავის კერძო პრაქტიკაში ყვავილს სცრის.

**საქართველოს საერობო აგრონომთა ყრილობა.** საქართველოს ერობათა კავშირის კომიტეტის თაოსნობით და თბილისის სამაზრო ერობის აგრონომიულ განყოფილების დახმარებით, ერობათა კავშირმა მოიწვია საქართველოს საერობო აგრონომთა ყრილობა. ყრილობა გაიხსნა 13 დეკემბერს.

ყრილობის პროგრამაში შედის შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ადგილებიდან.

2. აგრონომიულ დახმარების მოწყობა მაზრაში და მიწად-მოქმედების სამინის. და ერობათა ურთიერთობა ამ საკითხში. (მომხ. აგრონ. ლომაურისა ქ. თბილისი).

3. აგრონომიულ დახმარების მოწყობის ძირითადი პრინციპები. (მომხ. დ. სამადაშვილისა, — სიღნაღის სამაზრო ერობის წარმომადგენელი).

4. საუბნო აგრონომიულ დახმარების მოწყობა (მომხ. გ. საყვარელიძე, — თელავის სამაზრო ერობა).

5. სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცელება სკოლის გარეშე. (დ. გორომაშვილი, დუშეთის სამაზრო ერობა, წინამძღვრიანთ კარი).

6. საერობო აგრონომის მონაწილეობა კოოპერაციაში, აგრარულ რეფორმის გატარებაში და სხვა საზოგადო საქმეებში. (მომხ. გ. ოქროპირისა, ქ. გორის სამაზრო ერობა).

7. აგრონომიულ ცენტრის შექმნა, რომელიც დახმარებას გაუწევს ყველა საერობო აგრონომებს და ერობებს აგრონომიულ დახმარების მოწყობაში (მომხ. ი. ჭურდიანი, — თბილისის სამაზრო ერობა).

8. ბალების და ვენახების წამლობის მოწყობა რესპუბლიკაში (მომხ. ბ. ჩხატარაიშვილი).

9. მესაქონლეობის ღლევანდელი ვითარება საქართველოში (მომხ. ნიკ. ყავრიშვილი).

10. სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება შინ და შემოზიდვა უცხოეთიდან. (მომხ. ვლ. ხოფერიძე, — სენაკის სამაზრო ერობა).

აგრონომიულ პერსონალის პროფესიონალური საჭიროებანი ა) რა ფორმისა იქნება აგრონომიულ პერსონალის პროფესიონალური კავშირი.  
ბ) წესდების განხილვა.

ბეითლების ყრილობა. ახლო მომავალში შესდგება ბეითალთა ყრილობა. ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) საქონლის კირთან ბრძოლისათვის მთავრობის კომისიის მიერ ახლად შემუშავებულ პროექტის განხილვა და კირის საწინააღმდეგო სადგურის დაარსება:

2) ბრძოლა პირუტყვთა სხვა გადამდებ სენან (ეპიზოოტიებთან) საზოგადოთ.

3. ვეტერინალურ ლაბორატორიის აღდგენა-მოწყობა მთელ რესპუბლიკაში.

4. საქონლისათვის სამკურნალო დაზმარების მოწყობა ერობაში (ამბულატორიების დაარსება).

5. საქონლის მოვლა-მოშენება: ა) შესწავლა აღგილობრივ ჯიშების, ბ) მათი გაუმჯობესება. (დაარსება საში ჰუნეტისა).

6) ვეტერინალურ პერსონალის მომზადება რესპუბლიკაში.

7) ვეტერინალური დაწესებულებებანი: მთავრობის, ერობის, ქალაქის და სამხედრო უწყების და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება.

8) ვეტერინარ. ექიმთა ჰუნეტების საქმე.

9) საწყობები, მერძეობა, საქონლის ნედლი მასალის გასინჯვა.

10) უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა ვეტერინარულ პერსონალისა, დაარსება ვეტ. პროფ. კავშირის ორგანოსი.

### თბილისის სამაზრო ერობაში.

— თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა. 27 დეკემბერს თბილისის სამაზრო ერობის ბინაზე დანიშნულია სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა. გასარჩევი საკითხებია; ჯამაგირების გადიდება, საერობო კონტროლიორის მოწვევა და მიმდინარე საკითხები.

პირველ დეკემბერს თბილისის სამაზრო ერობის ბინაზე შესდგა თბ. მაზრის აგრარულ კომისიის თავმჯდომარეების, მიწის მზომელთა და აგრკომისიის მდივანთა ყრილობა. ყრილობის პროგრამა შემდეგია.

1) დაწვრილებითი მოხსენებები აგრარული კომისიის მუშაობის შესახებ; 2) მომავალ მუშაობის გეგმის გამომუშავება; 3) შესაძლებელია ზამთარში მუშაობა თუ არა, ან როგორ. პირველად მოსმენილ იქნა აღგილებიდან მოხსენებანი საერთო მუშაობის შესახებ, რომლიდანაც გამოირკვა რომ მიუხედავათ ბევრ დამაბრკოლებელ პირობებისა აგრარულ კომისიის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და საქმიანი ყოფილა. ხალხი ყველგან დიდის

აუტურთოვანებით ხვდება კომისიას და მოხარულია მიწების მემამულეები-საგან ჩამორთმევისა. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რათა ზამთარ-შიაც გაგრძელდეს მუშაობა ისეთ მხარეებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

— გარდასახადების აკრეფა. თბილისის სამაზრო ერობის დადგენი-ლებით მთელ მაზრაში გაგზავნილია 3 კომისია, ადგილობრივ ხარჯთ-ამ-კრეფ კომისიის მუშაობის თვალ ყურის სადევნელათ. განსაკუთრებული კო-მისია ადგილობრივ არჩეულ კომისიასთან. ერთად გამოარკვევს, თუ ვის რამდენი მიწა აქვს, და ამის მიხედვით გააწერს გარდასახადს (ერთდროულს სასანიტაროს და საერობოს). ხალხი გარდასახადს წესაერთად იხდის და ყოვე-ლონაირად ხელს უწყობს მის სამართლიანად გაწერას.

— გარდასახადების შემოტანა. თბილისის სამაზრო ერობაში ყარაია-ზისა და ასურეთის რაიონებიდან უკვე დაიწყო გარდასახადების შემოტანა:

— გარდასახადის აკრეფა აღმულახში. თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ ცნობა მიიღო, რომ აღმულახის სათემოში დაწყებულია გარდასა-ხადების აკრება, რომელიც დასრულების შემდეგ გადმოეგზავნება ნაწილი სამაზრო ერობას და ნაწილიც კი სახელმწიფო ხაზინას.

— იარაღის გამქირავებელი პუნქტი. თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ კოდორში სამეურნეო იარაღის გამქირავებელი პუნქტი გახსნა.,

— საავადმყოფოები. თბილისის სამაზრო ერობა შეუდგა მოწყობას სოფ. საგარეჯოში და მარტყოფში საავადმყოფოების მოწყობას. თითო საავადმყოფოში იქნება 15 საწოლი. საავადმყოფოები ამ დღეებში დაიწ-ყებენ მუშაობას.

— გარდასახადების გაწერის და აკრეფის საკითხი გარე-კანეთში. გარე-კანეთიდან დაბრუნდა თბილისის სამაზრო ერობის გამგეობის მიერ გა-გზავნილი კაცი, რომელსაც დავალებული ქონდა შეესწავლა გარდასახადების გაწერისა და აკრეფის მდგომარეობის გამორჩევა. მას მოუვლია შემდეგი თემები: საგარეჯოსი, ივრისა და მარტყოფის. უმთავრეს ცენტრებში და აგრეთვე მეტ — ნაწილად სოფლებში მას გაუმართავს საჯარო ყრილობები ხსენებულ საკითხის შესახებ. ხალხი დიდის თანაგრძნობით და შეგნებით ეკიდება გარდასახადების საკითხს, როგორც უმთავრეს ფუძეს სახელმწიფოს აღმშენებლობისას. ყოველ სოფელში არის ამორჩეული საგანგებო კომისიე-ბი, რომლებიც აღგენენ გარდამხდელთა სიებს და აწესრიგებენ გარდასახადს. მეტ-წილ სოფლებში ეს წინასწარი მუშაობა მოთავებულია, საზოგადო, ეს საქმე არ დაგვიანდებოდა რომ თვით თემის გამგებებს არ გამოეჩინათ სისუსტე; თვით გეგმა აკრეფისა სხვა და სხვა ნაირია. მაგალითად, მარტყო-ფში ფულის აკრეფას შეუდგა თვით თემი, სხვა აღვილებში კი თვით ზემო-რე ხსენებული კომისები ავალებენ ამკრეფლებს შეაგროვონ გარდასახადები. საერთოდ მუშაობა კომისიებისა და მაკმაყოფილებელია და იმედია ასლო მო-მავალში დასრულდება მუშაობა და გარდასახადებიც სრულებით აიკრიფება.

### ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ჯამაგირების მომატება. ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ, პირველ აგვისტოს 20%, მომატების მაგივრად სამაზრო ერობის ყველა დარგის მოსამსახურეთ მიუმატა 40%, ჯამაგირი ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

— სამაზრო ერობის გამგეობამ 25 ათასი მანეთი გადასდო საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის შესაძენათ.

— ნაფიც მსაჯულთა სიები. ქუთაისის ოლქის თავმჯდომარე დეპეშით ამცნობს იუსტიციის სამინისტროს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ყველა მაზრების ერობებმა წარუდგინეს სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიები. სიები ჯერ არ წარმოუდგენიათ სოხუმის ოლქის და თბილისის გუბერნიის ზოგიერთ სამაზრო ერობებს, რის გამო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოლების საკითხი შეფერხებულია.

— ბანდის ერობის დადგენილება. ბანდის ერობამ დაადგინა გზების გასაკეთებლათ ფოსტის მოხელეებიც გაიყვანოს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თითოს 1.000 მან. გადაახდევინოს. ამის გამო ბანდის ფოსტის მოხელეებმა შუამდგომლობით შიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განუმარტოს ბანდის ერობას, რომ ფოსტის მოხელენი კანონით მოვალენი არ არიან გზების კეთებაში მონაწილეობა მიიღონ.

### რ ა ჭ ა.

ზემო რაჭაში უკვე დაიწყო სიმშილობა; ფუთი სიმიდი ეხლა 180 მ. ლირს. თოვლის გამო გზები იკეტება და დღესაც ძლიერ გასაჭირია სანოვაგის შეტანა.

მთავრობის დადგენილებით რაჭაში უნდა გაიგზავნოს სიმიდი. აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას სისროლეში მოყვანილი მთავრობის დადგენილება, ვინაიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ გზები სულ მთლად დაიკეტება და თუ დღეს ძნელია სანოვაგის შეტანა, შემდეგ ყოვლად შეუძლებელი გახდება და ხალხს სიმშილი მოელის.

ერობის სასუსართო განყოფილებას დღეს სრულიად არ აქვს სიმიდი, მან მოწოდებით მიმართა ხალხს, რათა მათ განცხადებები შემოიტანონ გამგეობაში და საჭირო ფულიც წარადგინონ. ამ მხრივ მუშაობს დღეს ერობის სასურსათო განყოფილება.

რაჭის მაზრაში არ იყო არავითარი გასაცვალი სანოვაგე, ამიტომ აქ არ შემოსულა მანუფაქტურა, რომელიც მთავრობამ სხვა მაზრების ერობებს სხვა-და-სხვა სანოვაგეში გაუცვალა. ხალხი დიდ გაჭირებას განიცდის

ტენსაცმლის მხრივ. საჭიროა ამ მხრივაც მაზრამ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს.

მაზრაში წინწეულებიანმა სახატმა იჩინა თავი.

მაწის მიმღებ სარაიონო კომისიებმა უკვე დაამთავრეს მიწის ჩამორთმევა. სახელმწიფო ფონდში ძლიერ ცოტა მიწა გადავიდა, ვინაიდან მაზრაში მეპატრონეთა რიცხვი ძლიერ ცოტა იყო.

### გორის სამაზრო ერობაში..

გორის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო ერობის გამგეობასთან, რათა ქალაქის სკოლების მასწავლებლებს მიეცეს სურსათი ნისიად. ამ საკითხის შესახებ ერობის გამგეობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მიეცეს ნისიად ქალაქის მასწავლებლებს სურსათი, თითოს ათასი მანეთის, ქალაქის პასუხისმგებლობით. თუ პირველ თვეშივე ქალაქი ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგ დაეხუროს კრედიტი.

— დღევანდელი სიძეირის გამო შექმნილ მდგომარეობის შესამსუბუქებლად ერობის გამგეობამ გადასწყვიტა ერობის მოხელე-მოსამსახურეთათვის გახსნას ერობის მაღაზია, საიდანაც მოხელე-მოსამსახურენი შეძენენ შეღავათიან ფასებში ყველა იმ საქონელს, რაც მაღაზიაში იქნება.

— ქალაქის გამგეობამ შიმართა გორის სამაზრო ერობას, რათა მისცეს მას სესხის სახით 100.000 მანეთი. ერობის გამგეობამ გადასწყვიტა მისცეს სესხად გორის ქალაქის თვითმართველობას ერთი თვის ვადით აღნიშნული ჯამი.

— სამაზრო ერობის გამგეობამ შედიკამენტების შესაძენად გადასწყვიტა 40 ათასი მანეთი.

— ერობის გამგეობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, ზომები იქნეს მიღებული, რომ რესპუბლიკის ფარგლებში მოწეული სურსათი კერძო პირთა მიერ სხვა-და-სხვა საშუალებებით საზღვარ გარეთ არ იზიდებოდეს და აქვე რჩებოდეს, სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანიზაციების განკარგულებაში. ამ მიზნით ერობა საჭიროდ აღიარებს, რომ ხორბალი არსად არ იგზავნებოდეს ადგილობრივ თვითმართველობათა დაუკითხავად..

### სილნალის სამაზრო ერობაში.

სამაზრო ერობის უკანასკნელი კრება მოხდა ოქტომბერში. კრების მიერ დამტკიცებულ იქნა დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წ. 1 იანვრამდე, რაიც გამოიხატება 2 მილიონ მანეთში. საერთო ჯამში 1919 წელში მიაღწია 9 მილიონ მანეთამდე.

ხარჯთ-ალრიცხვაში შევიდა, სხვათა შორის, სანიტარული გარდასახადი, რომელიც გამოანგარიშებულია 3 მილიონ მან. დღემდის ერობის გამგეობას სანიტარული გარდასახადი არ შემოსვლია.

ხაფუთო გარდასახადი ჯერ ჯერობით არ არის მაზრაში შემოლებული. ამ ხანად მთავრობის წინაშე ალძრულია შუალედგომლობა, რათა ერობას ნება დაერთოს შემოილოს საფუთო გარდასახადი ექვს დიდ საღაურზე, რომელიც მაზრაშია. ეს გარდასახადი ერობას დიდ დახმარებას გაუწევს: იგი მისცემს მას 200 ათასამდე მანეთს.

— მიმდინარე წლის ზაფხულში ერობამ მიაქცია დიდი ყურადღება და აამუშავა ახტალის აგარაკი: მომავალ სეზონისათვის განზრახულია ახტალის კურორტის გაფართოება.

— სასურსათო საქმე ერობის გამგეობის მიერ უყურადღებოთ არაა დატოვებული. ერობა აგროვებს ხორბალსა და თივას მომარაგების მთავარ კომიტეტისათვის.

— დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული გზების და ხიდების გაკეთება-გასწორებას. ყველა გზები შესწორებულია, გაყვანილ იქნა ახალი გზა სადგურ მელანსა და სილნალს შუა. გაგებულ იქნა ორი ახალი ხიდი ჭიაურნე და შავწყალზე. ტელეფონის გაყვანისათვის მუშაობა წარმოობს ყველა რაიონებში. ზოგიერთ რაიონებში ამ დარგში მუშაობა უკვე დამთავრებულია როგორც მაგალითად: ლაგოდეხში და გურჯანში.

— სამაზრო ერობას განზრახული აქვს გახსნას სამეცნიერო სახელოსნო..

— სწავლა-განათლების საქმე დაყენებულია შემდეგ ნაირად: მაზრაში არსებობს 68 სკოლა და 4 უმ. პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

— ქალაქ სილნალში არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც გახსნილი იქმნა ერობის და ქალაქის მიერ ერთად.

— ზოგიერთ დიდ სოფელში ერობის მიერ დაარსებულია ბიბლიოთეკები. ზაფხულში რამდენიმე თვე მუშაობდა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი, ამხანად აღნიშვნულ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ხდება.

— ერობის მიერ მიღებულ იქმნა სამეცნიერო იარაღები, რომელიც ერობამ დაანაწილა რაიონთა შორის მცხოვრებთა დასარიგებლად.

მიწის ფონდიდან ერობის განკარგულებაში გადავიდა რამდენიმე მამული, მათ რიცხვში გადავიდა აგრეთვე ლაგოდეხში არსებული ენფენდჯიანცის ბაღები, ჭუმლახის სანერგე და ლარიონოვკის საცდელი მინდორი.

— მოსაგალი მაზრაში საშუალოზე მეტია.

— მაზრაში მუშაობს მომზრიგებელი სასამართლო და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

— ყაჩალობა და ცარცვა-გლეჯა, რომელიც მაზრის განაპირაზე არსებობდა, ამ უნანასკნელ ხანებში მიწუნარებულია.

— ერობათა მცირე ერთეულების ორგანიზაცია დამთავრდა ივლის-

ში. სოფლის საზოგადოებების ტერიტორიის მიხედვით მაზრა დაყოფილია 26 მცირე ერთეულებათ. მაზრაში ზოგგან მოხდა გადაჯგუფება, მოწვეული იქმნა რაიონების ერობათა ყრილობა, სადაც დასმულ იქმნა საკითხი აღმინისტრაციის რეორგანიზაციის შესახებ.

— მაზრაში დადგენილ წესით, რაიონის მილიციის უფროხი იჩიება მცირე ერობის ერთეულის მიერ და შემდეგ მას ამტკიცებს სამაზრო ერობის გამგეობა:

— ყველა დადგენილებანი სარაიონო ერობისა მტკიცდება სამაზრო ერობის მიერ; იყო ისეთი შემთხვევები, რომ სარაიონო ერობის დადგენილება სამაზრო ერობის მიერ დამტკიცებული არ იქმნა, როგორც მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა სარაიონო ერობა ითვისებს სასამართლოს ფუნქციებს.

— ყველა კრედიტებს, მთავრობის მიერ გამოლებულს სკოლების და აღმინისტრაციის შესანახად, სამაზრო ერობა აძლევს სარაიონო ერობას მის განკარგულებაში. სარაიონო ერობას არავითარი საკუთარი შემოსავალი არა აქვს. მათ მხოლოდ თვითდაბეგვრის და გამგრიბის შენახვის უფლება აქვთ.

### თიანეთის სამაზრო ერობაში.

7 ოქტომბერს 1919 წ. შესდგა თიანეთის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოს მეორე ყრილობა. ყრილობაზე დაესწრო გამგეობის წევრები და 25-დე ხმოსნები. ყრილობა გაგრძელდა 11 ოქტომბამდე. ყრილობის მიერ მოსმენილ იყო რამდენიმე თვალსაჩინო მოხსენება.

მოსამზადებელი კომისიების არჩევის საჭიროების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარებ და აღნიშნა რომ საჭიროა არჩეულ იქმნას, გარდა იმ კომისიების, რომელიც არჩეულ იქნა პირველ ყრილობაზედ, კიდევ შემდეგი კომისია: 1) სწავლა-განათლების, 2) ტეხნიკური, 3) საექიმო-სასანიტარო, 4) აგრძნებილი და 5) დამხმარე კომისია თიანეთის მაზრის საზღვრების დაცვის საკითხში. ყრილობამ ეს წინადედბა მიიღო.

საფოსტო გზის განახლება თიანეთ-თბილისს შუა აღიარებულ იქმნა აუცილებელ საჭიროებათ. ყრილობამ დაადგინა ამ მიზნისათვის აღიძროს. შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს ამ გზის შეკეთებაში, რადგან მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სასურასათო საქმის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პ. დოლიძემ. მოხსენებიდან სჩანს, რომ თავის მუშაობის პირველ ხანებშივე გამგეობას სერიოზული ყურადღბა მიუქცევია პირველ მოთხოვნილების საგნების შექნისათვის.

გამგეობას შეუქმნია სასურასათო საწყობი და მაღაზია, რითაც მან

შესძლო კონკურენციის გაწევა ადგილობრივ ვაჭრებთან. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამგეობას განზრაგული აქვს გახსნას საზეინკულო და სამჭედლო სახელოსნოები, რადგანაც ეს დღეს დიღს საჭიროებას წარმოადგენს. მოისმინა რა ყოველივე ეს ყრილობამ დაადგინა: მიეცეს გამგეობას უფლება საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში მოხსენებული თავისუფალი კრედიტები მოიხმაროს სასურსათო საქმეების საწარმოებლათ.

სახალხო სკოლის ახალი ტიპის შესახებ ყრილობის მიერ მოსმენილ იყო ვრცელი მოხსენება. მომხსენებელმა მოხსენების ბოლოს წაიკითხა თავისი რეზოლუცია: 1) სახალხო სკოლა უნდა იყოს ერთი, ერთ საფეხურიანი 7—8 წლიანი, უფასო, საყოველთაო, სავალდებულო და საერთო; სახალხო სკოლა უნდა იძლეოდეს მხოლოდ ზოგად განათლებას; 2) მასში სპეციალურ პროფესიონალურ განათლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ხოლო პროფესიონალური საგნები იქნება დაშვებული ამა თუ იმ საგნის უკეთ შესწავლის შიზნით, 3) სახალხო სკოლა უნდა იძლეოდეს დამთავრებულ ცოდნას, ხოლო ამავე დროს უნდა ჰქონდეს მას ორგანიული კავშირი საშუალო სკოლებთან, რომელიც შესდგება ოთხი უმაღლეს კლასიდან და 4) სახალხო სკოლას უნდა ინახავდეს სახელმწიფო პირადი შემადგენლობის დაქმაყოფილებით, ადგილობრივით თვითმმართველობა, შენობის და ავეჯეულობის მიცემით და მშობლები სასწავლო და სხვა ნივთების მიცემით. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს მოხსენებას და იწონებს წარმოდგენილ პროექტს.

ერობის გამგეობის დადგენილების გამო მაზრის გადამიჯვნის საკითხის შესახებ ყრილობა ერთხმად აღვენს: თიანეთის მაზრის მცხოვრებლების ეკონომიური და კულტურული ინტერესები მოითხოვენ, რომ თიანეთის მაზრა დაპირი ცალკე სამაზრო ერთეულად, ხოლო ფაქტიურად თელავის მაზრაში შესულ აღმანის (ბარის და მთის თუშები) გამგეობა დღეიდან არ სთვლის თავის მაშრის ნაწილად. ეს დადგენილება ყრილობის მიერ მიღებისთანავე ეცნობოს მთავრობას, რათა კანონმდებლობითი გზით იქმნას გატარებული თუშეთის თელავის მაზრაზე მიწერა, ხოლო დანარჩენი ნაწილი შაზრისა კი დაპირი ხელშეუხებლად.

სესხის აღების შესახებ მოხსენებას აკეთებს პ. დოლიძე. ყრილობამ მოისმინა მოხსენება და 10 მილიონიან ფონდიდან სესხის აღების შესახებ მოწონებულ და დადასტურებულ იქმნა, რომ ნება მიეცეს გამგეობას აიღოს 10 მილ. ფონდიდან სესხად 507.465 მანეთი, რასაც ყრილობა უზრუნველყოფს იმ ფულიდან, რომლის მიღებაც თიანეთის სამაზრო ერობას უწევს ერთდროულ მიწაზე გარდასახადიდან 27 მაისის კანონით.

სანიტარული გარდასახადის შესახებ ყრილობამ იქმნია მსჯელობა და შესაქლებლად სცნობს თიანეთის მაზრაში შემოლებულ იქმნას ერთდროული სასანიტარო გარდასახადი ერობის სასარგებლოდ, თანახმად 16 ივლისის 1919 წ. დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონისა; ეს გარდასახადიც ეკისრება თიანეთის მაზრის მცხოვრებთ. რაოდენობა ამ გადასახადისა განსაზღვრულია წერილობით.

დაბოლოს ყრილობამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა 1919 წ. 4 აგვისტოდან 1920 წ. იანვრის 1-დე. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდებია შემდეგნაირად.

შემოსავლის მთავარ წყაროებს		გასაფალის მთავარ წყაროებს	
მაჩვთი.	კ.	მაჩვთი.	კ.
1. სანიტარული გარდასახადი	504.534	1. შენახუა გაზრის აღმინისტროვისა და მილიციისა	477.900
2. დახმარება ერობას და დასაბრუნვე- ბელი ნარჯები (მთავრობის სენი 3. დეკემბრ. 1918 წ. კანონით)	140.000	2. შენახუა საქრობო ოფიციალურად 3. ავტონომიულ განყოფილ უნახვა 4. გზათა აღმისახურებლობა	238.670 40.950 42.100
3. აღმინისტრაციის კრედიტი	477.900	5. სახალხო განათლება 6. სამეცნიერო-სასანიტარო ნაწილი 7. საგიათლო ნაწილი 8. უკონმიზრ კეთილდღობის მო- წყობისათვის	312.870 265.800 68.600
4. სკოლის კრედიტი	83.200	9. სხვა-და-სხვა ნარჯები-ტელეფონის ქსელის მოვლა-მოწყობა 10. სასამართლოს ნაწილის ხარჯები	54.650 60.000 3.600
5. მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან 6. შინაგან საჭმეტო სამინისტროს სა- ექიმოსასანიტარო გარდასახადების- გან	21.192	11. დახმარება თუატრის და საფიქსი- სკოლას 12. სასურასათო განყოფილება	4.000 92.200
7. ერთდროულ გარდასახადიდან 40%	507.465	12. ქროპბის სალიგანიზაციო ხარჯები 14. მოწლოდნელი ნარჯებისათვის გამ- გეობის განკარგულებაში	25.000 80.000
8. სხვა-და-სხვა შემოსავალი საზენტ- ლო და სამშედლო სახელმიწოდ- ებიდან	9.000	13. სულ	1.766.340
9. სავაჭრო-სამრეწველო დოკუმენტ- ბიდან საპატიოტო	769		

ლეჩებუმის სამაზრო ერობის შესამე არა ჩვეულებრივი ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა 27 ოქტომბერს და დასრულდა 30 ოქტომბერს. ყრილობის მიერ განხილულ საკითხებთა შორის განხილული იქმნა შემდეგი საკითხები და გამოტანილ იქმნა დადგენილებანი. ტყით სარგებლობის შესახებ ყრილობამ დაადგინა:

1. სვანეთი განთავისუფლებული იქნეს შეშის გადასახადისაგან, ხოლო მომავლისათვის გადიხადოს ტყის ნაწილი მცხოვრებთა საჭიროებისათვის და ეს ნაწილი არ იქნეს ხე-ტყის მწარმოებელი ამხანავობის „სბროვოიაკა“-ს პირობაში შეტანილი.

2. ღლემდე მოჭრილი სარი, წკნელი და შეშა მათ ვინც თავის რჯახის საჭიროებისათვის გამოიტანა ეპატიოს სრულიად, ხოლო საშენ მასალასა და ყავარზე გარდახდეს არსებული ნიხრის რაოდენობა საფასური უჯარიმოთ, ხოლო ვინც გასასყიდათ გამოიტანა მაგ. „პოდრიაჩიკებს“ გარდახდეს სრული რაოდენობა კანონით აღნიშნული გარდასახადისა.

3. ოქმები რევოლუციის დროს მოჭრილ მასალის შესახებ მოყვანილ იქნეს სისრულეში მხოლოდ შეძლებულ პირთა მიმართ, ხოლო ლარიბებს ეპატიოთ.

ყრილობამ ტყის გამგეს ალუთქვა დახმარება და დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა: 1) სვანეთი და ადგილობრივი პირობების მიხედვით ლეჩებუმიც განთავისუფლებული იქნეს შეშის დარღასახადისაგან.

სწავლა-აღზრდის საქმის დაყენების შესახებ ყრილობა აღენს:

1. მიღებულ იქმნას რაც შეიძლება დაჩქარებითი ზომები შენობათა. შესაკეთებლათ, რომ მათში შეიძლებოდეს შეცადინეობა.

2. იმ მასწავლებლებს, რომლებსაც უქსასურნიათ 5 წლამდე ნაკლები თვეში მიეცეს 1.000 მან., ხოლო ვინც 5 წელი ანუ მეტი 1.200 მან. ამაწლის 1 სექტემბრიდან.

3. ეთხოვოს მთავრობას, რათა ლეჩებუმის ერობას მიეცეს ორასი ათასი მან., ანარქიის დროს განადგურებულ სახალხო სკოლათა შესაკეთებლათ.

საექიმო-სასანიტარო ნაწილის შესახებ ყრილობამ მოისმინა ვრცელი მოხსენება და კამათის შემდეგ დაადგინა:

1. მაზრაში დაარსდეს ერთი ნამდვილი საავადმყოფო მაინც, სადაც შეიძლებოდეს საექიმო დახმარების აღმოჩენა.

2. ავადმყოფის გასინჯვა ადგილობრივ საჭებოდეს უფასოდ, გაწვევა ექიმისა კი ფასით, რომლის განსაზღვრა მიენდოს ერობის გამგეობას.

3. გამოწვეულ იქმნენ საჩქაროდ დეზინფექტორები.

აგრძარულ განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა გამთვალისწინების დროში.

დღემდე სულ მიღებულია ფონდში მიწა 35.405 დესეტინა და 1.341

ოთხკ. საუკუნი. ორბელ-ლაილაშვის რაიონში 15.836 დეს. 1.435 ოთხკ. საუ., ცაგერ-დეხვირის 325 დეს. 176 ოთხკ. საუ., ჭრებალოს 117 დეს. 330 ოთხკ. საუ., ოყურეშ ზუბის—36 დეს. 1.620 ოთხკ. საუ., ლენტახ ჩოლოურის 19.086 დეს .960 ოთხკ. საუ.

გზების შესახებ ყრილობა ადგენს:

1. გაიგზავნოს დასაბუთებული მოხსენებით მთავრობასთან ერთი გამგეობის წევრი და ეთხოვოს, რომ ორბელ-ცაგერის გზის გაკეთება მიიღოს მთავრობამ თავის თავზე ანუ გამოიღოს შის გასაკეთებლათ საჭირო თანხა.

2. სვანეთში როველის გათავებისთანავე მიეცეს ხალხს წინადადება, რომ შეუდგენ გზების კეთებას, რისთვისაც მიეცეთ მათ სამუშაო იარაღები გამგეობისაგან.

3. ამგვარივე წინადადებით მიმართოს გამგეობამ ყველა სხვა საზოგადოებასაც და სადაც ხალხი თვისი ნებით არ დასთანხმდება გზების გაკეთებას, გამგეობამ მიიღოს კანონიერს ფარგლებში იძულებითი ზომები.

ადმინისტრაციის შესახებ ყრილობამ დაადგინა:

1. ხმოსანთა ყრილობა მწუხარებით აღნიშნავს იქ ძალ-მომრეობას, რომელსაც ადგილი ჰქონია ადმინისტრაციის მხრით ლეჩხუმის მაზრაში. ყრილობა ავალებს ერობის გამგეობას, რომ ასეთი ბოროტმოქმედების ჩამდენი პირები გადასცეს სასამართლოს დასაჯელათ.

2. ხმოსანთა ყრილობა ვალად იდებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ადმინისტრაციას ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში.

3. დაარსდეს მესამე სარაიონო კომისარიატი ჩოლოურში.

4. დამტკიცებულ იქმნას გამგეობის მიერ წარმოდგენილი ახალი გაღიდებული ნორმა მილიციის ჯამაგირების შემდეგისა სახით: მილიციის უფროსს თვეში — 2.500 მან., მის თანაშემწეს — 2.300 მან. რაიონის. კომისარს — 2.100 მან., თანაშემწეს 2.000 მან. უფროს მილიციონერს — 1.600 მ. უმცროს ცხენოსანს — 1.500 მან., ქვეითებს — 1.000 მან. ყველას 1 ნოებრიდან ამა წლ.

სამეურნეო განყოფილების შესახებ ყრილობამ დაადგინა:

სასოფლო მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და დაჩქარებით მოწვეული იქმნეს აგრონომი.

სასურსათო ნაწილის მოქმედების შესახებ ყრილობამ მოისმინა ბ. ხონელიძის მოხსენება და დაადგინა:

1. იქმნეს მიღებული ზომები გარდა ძალდატანებისა, რომ მაზრიდან არავითარი სურსათი არ იქმნეს გაზიდული.

2. ფართლეულობის შესაძენათ ყრილობა ვალათ იღებს იხმაროს ზნეობრივი გავლენა ხალხზე, რომ მოგროვილი იქმნეს და შეტანილი უმთავრეს მომარაგების დეპოზიტში ის თანხა, რომელიც საჭიროა მილიონათ ღირებულ ფართლეულობის შესაძენათ.

3. დალა, რომელიც საფონდო მიწებიდან მოსავლის  $\frac{1}{10}$ -ის სახით

შემოვა დარჩეს თვით მაზრაში და მიეცეს ხალხს საშუალება მისი შეძენისა შეღავათიან ფასებში.

შემდეგ ყრილობის მიერ განსილულ იქმნა სათემო არჩევნების შედე-  
გები: მან სათემო არჩევნები დაამტკიცა.

ზემო-სვანეთის ორი სოფლის თხოვნა, ს. ცხმარი და წვრიმისის ცალკე  
საზოგადოებად გამოყოფის შესახებ ყრილობის მიერ უარყოფილ იქმნა.

სანიტარულ გარდასახადის შესახებ ვრცელი და ზინაარსიანი მოხსე-  
ნება გააკეთა ი. გ. ავალიანმა; ის ალნიშნავს, თუ როგორ ისარგებლეს სხვა  
და სხვა ერობებმა და ქალაქთა თვითმართველობებმა სანიტარულ გარდასა-  
ხადით; მოუწოდებს ყრილობას, თუ ადგილობრივი პირობების მიხედვით  
საჭიროა ჯერ სოფელზე ეს გარდასახადები გავატრცელოთ მაზრის მოვაჭრე-  
მრეწველთ მაინც გავაწეროთ. მომხსენებელი მოუწოდებს ყრილობას აირ-  
ჩიოს გამჭერი კომისია. ყრილობა ირჩევს კომისიას სამ კაცისაგან, რომელ-  
საც ავალებს მასალების დაგროვებას გარდასახადების გაწერას და მისი აკ-  
რეფის ხელმძღვანელობას.

სამ-მილიონიანი უპროცენტო სესხის შესახებ ყრილობამ იქონია  
მსჯელობა; რის შემდეგ ავალებს გამგეობას, რათა მან აღძრას მთავრო-  
ბის წინაშე შუამდგომლობა, რომ ხალხის სურათ-სანოვაგის მხრით მოუ-  
სავლობის გამო უზრუნველ საყოფულად გამოაღებიოს. მთავრობას უპრო-  
ცენტო სამ-მილიონიანი სესხი.

### ოზურგეთის სამაზრო ერობის არა-ჩვეულებრივი ყრილობა,

ნოემბრის თვის დამლევს ოზურგეთში მოხდა სამაზრო ერობის არა-ჩვეუ-  
ლებრივი ყრილობა. ყრილობაზე განხილულ იყო სხვა და სხვა საყურადღე-  
ბო საკითხები, სხვა საკითხთა შორის გამოტანილ იქმნა შემდეგი დად-  
გენილება: ანარქიული გამოსვლების დროს ვერაგულად დაღუპულ მებრ-  
ძოლთა ოჯახებს გაეგზავნოს ყრილობის სახელით სამდირის ბარათები;

ყრილობამ დაავალა ერობის გამგეობას ამ მსხვათპლთა ოჯახებს ამ  
ყამათ აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება თითოს ხუთი ათასი მანეთით  
და შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ეს ოჯახები შემდეგ-  
ში უზრუნველყოფილ იქნან მუდმივი დახმარებით.

— ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გა-  
წეულ ხარჯების შესახებ მოახსენებს ყრილობის გამგ. წევრი გ. ბერეჟიანი;  
ის დაწვილებით აცნობს კრებას წინა ყრილობაზე დამტკიცებულ ხარჯთ-აღ-  
რიცხვით გაუთვალისწინებელ და შემდეგ გამგეობის მიერ თავისი ჭასუხის  
მგებლობით გაწეულ ხარჯებს, ცალ-ცალკე დანაწილებულს. ნუსხის სხვა და  
სხვა სს და მუხლების მიხედვით, რომლის რაოდენობა უდრის 172,027 მან.  
39 კაპ. ყრილობა ერთხმად და უკამაოდ ამტკიცებს ამ თანხას და აგრე-  
ვე აღგენს: „დაევალოს გამგეობას, რომ მან შეძენილი ავტომობილები აამუ-  
შაოს და გამოიყენოს შემოსავლის წყაროდ“.

— საექიმო პუნქტები. საექიმო პუნქტების შესახებ მოხსენებას აკე-

თებს გამგ. თავჯდომარე ის აცნობს ყრილობას არსებულ მდგომარეობას ამ დარგში და ამბობს, რომ დღემდე ექიმობა უფასო იყო, მაგრამ ექიმებსა და ფერშლებს არ ეკრძალებოდათ ჰონორარის აღება იმ პირთაგან, ვინც ამას თავის ნებით მოისურვებდა; ეს კი სასურველ შედეგს ვერ იძლევა, რადგან ოჯახი უმახინჯო. არ არის და ზოგი პირი ბოროტათ სარგებლობს ამ უფლებით. ამიტომ გამგეობის აზრით ექიმობა სრულიად უფასო უნდა დარჩეს, ექიმებსა და ფერშლებს უნდა აეკრძალოს ჰონორარის აღება. გარდა ამისა გამგეობას სერიოზული დაბრკოლება შეხვდა პუნქტების გახსნის დროს ბინისა და გათბობა-განათების მოგვარების საკითხში. გამგეობის აზრით, თემებმა, უნდა მისცენ ერობას უფასო ბინა და გათბობა-განათება პუნქტებისათვის.

ყრილობა მცირე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ პთოექტს და ადგენს: 1) „ის თემი, რომლის ფარგლებში იმყოფება საექინო პუნქტი, ვალდებულია უფასოდ მისცეს პუნქტისათვის ბინა—3 ოთახი: ექიმის საცხოვრებლათ 2 ოთახი და ექიმის თანაშემწისოთვის 1 ოთახი. აგრეთვე უფასოთ მოაწყოს პუნქტების გათბობა და განათება. 2) ექიმობა სრულიად უფასოა. ექიმს, ბებია ქალს და ფერშალს ყოველივე პირობებში ეკრძალებათ ექიმობისათვის საფასურის ალება. 3) გამგეობას ევალება აგრეთვე შეძლების და გვარათ ყველა პუნქტზე გახსნას საერობო აფთიაქი, რისთვისაც უნდა გასწიოს საჭირო ხარჯები; 4) აფთიაქში მოსამსახურე პერსონალს გამგეობამ დაუნიშნოს ჯამაგირი თავისი განკარგულებით, და წარმოუდგინოს შემდეგ საერობო ყრილობას დასამტკიცებლათ.

ჭაობების ამოშრობა. მომხსენებელი აღნიშნავს გურიაში არსებულ შრავალ ჭაობიან ადგილების გავლენას ციებ-ცხელებისა და სხვა ავადმყოფობის გავრცელება-გაძლიერებაზე, აცნობს კრებას ზოგიერთ თემთა შუამდგომლობას, რომ ასეთი ჭაობიანი ადგილები გადაეცეს მათ იმ პირობით, რომ ისინი იმათ ამოაშრობენ. ყრილობა ადგენს: 1: აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ჭაობები, რომლებიც ითვლებიან სახელმწიფო ფონდში გადასულათ, გადაღიან თემის განკარგულებაში მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ჭაობი ამოშრობილი იქნას თვით თემის სამაზრო ერობის და მთავრობის ხელმძღვანელობით. 2. დაევალოს გამგეობას შეისწავლოს და გაეცნოს დამუშავებულ გეგმას რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ და თუ დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და არც დრო ითმენს, კიდევაც მიიღოს სათანადო ზომები ამის განსახორციელებლათ.

— კულტურული მეურნეობისათვის. იმავ მოხსენებით ყრილობა ადგენს: „აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ფონდში გადასულ მამულებიდან კულტურულ მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები გადაიდეს სამაზრო ერობის განკარგულებაში“.

— ნიხრის საკითხი. კამთს იწვევს საკითხი რზურგეთ-ნატანების.

გზაზე ტვირთის გადაზიდვის ნიხრისა და გადასახადის დაწესების შესახებ. გამგ. თავმჯდომარე აკეთებს ამ საკითხის შესახებ მოხსენებას და ამბობს, რომ ნატანებ-ოზურგეთის გზა ერობის გზაა, ტვირთის გადაზიდვის ნიხრს-კი აწესებს ქალაქ ოზურგეთის გამგეობა და გადასახადსაც აღებს თავის სა-სარგებლოდ. მომხსენებლის აზრით ამიერიდან ერობამ უნდა დააწესოს ნიხრი ამ გზაზე და გადასახადიც მან უნდა აიღოს. ყრილობა, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, უკამათოდ აღგენს: დაწესდეს ნატანების გზაზე გა-დასაზიდ ტვირთზე გადასახადი ერობის. სასარგებლოთ 30 კაპ. თითოულ ფუთზე და მიენდოს ერობის გამგეობას შეიმუშაოს და წარმოუდგინოს მო-რიგ ყრილობას ტვირთის გადასაზიდი ნიხრი.

წვრილი ერთეულები. წვრილ საერობო ერთეულების სახელწო-დების შესახებ ყრილობა ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ შემ-დეგ დადგენილებას 1. ოზურგეთის მაზრაში შემოღებულ წვრილ საერობო ერთეულთათვის დროებით სახელმძღვანელო წესდებაში სახელწოდება „წვრილი საერობო ერთეული“ ყველგან იქნას შეცვლილი სახელწოდება „თემით“. 2. თანახმად პირველ მუხლში ნაჩვენებ ცვლილებისა წვრილი საე-რობო ერთეულების ხმოსანთა ყრილობას ანუ საერობო კრებას ამიერიდან ეწოდოს „თემის საბჭო“, წვრილ საერობო ერთეულის გამგეობას კი ეწო-დოს „თემის გამგეობა“ არჩევნებისთანავე გაუქმებულათ ჩითვალოს საზო-გადოების კომისარიატი და მთელი მისი საქმეები და ქონება გადაეცეს თემის გამგეობას. 4. თანახმად სახელმძღვანელო წესდების მე-28 მუხ-ლისა, თემის გამგეობის ბეჭდათ იქნას დამტკიცებული საერთო ფრრიმის რგვალი ბეჭედი, რომელზედაც უნდა იყოს წარწერილი გამგეობის სახელ-წოდება“.

გზატკეცილები. ჩოხატაურის გზატკეცილის შესახებ ყრილობა, თანახმად თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებისა, აღგენს: 1. ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებნი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩოხატაურის გზის შეკეთებაში, უნდა გამოყვანილ იქნან სამუშაოდ და მიეცეს მათ მხოლოდ საკვები. 2. ერთი მესამედი იმ თანხისა (არა უმეტეს 300.000 მა-ნეთისა) მიიღოს სამაზრო ერობამ, ორი მესამედი — კი გომოითხოვოს მთავ-რობის ხაზინიდან; თუ ის არ იყისრებს ამ ხარჯებს, იმ შემთხვევაში ერო-ბამ გამოითხოვოს ეს თანხა მთავრობისგან უპროცენტო სესხით სახით, რო-მელიც უნდა ანაზღაურებულ იქნას ამ გზის შემოსავლიდან.

### სენაკის სამაზრო ერობაში.

15 სექტემბერს ამ წლის სენაკის სამაზრო ერობას შეუსრულდა წლის თავი მისი არსებობისა.

გახსნილია ქ. ახალ-სენაკში სამაზრო საერობო საავადმყოფო და თვით

მაზრის და სხვა და სხვა თვალსაჩინო კუთხეში 8 საექიმო, 9 საფერშლო და 3 საბეითლო პუნქტები ამანთან მაზრაში არსებული თვითეული საავადმყოფოსთან მოწყობილია უფასო აფთიაქი ექიმების და ფერშლების ზედამხედველობის და საერობო გამგეობის ქვეშ საფერშლო პუნქტებს აქვთ პირველი დაბმარების წამლეულობა მედიკამენტები. ყვავილის ეპიდემიის გაჩენას გამო ერობამ შეიძინა ასაცრელი ვაკუინა და აცრა მოახდინა მთელს მაზრაში. დიფტერიტის გაჩენის გამო ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით ერობამ შეიძინა შრატი.

ერობის მიერ მიღებული ასეთი ენერგიული ზომების საშუალებით გადამდები ავადმყოფობა იშვიათ მოვლენათ იქცა მაზრაში.

მაზრაში არსებობს სამი საბეითლო უბანი: სენაკის, აბაშის და საოლალევის სამა ექიმი-ბეითალით და ამდენივე ფერშლით. სენაკის საბეითლო უბანი შესაფერისად მოწყობილია. აქვს კარგაძალი მედიკამენტები და ქირურგიული იარაღები. საქონლის ჭირის გაჩენის გამო აცრილ იქნა ათი ათასამდე სული პირუტყვი.

უნდა აღნიშოს, რომ საექიმო დაბმარება არის უფასო და ფასიანი; ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე საავადმყოფოებში ავადმყოფების წამლობა-გაშინჯვა ხდება უფასოდ, დანარჩენ დროს ექიმით სარგებლობისათვის. პაციენტები იხდიან გასამრჯველოს ექიმის სასარგებლოდ გამგეობას აქვს განზრახვა მომავლისათვის ეს ნაკლიც თავიდან აიშოროს და მოაწყოს მაზრაში სრული უფასო ექიმობა მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს უსახსრობის გამო.

გამგეობა ფიქრობს სასანიტარო გადასახადების საშუალებით ექიმებს გულიდოს ჯამაგირი და დააკისროს მათ მცხოვრებთათვის სრულიად უფასო საექიმო დაბმარების აღმოჩენა. აქვთ აგრეთვე განძრახვა მოაწყონ საავადმყოფები მარანში, ნოქალაქევში, სალხინოში, და გორდში, მოაწესრიგონ ახაშის და საოლალევის საბეითალო უბნები, გახსნან აფთიაქები ცენტრებში და სხ.

ყველა ზემო დასახელებული საჭიროებისათვის ერობის დღემდე დახარჯული აქვს 494.875 მანეთამდე.

მეორე უმთავრესი საზრუნავ საგანს შეადგენდა მაზრაში აღმინისტრატიის და მიღლიცის ლირსეულ სიმაღლეშე დაყენება და მათი გაჯანმრთელება, ვინაიდან საადმინისტრაციო აპარატი ერთობ მოშლილი იყო, და სიცოცხლის ნიშანწყალი მას არ ეტყობოდა. მაგრამ ამ საქმის მოგვარებას უშლიდა ერთის მხრით აღმინისტრაციის მოხელეთა მატერიალურად დაუკმაყოფილება და მეორეს. მხრით, აღმინისტრაცია ერობის ხელში გადმოსული არ იყო და ერობაც მოკლებული იყო საშუალებას შიგ საჭირო რეორგანიზაცია მოეხდინა მავნე ელემენტებისაგან. მეორე მხრევ კი ერობა აშკარად ატყობდა, რომ აღმინისტრაციის ამნაირი მდგომარეობაში. დარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო და ხალხის თვალში საკუთარი

პრესტიუს დასაფარავად ის იძულებული გახდა თვით ჩარეოდა სააღმინისტრაციო საქმეებში, ჩაებარებინა და მოეწყო ის უფრო მკვიდრ ნიადაგზე. აღმინისტრაციის ერობის ხელში გადმოსვლის დღიდანვე დაეტყო გამოცოცხლება. დათხოვნილ იქნა აველა საეჭვო პირები, საზოგადოებებში მოსპობილ იქმნა კომისრების თანამდებობა და ესეთი ასრულება დაევალად ადგილობრივ ერობის გამგეობას; ნაცვლად სამისა, შემოღებული იქმნა 6 სამილიციო უბანი, მილიციის მოხელეთა პირადი შემადგენელობა გაძრიელებულ იქნა და ჯამაგირიც გაუდიდა. ნაყოფი მილიციის მოქმედებისა ბოროტ-მოქმედებასთან და ცარცვა გლეჯასთან ბრძოლაში ერთობ დიდია. 18 განთქმული ყაჩალი შეიპყრო და ორი მოქლა; გარდა ამისა ერობის მიერ გაზავნილმა მილიციის მოხელეებმა შეიპყრეს მაარას ამწიოკებელი და ცნობილი ყაჩალი კაკო დადიანი, რომელიც იმალებოდა გუდაუთში, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივმა მთავრობის მოხელეებმა და სამხედრო პირებმა ის გაანთავისუფლეს. ასეთი საქციელი მთავრობის მოხელეებისა იწვევს ხალხში სამართლიან გულისწყრომას და სცემს ერობის პრესტიუს საზოგადოების თვალში. აღსანიშნავია, რომ აღმინისტრაცია და მილიცია არაა სრულიად უზრუნველყოფილი მატერიალირად: მილიციონერი ღებულობს დღეს-დღეობით. თვეში 1205 მან, რაც დღევანდელს საზღაპრო სიძირის დროს არაფერს არ წარმოადგენს.

სასურათო საკითხს სენაკის მაზრაში დღემდე მაინც და მაინც მწვავე ხასიათი არ მიუღია ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გასულ წელს მოსავალი ძალიან კარგი იყო. ზედმეტი ნაწილი მისი გატანილ იქმნა რესპუბლიკის სხვა მაზრებში და ქალაქებში—სამაგიეროდ სიმინდის მოსავალი წრეულს ძლიერ ნაკლებია. ასეთი მწირი წელიწადი სამტრედიაში იშვიათად ყოფილა. საშიშია, რომ მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას წელს ორი თვის სარჩოც არ მოუვა. გამუღმებულმა წვიმებმა და მდინარეების ხშირმა მოდიდებამ მდიდარ რაიონებში მოსავალი გაანადგურა. ეს გარემოება ერობის გამგეობას სერიოზულათ აფიქრებს. ის, უკვე შეუდგა საჭირო თავდარიგს. მან შეიძინა სათესლე ხორბალი და მიიღო ზომები, რომ დათესილიყო, მაგრამ გლეხობა საჭირო ენერგიით არ მოეკიდა ამ საქმეს, როგორც სჩანს, ჯერ არ არიან მიჩვეულნი მის თესვას. ერობამ მიაქცია ყურადღება აგრონომიულ და ეკონომიურ აღორძინების დარგებში მუშაობას და კიდევაც დაარსა გამგეობასთან სათანადო განყოფილება. საგანგებოთ დაქირავებული მოიგირულე ინსტუქტორები უმარტავენ ხალხს და აძლევენ დარიგებას თუ რა ჯიშის ხეხილს ან მცენარეს როგორ მოუარონ; თვით ხალხი ამ დარიგებაში დიდ ყურადღებას იჩენს, მაგალითად: აგროებენ გარეული ხილის თესლეულობას, რომ მომავალისთვის შეიძინონ გარეული ძირულობა საუკეთესო ჯიშის ხეხილის დასამყნელად; საცდელი მინდვრისათვის თითქმის ყველა საზოგადოებას გადადებული აქვს რამოდგნიმე ქცევა მიწა; ამასთან უნდა დაუმატოთ რომ აგრანომის ინსტრუქტორი სინემატოგრაფის აპა-

რატიო დაივლის მთელ მაზრას და სათანადო ლექციებს წაიკითხავს. ერობამ შეიძინა ფუტკარი და ლამობს მის მოშენებას. ამ საქმისათვის უკვე მოწვეულია სპეციალისტი და მუშაობას მაღლ შეუდგებიან.

სახალხო განათლების დარგში ერობა დიდ მუშაობას ეწევა. სკოლები ყველგან არსებობს. ზოგვან გიმნაზიების დაარსებასაც თხოულობენ. ხშირად ორი-სამი გიმნაზიასაც, ასეთ მიღრეკილებებს ერობა მაინც და მაინც ხელს ვერ უწყობს ვინაიდან ის უფრო სპეციალური სკოლებისათვის ზრუნავს და აქეზებ ხალხსს, მაგრამ სამწუხაროდ სათანადო მომზადებულ პირებს ვერ ვშოულობთ.

მასწავლებელთა რიცხვი სკოლებში მცირეა, ისინი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან. არის შემთხვევა, როდესაც ერთი მასწავლებელი 4 განყოფილებას უვლის. ასეთი არა-ნორმალური მდგომარეობა დიდათ აფერებს სწავლა-აღზრდის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. მასწავლებელთა რიცხვის გასამრავლებლად სენაკში დაარსებულია საოსტატო სემინარია, სადაც ამ ჟამად 32 ახალგაზდა მეცადინეობს. ის თანხა, რომელსაც იძლევა მთავრობა სკოლებისათვის საქმარისი არაა და ერობამ ამ დარგში დახარჯა საკუთარი ბიუჯეტიდან 408.186 მან.

აგრარური რეფორმა სენაკის მაზრაში უმტკივნელად ხორციელდება. მუშაობს ათი მიწლები კომისია. ტყე მაზრაში ბევრია, მაგრამ უპატრონოთაა მიგდებული, საბალახო ადგილებზე იჯარის აღების საქმე მიიღო გამგეობამ თავის თავზე, ვინაიდან მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი პირები ყურსაც არ იბერტყავდნენ გადასახადების აკრებაში და ხაზინას კი სამინისტროსა და მისი აგენტის დაუდებრობით ეკარგებოდა ასი-ათასობით შემოსავალი. საჭირო შექინა გადასახადის ასკრებად დარაჯების დაქირავება, მათვის ბინის მიცემა და სხვა მოულოდნელი ხარჯების გაწევა, რასაც გამგეობა არ დაერიდა. ამნაირად აკრეფილი იქმნა 115 ათასი მანეთი, დაიხარჯა კი 30 ათასამდე, ნაშთი 75 ათასი მანეთი შეტანილ იქნა ხაზინაში.

წყალ დიდობამ სენაკის მაზრას დიდი ზარალი მიაყენა. მდ. ცხენის წყალის გამაგრებას მთავრობის ყურადღება წინადვე მივაჭციეთ და მთავრობასაც უკვე აქვს ამ ჟამად გადადგმული ნაბიჯები, იმუშავებენ ახალ დაწვრილებითი პროექტს, რომლის დასრულების შემდეგ უთუოდ შეუგდებიან მის განხორციელებას, იმედი გვაქვს თვით ხალხი თავის წილ ასეთი მუშაობისათვის თავს არ დაზოგავს და შრომას არ დაიშურებს.

თავის დროზე შედგენილი და წარდგენილია დანიშნულებისაშებრ ნაფიც მსაჯულთა სია და ვიმედოვნებთ რომ ეს სასამართლო მაღლ იქნება შემოლებული.

ტეხნიკური შერივ ერობამ მოაწყო საკუთარი დიდი სახელოსნო სადაც ეხლა. დაიწყო მზადება სამეურნეო იარაღებისა და სკოლებისთვის პარტებისა.

გაეკრებულია 5 ბეტონის ხილები და გაყვანილია ცნობილი გზა „მუკოტახილი“

### შორაპნის სამაზრო ერობაში.

შუამდგომლობა. შორაპნის ერობის გამგეობა შუამდგომლობს ერობათ კავშირის წინაშე, რათა კართოფილის და ლობიოს შესაძენათ და-ეხმაროს ავანსის სახით ერთი მილიონი მანეთით.

იგივე ერობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მაზრაში დიდი მოუსავლობისა და მოსალოდნელ შიმშილობის გამო აღკრძალულ იქნეს სურსათის ვამოზიდვა მაზრიდან სადგურებზე: სვირიდან წიუამდე და შორაპნიდან საჩერამდე.

— წვრილი ერთეულები შორაპნის მაზრაში. შორაპნის მაზრაში წვრილი ერთეულები დღემდე არ შექმნილა. ეხლა-კი მის შესაქმნელად გაორჟეცებულ ენერგიას ხმარობს შორაპნის სამაზრო ერობა.

პირველი თემი რომელიც შეიქმნა მაზრაში ეს „შორაპნის თემია“.

23 ნოემბერს მოხდა 1-ლი ყრილობა ხესნებულ თემის ხმოსნებისა, რომელზედაც ერობის თავმჯდომარებ კ. ბუაჩიძემ ვრცლად გააცნო ხმოსნებს თემის დანიშნულება, უფლება და ფუნქციები მისი, რის შემდეგაც მოხდა საბჭოს პრეზიდიუმის და თემის გამგეობის არჩევნები.

უველა წევრები გამგეობისა ს.-დემოკრატები არიან. (სულ ხმოსანი—22—ამათში 4 ნაც.-დემოკრატი, დანარჩენი ს.-დემ.)

პირველი ყრილობა ხმოსნებისა ძალიან ცივათ ჩატარდა. სერიოზული შეკითხვები, და ცხარე-მსჯელობა ამა თუ იმ კითხვაზე—არ ყოფილა.

### თიანეთის სამაზრო ერობაში.

საფალდებულო დადგენილობა. დაკანონებული თიანეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობის მიერ 1:1 ოქტომბერს 1919 წელს.

1. ნიჭრის და ბეგრის შესახებ. გპდასაყვან და გადასატან საშვალებებზე (ცხენები, ურმები) ყოველთვიურად გამგეობა იმუშავებს. ნიხრს, რომლის დაცვა ზველისათვის სავალდებულოა.

2. საერთო სახელმწიფოებრივ და საერობო საჭიროებისათვის ერობას გამოჰყავს ბეგრის სახით მორიგეობით ცხენები და ხარ-კამეჩი (ურმები).

შენიშვნა: ბეგრის სახით გამოყვანილ ცხენების მუშა საქონლის (ხარ-კამეჩი) ქირად საერობო გამგეობა იხდის დადებულ ნიხრის 1/3-ს.

